

---

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი**

დავით ლომიძე

**ფასიანი ძალადობის ბაზარი ..... 2**

დავით ამაღლობელი

**სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური**

**ინტეგრაციის შესაძლებლობები ..... 19**

ბრიგოლ ფანცულაია

**ოჯახების შემოსავლები ..... 30**

ბიორბი ბარბაქაძე

**ღიყენების სისტემა ..... 41**

ბიულეტენის გამოცემის დაფინანსებისათვის  
განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით NOVIB -ს  
(ნიდერლანდების ორგანიზაცია საქართველოს  
თანამშრომლობისა და განვითარებისათვის)

---

# ფასიანი ქაღალდების ბაზარი

■ დავით ლომიძე  
დავით რუსია

საქართველო დღეისათვის იმყოფება თავისი ისტორიული განვითარების ერთ-ერთ ურთულეს ეტაპზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო შიდა კონფლიქტებმა და პოლიტიკურმა არეულობამ მოიცვა, რასაც ეკონომიკის მკვეთრი და ძალზედ მტკივნეული დაცემა მოჰყვა. 1989-94 წლების პერიოდში არნახული ვარდნა გამოიხატა შიდა ეროვნული პროდუქტის 6-ჯერ, სამრეწველო წარმოების 5-6-ჯერ, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა 4-5-ჯერ დაცემაში და ა.შ. ამის შედეგად, საბოლოოდ 1994 წლის ეკონომიკური მაჩვენებლით საქართველო 1962, 1958 და 1945 წლების მაჩვენებლებს გაუთანაბრდა.

წარუმატებლობათა გზაჯვარედინიდან საქართველოს წარმატებით გამოყვანის ერთ-ერთი ოპტიმალური გზად რჩება ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაყვანა, მისი ეკონომიკის ახლებურად ორგანიზება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში რადიკალური ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, შესაძლებელი გახდა მეპ-ის დაღმავალი ტენდენციის შეჩერება, უფრო მეტიც, 1997 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 13%-ს მიაღწია. მართალია, ამ ეტაპზე მიღწეული სტაბილიზაცია საკმაოდ მყიფეა, მაგრამ იგი საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ეკონომიკური რეფორმების უფრო გრძელვადიანი მიზნები და ღონისძიებები.

## დაბალი ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის იმედისმოგვანი მიზნების მიუხედავად საფინანსო სისტემა კვლავაც სუსტია. საბარტოვალს მსოფლიო განვითარების პროცესებში ჩართვა ოპტიმისტურად საჭიროებს ძირეული ეკონომიკური რეფორმების გატარებას.

დრო, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეკონომიკაში ძირეული გარდატეხების მოლოდინით. თუ ორივე წლის წინ ეროვნული ეკონომიკის ყველაზე აქტიურ საკითხს წარმოადგენდა ნებისმიერი გზით მონეტარული სტაბილიზაციის მიღწევა, დღეს ყველაზე ცხადი ხდება, რომ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ისეთი საინვესტიციო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში აქტიური ეკონომიკური ინიციატივის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას.

ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა თანაბრად აქტუალურია, როგორც განვითარებული, ასევე ნაკლებად განვითარებული ქვეყნისათვის. ამ მხრივ

საყურადღებოა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ სიტუაციის განხილვა. 1996 წელს უცხოური ინვესტიციების მოცულობამ ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იკლო და მხოლოდ 12 მილიარდი დოლარი შეადგინა. \*

მაშინ, როცა 1995 წელს ეს მაჩვენებელი 14 მილიარდი დოლარი იყო. განსაკუთრებით იკლო უცხოური კაპიტალის მოდინებებმა უნგრეთში (დაახლოებით 3 მლრდ. დოლარით და 1982 მილიონი შეადგინა), ჩეხეთში (ერთ მილიარდ დოლარზე მეტით და 1200 მილიონს გაუტოლდა), რუსეთში (200 მილიონით და 1800 მილიონი დოლარი შეადგინა). რეგიონში ინვესტიციების უმსხვილეს მესაკუთრეთა შორის, მხოლოდ პოლონეთმა შეინარჩუნა აღმავალი ტანდენცია 1996 წელს, კაპიტალის შედინებამ ქვეყანაში 5196 მილიონი დოლარი შეადგინა.

ძირითადი ფაქტორი რამაც განაპირობა უცხოური ინვესტიციების მოდინების შემცირება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, იყო პრივატიზაციით შემოსულ ინვესტიციათა შემცირება. ასე მაგალითად, უნგრეთმა განსახელმწიფოებრივობის შედეგად მარტო 1996 წელს მიიღო 600 მილიონი დოლარი.

საქართველო ბევრ სიძნელეს წააწყდა ეკონომიკის გეგმიური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ არასტაბილურობამ პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა ეკონომიკური რეფორმების გატარება და წესრიგის დამყარება, ამას თან მოყვა საბაზრო კავშირების რღვევა და წარმოების დაცემა.

უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სერიოზული მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს

და სარგებელი მოაქვს როგორც დებიტორი, ასევე კრედიტორი ქვეყნებისათვის.

მიუხედავად იმისა, თუ რა უბიძგებს ინვესტორს კაპიტალის ექსპორტისაკენ, დებიტორი ქვეყნის შერჩევა მაინც იმ ფაქტორების მიხედვით ხდება, რომლებიც საინვესტიციო კლიმატის შემადგენელი ნაწილები არიან. ესენია: მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ფინანსური მდგომარეობა, საგადასახადო სისტემა, ვალები და მათი მომსახურეობა, კერძო საკუთრება, პოლიტიკური რისკები და გეოპოლიტიკური მდებარეობა. მაგრამ მიუხედავად ფაქტორების სიმრავლისა, საინვესტიციო კლიმატი წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომლის ცალკეულ ელემენტებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გავლენის მოხდენა უცხოელ

\* წყარო: „World investment report“ 1997

ინვესტორზე.

განვითარებადი ქვეყნები, ცდილობენ რა მოიზიდონ რაც შეიძლება მეტი უცხოური კაპიტალი, მიმართავენ სხვადასხვა ხერხებს საინვესტიციო კლიმატის სრულყოფისათვის, საერთაშორისო

შეთანხმებებით დაწყებული, საგადასახადო შეღავათებით დამთავრებული.

საქართველომ უკანას-

კნელ წლებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში, რაზეც

მნიშვნელოვანი გავლენა საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებამ მოახდინა, რაც გამოიხატებოდა 1995 წლიდან მოყოლებული მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა მნიშვნელოვან გაუმჯობესებაში, ინფლაციის მოთოკვაში, სოციალურ - პოლიტიკური მდგომარეობის მონესრიგებაში და ა.შ.

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და თუ ეკონომიკის განვითარების მიღწეული ტემპები შენარჩუნებული იქნება საქართველო დიდი წარმატება ელოდება მომავალში.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებადი ქვეყნები დღესდღეობით მწვავედ განიცდიან პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი სახსრების მობილიზებასთან კაპიტალდაბანდებათა განხორციელების მიზნით. აღნიშნულ ქვეყნებში შრომის ნაყოფიერების დონე საკმაოდ დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება, რაც შრომის ანაზღაურების ნაკლებობას იწვევს. შემოსავლების სიმცირე კი თავის მხრივ განაპირობებს დაბალ დანაზოგებს, რაც ინვესტიციების სიმცირეს ნიშნავს. ეკონომიკაში არასაკმარისი კაპიტალდაბანდებათა კი შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეზე მუდმივად შენარჩუნებას უწყობს ხელს. ამ მოჯადოებელი წრის გარღვევა შესაძლებელია მხოლოდ უცხოეთიდან მიღებული ინვესტიციების საშუალებით. რაც ადგილობრივი ფირმებისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიების, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის პრაქტიკული გამოცდილების გადაცემას გულისხმობს.

ქვეყნის ეკონომიკის პერსპექტიული ზრდა შეუძლებელია საინვესტიციო კაპიტალის გარეშე, რომლის მოზიდვის ერთ-ერთ საშუალებას ფასიანი ქაღალდების მექანიზმი წარმოადგენს.

**საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება წარმოადგენს ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას.**

ამ საკითხის უმოკლეს ვადაში გადამწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება, რადგან კარგად ორგანიზებული ფინანსური ბაზარი ხელს უწყობს სახსრების აკუმულირებას და მათ ჩართვას ეკონომიკური

განვითარების პროცესებში.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა პირდაპირ მოქმედებს მასში არსებული საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს შორის განსაკუთრებული ადგილი საფონდო ბირჟას უკავია.

**საფონდო ბირჟა არის ქვეყანაში სტაბილური ბაზრის და ადგილად, სტაბილური ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა.**

თუ ცოტაოდენ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ რომ, XVI—XVII საუკუნეების ევროპაში, კერძოდ კი ჰოლანდიაში ფართო გავრცელება ჰპოვა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობამ. ეს იყო პირველი საფონდო ბირჟები, რომელთა ვაჭრობის საგანს ძირითადად სამეფო სესხის ობლიგაციები და კოლონიური კომპანიების აქციები წარმოადგენდა. XVIII საუკუნიდან ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის აღიარებული ცენტრი ლონდონის ბირჟა გახდა, რომელიც უკვე აღარ ითავსებდა სასაქონლო ვაჭრობის ფუნქციებს და ჩამოყალიბდა როგორც საფონდო ბირჟა.

საქართველოში პირველი ბირჟების შექმნა ამ საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ძალისხმევა სამწუხაროდ ბირჟების დაფუძნების საქმეს არ გასცილებია. იმ პერიოდის საქართველოსა და მსგავს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისათვის ბირჟების შექმნა ძირითადად უკავშირდებოდა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მიბაძვის სურვილს და არა სასაქონლო - ფულადი ურთიერთობების ისეთი განვითარების დონეს, რომელიც ბირჟის ფუნქციონირების დაწყებას ლოგიკურად აუცილებელს გახდიდა.

საბირჟო საქმიანობის მეორე გამოცოცხლება საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იან წლებზე მოდის და თავის მხრივ ორი ეტაპისაგან შედგებოდა. პირველი ეტაპი (1991-1993 წლები) შეიძლება დახასიათდეს, როგორც ნამდვილი "საბირჟო ბუმი" და უკავშირდება საქართველოში და მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში კერძო მენარმეობის გაჩენასა და განვითარებას. მეორე ეტაპი, (1995-1996 წლები) დაკავშირებულია საქართველოში ვაუჩერული პრივატიზაციის პროცესის დაწყებასთან და ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველი ელემენტის გაჩენასთან. ეს ეტაპი ვერ დასრულდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებით და ამ თვალსაზრისით იგი ჯერ-ჯერობით დასრულებული არ არის.

პირველი ბირჟების შექმნის ინიციატივა საქართველოში ხელში აიღეს საშუამავლო და საბანკო ბიზნესში დანიშნულმა სამენარმეო ჯგუფებმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში საბირჟო საქმიანობამ, როგორც სიახლემ ძალიან სწრაფად გაიკვლია გზა და, სწორედ ამიტომ, პირველი რუსული ბირჟების შემდგომ,

როგორებიც იყვნენ „მოსკოვის სასაქონლო ბირჟა“ და „რუსეთის სასაქონლო-საწარმოო ბირჟა“ ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მესამე ბირჟა სწორედ საქართველოში დაფუძნდა - „კავკასიის ბირჟის“ სახით.

განვითარებულ ქვეყნებში ბირჟების დაფუძნებასთან არსებული თანმივდევრობა საქართველოში დაირღვა: ჯერ დაფუძნდა ბირჟა და შემდგომ მაგ: „კავკასიის ბირჟის“ აქციონერთაგან დაიწყო საბროკერო ფირმების ჩამოყალიბება. ბირჟის იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების შედეგად შესაძლებელი გახდა 400-ზე მეტი საბროკერო ფირმის ორგანიზება, რომელთა აქტიურმა ოპერაციებმა „კავკასიის ბირჟაზე“ განაპირობეს მისი ვაჭრობების ინტენსიური ხასიათი.

1992 წელს სასაქონლო სექციის პარალელურად „კავკასიის ბირჟაზე“ საფონდო სექცია ამოქმედდა. პრივატიზაციის სფეროში აბსოლუტურ უძრავობის პირობებში „კავკასიის ბირჟის“ საფონდო ვაჭრობები გადაიქცა სააქციო საზოგადოებების აქციების, სხვადასხვა ორგანიზაციათა ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების პირველ ორგანიზებულ ბაზრად საქართველოში. „კავკასიის ბირჟის“ საფონდო ვაჭრობებზე კოტირდებოდა: „კავკასიის ბანკის“, „იბერიაბანკის“, „ივერთბანკის“, ბანკი „ქართლის“, კონცერნი „ჰერმესის“, ს/ს „ნაშე ვრემია“-ს, ს/ს „როსიისკიე სპლავი“-ს და სხვათა აქციები.

1992 წლის შემოდგომაზე „კავკასიის ბირჟის“ საფონდო სექციაში დაიწყო „ნაღდი“ ფულით საბირჟო ვაჭრობა, რამაც მოკლე ხანში დაადგინა მასზე რეალური ფასი, და სხვაობა „ნაღდ“ და „უნაღდო“ ფულს შორის 25-30%-მდე შემცირდა. აღნიშნული ოპერაციები არ იყო თავისი ხასიათით საბირჟო ვაჭრობის საგანი, მაგრამ მათმა ლეგალიზებამ გამოაცოცხლა ანგარიშსწორების სისტემა და ფაქტიურად საფუძველი მოუშალა ამ სფეროში კორუფციას. „ნაღდ“ ფულთან ოპერაციები „კავკასიის ბირჟაზე“ შეწყდა 1992 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე.

„კავკასიის ბირჟის“ საფონდო სექციაზე 1992 წელს აგრეთვე მიმდინარეობდა საკრედიტო რესურსებითა და უცხოური ვალუტით საბირჟო ვაჭრობა. საკრედიტო რესურსებით ვაჭრობამ, მიუხედავად ვაჭრობის წესებში ჩამოყალიბებული მკაცრი მოთხოვნებისა, ვერ მოიკიდა ფეხი კრედიტის დაბრუნების დაბალი გარანტირებულობის პირობებში. რაც შეეხება უცხოური ვალუტით საბირჟო ვაჭრობას, მან 1992-1993 წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა „კავკასიის ბირჟის“ საფონდო სექციაში, რამაც იგი ფაქტიურად აქცია საქართველოში უცხოური ვალუტის რეალური კოტირების ცენტრად.

ამავე დროს ათასობით საჯარო ოპერაციები საგრძნობ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფო ბიუჯეტს. მაგრამ, სამწუხაროდ 1994 წლის დამდეგისათვის საქართველოში

განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შესაძლებელი არ გახადეს საბირჟო საქმიანობის შემდგომი განვითარება.

„კავკასიის ბირჟაზე“ მუშაობას განაგრძობდა მხოლოდ სასაქონლო სექცია. სავალუტო სექციამ ფუნქციონირება შეწყვიტა ბირჟისათვის სავალუტო ლიცენზიის ჩამორთმევის შედეგად, ხოლო საფონდო სექცია ველარ ვითარდებოდა ფასიანი ქაღალდების ისედაც მწირი ბაზრის კიდევ უფრო შემცირების გამო.

პირველმა მიღწეულმა წარმატებებმა საქართველოში ბირჟების შექმნის ბუმი გამოიწვია „თბილისის უნივერსალური ბირჟა“, „საქართველოს ბირჟა“, „აგრობირჟა“, „უძრავი ქონების ბირჟა“, „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“ და ა.შ. მხოლოდ იმის მცირედ ჩამონათვალს წარმოადგენს, რომლებიც 1991-1992 წლებში ფუნქციონირებდნენ.

კონკურენცია და კლიენტურის სიმცირემ, სახელმწიფოს მხრიდან გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ და ბირჟების სურვილის არარსებობამ გარდაქმნილიყვნენ არამომგებიან, უდივიდენდო ორგანიზაციებად გამოიწვია თითქმის ყველა მათგანის დახურვა ან მოქმედების სფეროს შეცვლა. გადარჩენილი და სიცოცხლის უნარიანი „კავკასიის ბირჟა“ კი არაკეთილმოსურნეთა აქტიური ზემოქმედების შედეგად გამოცხადდა საქართველოში არსებული ეკონომიკური ანარქიის საწყისად და იძულებით მოხდა მისი ფუნქციონირების შეწყვეტა. ბირჟაზე მოქმედი კვალიფიციური კადრების ნაწილი რუსეთის საფონდო ბაზარს შეეკედლა, ნაწილი კი შავი ბაზრის დიდ არმიას შეუერთდა.

საქართველოში საბირჟო საქმიანობის მეორე ეტაპი უკავშირდება ხელისუფლების მიერ ეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებებისა და პრივატიზაციის პროცესის დაწყებას. ამ ეტაპზე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელდა ინფლაციის მოთოკვა, ახალი ქართული ვალუტის - ლარის შემოღება და სხვა ღონისძიებები, მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების - საპრივატიზაციო ბარათის (ვაუჩერის) მიმოქცევაში გაშვება. გამოჩნდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველი პროფესიონალი მონაწილეები, პრივატიზაციის სპეციალიზირებული საინვესტიციო ფონდების სახით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ იქნა ფასიანი ქაღალდების ორგანიზაციული ბაზრის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები. საპრივატიზაციო აუქციონის შედეგად განხორციელდა ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს პრივატიზირება და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად საქართველოს კონსტიტუციის, მეწარმეთა შესახებ კანონის და ა.შ. მიღებამ შექმნა პირობები საქართველოში ორგანიზებული საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებისათვის. ამ პერიოდს ემთხვევა ისეთი ბირჟების შექმნა როგორებიცაა:

“საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბირჟა“, “თბილისის საფონდო ბირჟა“ და “საქართველოს მთავარი საფონდო ბირჟა“. საქმიანობას განაგრძობს “კავკასიის ბირჟაც“.

საბირჟო საქმიანობის განვითარების პირველი ეტაპისაგან განსხვავებით საგრძნობლად შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება ბირჟებისადმი, რაც გამოიხატა საბირჟო

ვაჭრობის ორგანიზაციის ღონისძიებათა განმსაზღვრელ დადგენილებებში და კონკრეტული ბირჟების მხარდაჭერაში. კერძოდ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წინადადებით “საქართველოს მთავარ საფონდო ბირჟაზე“ მომზადდა ხორბლით ვაჭრობისა და აუქციონების პროექტი, რის შედეგადაც აღნიშნული ბირჟა გარდაიქმნა „მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟად“. ხელისუფლების ინტერესის ზრდას საბირჟო საქმიანობისადმი საკანონმდებლო სფეროში აშკარა გამოცოცხლება ადასტურებს.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამებმა თანდათანობით თავიანთი მისია ამოწურეს საქართველოში და ისინი თანდათანობით ადგილს უთმობენ ეკონომიკური რეფორმების პრაქტიკული განხორციელების პროგრამებს. შესაბამისად იცვლება ეკონომიკური ორიენტირები და ინფორმაცია. 1997 წლის 1 აპრილს დაიწყო „ტასისის“ ერთწლიანი პროგრამა - „დახმარება ფინანსთა სამინისტროსადმი ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებაში“. 1997 წლის 18 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ გამოაცხადა 2 წლიანი პროგრამის დაწყება საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით და ბოლოს 1998 წლის 2 აპრილს მსოფლიო ბანკმა დაიწყო საქართველოში ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროგრამის განხორციელება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 იანვრის №21 განკარგულების შესაბამისად ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი საფონდო ბირჟისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ, ხოლო ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟის ინსპექციამ - “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში საბირჟო ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლოს შექმნის მოთხოვნა ჯერ კიდევ 1991 წლიდან არსებობს, ორივე ზემოთხსენებული პროექტის ასეთი სასწრაფო წესით მომზადება აშკარად ხელისუფლების მიერ საბირჟო ვაჭრობისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზების საკითხებისადმი განსაკუთრებული პროიროიტეტების მინიჭების მანიშნებელია.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების

ბაზრის უმოქმედობის ერთ-ერთი მიზეზია ვაჭრობის ობიექტის ანუ ფასიანი ქაღალდების არარსებობა. ამჟამად პრივატიზაციის პროცესში ჩამოყალიბებულია 1200-მდე სააქციო

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესაბამისად ბაზრი რამ გააქოდა, ის მაინც თანაგადროვად ეტაპზე პრაქტიკულად უმოქმედოთ რჩება**

საზოგადოება და გამოშვებულია 1,080,567,500 (მილიარდ ოთხმოც მილიონ ხუთას სამოცდაშვიდი ათას ხუთასი) აქცია, რომელთა ღირებულება შეადგენს აშშ დოლარებში 1,266,613,600. დღევანდელი მდგომარეობით გაყიდულია 460,169,364 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების აქციები, რომლებიც შეადგენენ დღესდღეობით სახელმწიფოს მიერ ემიტირებული აქციების 36,46%. სახელმწიფო საკუთრებაში რჩება აქციების 63,54% ნომინალური ღირებულებით 804,517,245 აშშ დოლარი. აუცილებელია დარჩენილი აქციების კერძო მფლობელობაში გადასვლა, რათა გაიზარდოს ინვესტორისათვის მიმზიდველი აქციების რაოდენობა. მაგრამ მხოლოდ მოცულობის გადიდება არაფერს მოგვცემს, თუკი იმავდროულად არ მოხდა ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდაც, რადგან მხოლოდ მაღალშემოსავლიან და საიმედო აქციებს შეუძლიათ ინვესტორების დაინტერესება და მათი სახსრების მოზიდვა.

ნებისმიერ მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ერთ-ერთ წამყვან სამენარმეო საქმიანობის ფორმად სააქციო საზოგადოებები არის მიჩნეული. საქართველოში ანალოგიური სანარმოთა ჩამოყალიბება დაკავშირებული იქნა პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობასთან. პრივატიზაციისა, რომლის პროცესში 1100 სახელმწიფო სანარმოზე მეტი გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებებად და ეს რიცხვი მომავალშიც გაიზრდება. ამ გარდაქმნების შედეგად წარმოიშვა 400000 აქციონერთა ფენა. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად არსებობს აქციონერული საზოგადოებები, აქციონერთა ფართო ფენა და საფონდო ბაზრის არსებობისათვის საჭირო ატრიბუტები. პრაქტიკულად საფონდო ბაზარი დღეს საქართველოში უმოქმედოა.

სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად ფასიანი ქაღალდების ბაზრის უმოქმედობაზე განსაკუთრებული ზეგავლენა იქონია 1992-1994 წლებში სატრასტო კომპანიების მიერ გაჩაღებულმა არაკეთილსინდისიერმა საქმიანობამ, რომლებმაც ისარგებლეს მოსახლეობის ფართო მასების მოუშვადებლობით საინვესტიციო საქმიანობაში, მოიზიდეს მათი დანაზოგები და დიდი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენეს. რამაც საბოლოო ჯამში ინვესტირების ინსტიტუტისადმი ნდობის დაკარგვა გამოიწვია.

მიუხედავად, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნა ობიექტურ აუცილებლობადაა ქცეული და დროის მოთხოვნას წარმოადგენს. ჩვენს ბაზარზე არ შეიძლება ჩაითვალოს

მომნიშვნელოვან აქტიური ვაჭრობისათვის რიგი ფაქტორების გამო. მათ შორის შეიძლება დასახელდეს:

- \* შემოსავლების დაბალი დონე;
- \* მოსახლეობის გაუთვისებლობა საფონდო სფეროს ელემენტარულ საკითხებში;
- \* ერთიანი სახელმწიფო პროგრამის არ არსებობა;
- \* სახელმწიფო ნების არ არსებობა;
- \* მოსახლეობის ინდეფერენტულობა ნებისმიერი გარდაქმნისა და სიახლეებისადმი;
- \* მაღალი შემოსავლის თანამდევით მაღალი რისკების გათვალისწინების სურვილის არ ქონა და ა.შ.

### მოსახლეობიდან ნაწილის ფაქტორის არ არსებობა ფაქტორად საფუძველს უთხრის საქართველოში ფასიანი ძალადების გაზრის განვითარებას

დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ფასიანი ქაღალდებში შეიტანება: აქციები, ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები, საშემნახველო სერთიფიკატები, თამასუქები და სხვა. თუმცა კანონპროექტში "ფასიანი ქაღალდების გაზრის შესახებ" მიღების შემთხვევაში სახაზინო ვალდებულებები მის მიერ რეგულირების სფეროდან ვარდება.

საქართველოში მოცემული მომენტისათვის გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძლება მხოლოდ ერთეულები დავასახელოთ. მათ რიცხვს მიეკუთვნება:

1. ყოფილი სსრ კავშირის მიერ 1990 წელს გამოშვებული სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის ობლიგაციები;

ისინი წარმოადგენს სახელობით ფასიანი ქაღალდებს, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობაზე უნდა გაიცეს ნაღდი ფული ან ობლიგაციაზე მითითებული საქონელი.

2. საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები (რეალიზაციის პერიოდი - 1992 წლის დეკემბრიდან 1994 წლის აპრილამდე).

ამჟამად ზემოთ აღნიშნული ორივე სახის ობლიგაციებით არავითარი ოპერაციები არ წარმოებს, არც მეორად ბაზარზე ხდება მათი მიმოქცევა. ისინი მხოლოდ ობლიგაციონერთა საკუთრებაშია და ფინანსთა სამინისტროს სპეციალისტთა მიერ წარმოებს მუშაობა ობლიგაციონერთა ვალის დაფარვის წყაროსა და ვადის დასადგენად.

ქვეყნის შიდა ვალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილ მთავრობის დავალიანებას. ეს ის ფასიანი ქაღალდებია, რომლებიც უნდა გადაცვლილიყო სსრკ-ს დროინდელ ე.წ. "სამპროცენტო" ობლიგაციებში.

1992 წელს საქართველოში გამოშვებული იქნა 5 მილიარდი მანეთის ოდენობის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაცია ათი წლის ვადით. ყოფილი შემნახველი ბანკის ცნობით, 1992-94 წლებში

რეალიზებული იქნა 5 811 395 000 კუპონის ობლიგაცია (კუპონი, რადგან 1993 წელს კუპონის ერთადერთ საგადაამხდლო საშუალებად გამოცხადების შემდეგ, ყოველგვარი ინდექსაციის გარეშე ხუთი მილიარდი მანეთის ღირებულების ობლიგაცია გადაიქცა ხუთი მილიარდი კუპონის ფასიან ქაღალდად), აქედან შესყიდული იქნა 1 188 446 000 კუპონის ობლიგაცია. გათამაშებული იქნა 2 171 400 000 ოდენობის მოგება, რომლიდანაც განაღდებული იქნა 359 457 000 კუპონის.

მაშასადამე დღესდღეობით საქართველოს მთავრობის ვალი ამ ობლიგაციების მიხედვით შეადგენს 6 434 892 000 კუპონს (4 622 949 000 კუპონის ძირითადი თანხა და 1 811 943 000 მოგებახვედრილი ობლიგაციების თანხა.)

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობას ობლიგაციებთან დაკავშირებით ინდექსაცია არ მოუხდენია, ოფიციალური გაცვლითი კურსით (1 000 000 კუპონი — 1 ლარი) გადაანგარიშებისას საქართველოს მთავრობის ვალი ობლიგაციების მფლობელებისადმი შეადგენს 6 435 ლარს.

ობლიგაციებით წარმოქმნილი ვალის 6 435 ლარით შემოფარგვლა ნამდვილად არარეალურია. ეს ფაქტი მთავრობამაც აღიარა და შემუშავებული იქნა ობლიგაციების ინდექსაციის მექანიზმი. (იხ. ცხრილი №1)

ინდექსაციის შედეგად ობლიგაციათა მფლობელთა მიმართ სახელმწიფოს დავალიანებამ 130 ათასი ლარი შეადგინა. რა თქმა უნდა ეს თანხა გაცილებით მეტია 6 435 ლარზე, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება რეალურ ვალის მოცულობას, რომლის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ მიახლოებით (ზემოთ შემოთავაზებული დოლართან მაშინდელი ვალუტის კურსის გამოყენებით) 911 ათას ლარს შეადგენს. ობლიგაციების ინდექსაციისათვის გამოყოფილი თანხა მათი რეალური ღირებულების დაახლოებით 14%-ს შეადგენს.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ობლიგაციების ინდექსაციის პროცესი "წარმატებით" ჩაივლის, რადგან 130 ათასის ღირებულების ობლიგაციის განაღდებასთან ერთად 70 ათასი ორგანიზაციულ საკითხებზეა გამოყოფილი.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის მიერ 1992 წელს გამოშვებული სერთიფიკატები, რომლის ინდექსაციისათვის 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 5 მლნ. ლარის გაცემა, 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 1 მლნ. ლარი.

4. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდად (წარმოდგენზე) მიჩნეულია აგრეთვე საპრივატიზაციო ბარათიც. საქართველოს კანონმდებლობისა და პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ის შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო პრივატიზაციის პროცესში, როგორც გადახდის

საშუალება. დაშვებული იყო საპრივატიზაციო ბარათების მიყიდვა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, გაჩუქება ან მემკვიდრეობით გადაცემა, აგრეთვე სპეციალიზირებულ (საბარათო) საინვესტიციო ფონდების აქციებზე გადაცემა. საპრივატიზაციო ბარათების მოქმედების ვადა დასრულდა 1996 წლის 1 ივლისს.

სახელმწიფოში ფასიანი ქაღალდების ფუნქციონირებას რეალური ბიძგი შეიძლება მისცეს სახელმწიფო ან მუნიციპალური მიზნობრივი სასესხო ვალდებულებების მიმოქცევაში გაშვებამ. ამით აღსანიშნავია ომის შემდგომ პერიოდში გფრ-ში ამოქმედებული ანალოგიური პროგრამა, აგრეთვე ბოლო წლებში რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიზნობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვების ფართო მასშტაბიანი პროგრამა.

მიზნობრივი სასესხო ვალდებულებების ერთ-ერთი სახეობაა მუნიციპალური სასესხო ვალდებულებები, რომელთა რეალიზაციიდან შემოსული თანხა მაგ: სხვადასხვა უბნებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობას მოხმარდება. საბინაო სასესხო ვალდებულებების ნომინალი გამოიხატება კვადრატულ მეტრებში და ნაღდდება საცხოვრებელი ფართით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სასესხო ვალდებულებების იმ რაოდენობას, რამდენსაც დააგროვებს ინვესტორი. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფასიანი ქაღალდები გამოიხატება კვადრატულ მეტრებში და არა ფულად ერთეულში საგრძნობლად ამცირებს ინფლაციისა და ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ რისკებს.

იმავედროულად საერთაშორისო სავალუტო ფონდის კატეგორიული მოთხოვნითა და ხელშეწყობით ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების მიმართულებით გადაიდგა რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი, კერძოდ ჩატარდა რამდენიმე საპრივატიზაციო აუქციონი ნულოვანი სანყისი ფასით, დაიწყო სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების გამოშვება.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შედარებით სწრაფი განვითარება. 1997 წლის აგვისტოდან საქართველოშიც დაიწყო მოკლევადიანი სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების ემისია, რომლებზეც თავიდანვე დიდი მოთხოვნა დაფიქსირდა (იხ. გრაფიკი №1 და №2), რადგან ბანკებს საშუალება მიეცათ საკუთარი და კლიენტების ფულადი სახსრების დაბანდება მაღალშემოსავლიან და ურისკო ფასიან ქაღალდებში. ეს ერთის მხრივ წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან სახელმწიფოს საშუალება მიეცა არაინფლაციური მეთოდებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო და კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრების მოცულობის თანაფარდობა არის 1:2, რუსეთში კი — 10:1, რაც

დიდ ზიანს აყენებს საინვესტიციო პროცესებს. საქართველომ უნდა ეცადოს თავიდან აიცილოს განვითარების ასეთი სცენარი და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ინვესტიციების დაბანდებას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, ანუ სამრეწველო სანარმოებში, რაც საბოლოო ჯამში ეროვნული ეკონომიკის აღორძინების სანინდარი იქნება.

**თავიდან უნდა ავიცილოთ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის გადაძვარული განვითარება, რადგან იგი გადმოქაჩავს საინვესტიციო რესურსებს სახელმწიფოს არამწარმოებლური ხარჯების დასაფარავად, მაშინ როდესაც შესაძლებელია ამ რესურსების მიმართვა საინვესტიციო პროცესებზე.**

საერთოდ, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის რამოდენიმე გზა არსებობს. მათ შორის ფულის ემისია (ანუ დამატებითი ფულის ნიშნების გამოშვება) ყველაზე სარისკო და გაუმართლებელ მეთოდს წარმოადგენს. ინფლაციური პროცესების განვითარების აშკარა საშიშროების გამო განვითარებული ქვეყნები მისი გამოყენებისაგან თავს იკავებენ და დეფიციტის დაფარვის სხვა უსაფრთხო გზებს ეძებენ.

ამ მხრივ ყველასათვის ცნობილია ის მწარე გამოცდილება, რაც 1992-1994 წლებში საქართველოს ბიუჯეტის უზარმაზარ დეფიციტის არარეალური ფინანსური წყაროებით დაფინანსების შედეგად იქნა მიღებული. ემისიური კრედიტების მზარდმა მოცულობამ ქვეყანა მიიყვანა ჰიპერინფლაციამდე, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკის არნახული მასშტაბებით დაცემა და კერძო ინვესტიციების განვითარების პერსპექტივების დაკნინება გამოიწვია.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემიტირება და მისი მეშვეობით ფინანსური რესურსების მობილიზაცია ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად უდავოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან იგი ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების არაინფლაციურ წყაროს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 1997 წლის აგვისტოს თავიდან საქართველოს ფულად-საკრედიტო ურთიერთობის სფეროში შემოვიდა ახალი საფინანსო ინსტრუმენტი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის მისიის თანხმობით მიმოქცევაში გამოუშვა საქართველოს სახაზინო ვალდებულებები. საქართველოს სახაზინო ვალდებულებათა მიმოქცევის ვადა ცვალებადია 28 დღიდან ერთწლამდე და მეტი. ნება გვიბოძეთ მივაპყროთ თქვენი ყურადღება შემდეგ ასპექტებს:

1 საქართველოს სახაზინო ვალდებულება არის ურისკო და მაღალი ლიკვიდურობის მქონე დაბანდება.

2 ვაჭრობისა და გადახდის წესები მომზადებულ და შეთანხმებულ იქნა საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკის მისიებთან

კონსულტაციების შედეგად.

3 ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი პასუხისმგებლები არიან მის დაფარვასა და განაღდებაზე.

სახაზინო ვალდებულება - სახელმწიფო ფასიან ქალაქში და გამომდინარე აქედან წარმოადგენს ურისკო და ფასიან ქალაქებში ყველაზე ლიკვიდურ და მისაღებ აქტივს საერთოველოში. მას გააჩნია განვითარების ყველაზე სწრაფი ტენდენცია სხვა დარგებთან შედარებით.

**ხანგაღმართი მოსაზრებათა საფუძვლის შემდეგ 1997 წლის 21 აპრილიდან ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო სახაზინო ვალდებულებების განთავსება. ეს ერთადერთი პუნქტია შიდა ვალის სტრუქტურაში, რომლის ზრდაც ჯერ-ჯერობით დადებით მოქმედებას იწვევს.**

სახაზინო ვალდებულებებით შიდა ვალის ზრდის პოზიტიური მხარეები ჯერ-ჯერობით მთლიანად გადაწონის მის ნეგატიურ მხარეებს. კერძოდ სახაზინო ვალდებულებები გვევლინება პოუჯეტის დეფიციტის შევსების ერთადერთ არაინფლაციურ წყაროს. მათი საშუალებით 1997 წლის ბიუჯეტის დაფინანსება შეადგინდა 5 821 309 ადრედი მარტივად ეს შეტად მკერე თანხაა. ზღვრის არ უნდა დავიწყოთ ის ფაქტი, რომ სახაზინო ვალდებულებების ენსტიტუტი 1997 წლის აგვისტოდან მსახურობდა.

1 უხედავად 2-3 წლის ფაქტორებისა, სახაზინო ვალდებულებების დასაც წარმოადგენს შიდა ვალის ზრდის ერთ-ერთ წყაროს. 1997 წელს სახაზინო ვალდებულებებმა 5,8 მილიონით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვასთან ერთად, 6 415 600 ლარის შიდა ვალდებულება წარმოქმნა.

**1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო სახაზინო ვალდებულებებით ძველის ბიუჯეტის 32 მილიონი ლარით შევსება, ხოლო 1999 წლის ბიუჯეტის პროექტში კი გათვალისწინებულია მხოლოდ 12 მილიონი ლარი.**

სახაზინო ვალდებულებებთან მიმართებაში საბოლოოდ ერთის თქმა შეიძლება, არც ბიუჯეტის შევსებას 5,8 მილიონით და არც 6,4 მილიონ დაუფარავ ვალდებულებას, იმდენი მნიშვნელობა ჯერ-ჯერობით არა აქვს, რამდენიც თავად ამ სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შემოსულების ფაქტს, კერძოდ იმ გამოცდილებას, რომელიც დაუგროვდათ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ფასიან ქალაქებთან მიმართებაში, რაც ძალზედ აუცილებელია დღევანდელი საქართველისათვის.

ამ ხნის მანძილზე შეიძლება გამოიყვით ის ძირითადი პრობლემები რომელიც გამოიკვეთა სახაზინო ვალდებულებათა ბაზარზე:

ძირითადი სარისკო პრობლემა: სავალუტო კურსის რხევადობა.

აუქციონის მსვლელობისას გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები, რომლებიც შეიძლება ორჯერადაც დავეყოთ.

პირველი ჯგუფის პრობლემები -- ეროვნული ბანკი.

1 აუქციონის შესახებ ინფორმაციის არა-დროულად გამოცხადება და მიტანა ბანკებამდე.

2 აუქციონამდე ერთი დღით ადრე მთლიანი თანხის ჩარიცხვა.

3 თანხის ნომინალით გადარიცხვა, დისკონტის გაუთვალისწინებლად.

4 ცენტრალური რეესტრის არული კონტროლი და მეორადი ბაზრის ყველა გარიგების ეროვნულში რეგისტრირება.

5 საკრედიტო და სახაზინო აუქციონების ერთ დღეში ჩატარება (ხუთშაბათობით) ხელიდან აცლის ბანკს ლავირების შესაძლებლობას.

მეორე ჯგუფის პრობლემები -- ფინანსთა სამინისტრო:

1 ემისიის გრაფიკის არ გამოქვეყნება და მისი ხშირი ცვლილება.

2 ზედა ზღვრის არ არსებობა და არანაირი მცდელობა სიტუაციის გაჯანსაღებაზე, ანუ ინტერვენციის მეთოდის არ გამოყენება.

სახაზინო ვალდებულებათა ბაზარზე კომერციული ბანკები თავიდანვე დიდი აქტიურობით მონაწილეობდნენ, ცდილობდნენ რა სახელმწიფოს შეცდომები გამოეყენებინათ და აეღოთ სახაზინო ვალდებულებები მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ბაზარზე დაფიქსირდა შემდეგი ძირითადი მონაწილეები:

- 1 TBC - ბანკი
- 2 ბანკი ქართუ
- 3 ბანკი აბსოლუტი
- 4 საფოსტო ბანკი
- 5 თბილკომბანკი
- 6 თბილკრედიტი
- 7 საქართველოს ბანკი
- 8 ინტელექტბანკი
- 9 შავი ზღვის საერთაშორისო ბანკი

განვლილი აუქციონების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი სახის დასკვნა:

1 სახელმწიფოს მხრიდან დისკონტის ზედა ზღვრის დონე არ არსებობს და აქედან გამომდინარე დისკონტის მერყეობა საერთაშორისო სტანდარტებით საოცრად დიდია.

2 სახელმწიფო აკონტროლებს ფასიანი ქალაქების ბაზარს არაპირდაპირი მეთოდით: — სავალუტო კურსი; — საკრედიტო აუქციონები; — სავალდებულო რეზერვის წილი.

3. არც ერთ ბანკს არ გააჩნია საკმარისი საკუთარი სახსრები, რათა მთლიანად "აიღოს" ემისია და ამიტომ აუქციონიდან აუქციონამდე ძირითადში სამი მსხვილი ბანკი: TBC, "ქართუ" და "აბსოლუტი" (ცვალებადი შემადგენლობით) "ადგენს" დისკონტს.

რაც შეეხება 1998 წლის მონაცემებს (იხ. ცხრილი №2) სახაზინო ვალდებულებებზე



საპროცენტო განაკვეთი III კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით თანდათან გაიზარდა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ იგი ეფუნდებოდეს შემდეგ სამ ძირითად პრინციპს: გახსნილობა, სამართლიანობა და შეუქცევადობა.

**1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თავიდანვე არასწორად იყო დაგეგმილი სახაზინო ვალდებულებებით ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად გათვალისწინებული 32 მლნ. ლარი, ასეთი გზარდ განვითარებას ვერ გამოვლდა ახლად შექმნილი გაზარი**

ამ ფუნდამენტური პრინციპების ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან ხელ შეწყობის გარეშე. საფონდო ბაზარი არის ეკონომიკის ყველაზე სათუთი ელემენტი, რომელიც ძალზე სწრაფად რეაგირებს ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცვლილებებზე. სახელმწიფო, დაინტერესებულია რა ფინანსური სახსრების მოდინებაში, უნდა უზრუნველყოს ამ სფეროს საკანონმდებლო ხასიათის ნორმატიული აქტებით დარეგულირება.

**ინვესტორთა მოზიდვის აუცილებელ პირობას გაზარდეთ მათი მდგომარეობის მყარი სა- მართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს.**

სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ენიჭება, როცა მთელი ეკონომიკა ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება. ამ პროცესთა მასშტაბურობა და რისკოვნობა მთლიანად ქვეყნის ფინანსური სისტემის უსაფრთხოებისათვის, ინფრასტრუქტურისადმი გაზრდილი მოთხოვნები და მსხვილი ფინანსური რესურსების საჭიროების დარეგულირება მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევას შედეგადაა შესაძლებელი. ფაქტიურად, უნდა შემუშავდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნის მასშტაბური ეროვნული პროგრამა, რომელიც პრივატიზაციისა და ეკონომიკის დარგების სტრუქტურული ცვლილებების ეროვნული პროგრამების ადექვატური იქნება.

კონცეფციაში უპირველესად განსაზღვრული უნდა იყოს, თუ ბაზრის რომელ მოდელს მიენიჭება პრიორიტეტი და რეგულირების რა პრინციპით იხელმძღვანელებს იგი.

დღეისათვის არსებობს საფონდო ბაზრის რამოდენიმე მოდელი, კერძოდ საბანკო, არასაბანკო და შერეული. საბანკო მოდელს სხვანაირად "გერმანულსაც" უწოდებენ, რომელიც გულისხმობს საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების აქტიურ მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში. საბანკოსაგან განსხვავებით

არასაბანკო მოდელი ("ამერიკული") უპირატესობას საინვესტიციო ბანკებსა და საბროკერო ფირმებს ანიჭებს, რითაც მინიმუმამდე დაყავს საბანკო დაწესებულებათა მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ემიტირების, განთავსების და კონტროლის სფეროში.

განვითარებულ ბაზრის მქონე 30 ქვეყნიდან 40%-ში არასაბანკო მოდელია მიღებული, სადაც საინვესტიციო და კომერციულ საბანკო საქმეს შორის „ჩინეთის კედელია“ აღმართული; 40-45% — შერეული ბაზრებია, სადაც ბანკებთან ერთად აქტიურად მოქმედებენ არასაბანკო საინვესტიციო ინსტიტუტები; ხოლო ქვეყნების 10-15%-ში, მათ შორის გერმანიაში და ავსტრიაში, ბაზარზე მოქმედების უფლება მხოლოდ ბანკებს გააჩნია.

საკითხზე თუ რომელ ვარიანტს მიენიჭება უპირატესობა საქართველოში ერთმნიშვნელოვანი აზრი ჯერ არ არსებობს. ამა თუ იმ ვარიანტისათვის უპირატესობის მინიჭება ნაწილობრივ გავლენის სფეროს არჩევასაც ნიშნავს. დაპირისპირება აშშ-სა და დასავლეთ ევროპას შორის ეკონომიკის სფეროში გაბატონებული ადგილის შენარჩუნება გაძლიერებისათვის ახალი ამბავი

არ არის. ევროპის გაერთიანების წინ ორივე ბანაკი აქტიურად მოქმედებს სატელიტ ქვეყანათა გაფართოების მიმართულებით. აქედან გამომდინარე საქართველოს არჩევანს, რომელიც არა ერთმნიშვნელოვნად ამიერკავკასიის ცენტრად მოიაზრება, დიდი მნიშვნელობა ექნება. აქვე შეიძლება ითქვას, რომ კანონში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, რომლის პროექტიც ამჟამად პარლამენტში განხილვის აქტიურ საგანს წარმოადგენს, ამერიკულ მეთოდს ეძლევა უპირატესობა.

**"ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონპროექტის მიხედვით უპირატესობა ამერიკულ მოდელს ენიჭება**

დღეისათვის საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთიანი მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება არ არსებობს. ბაზრის რეგულირებას ძირითადად სამისახელმწიფო ორგანო ახორციელებს. ესენია: ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექცია, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და ეროვნული ბანკი, ამასთან მათი ფუნქციები ნათლად არ არიან გამიჯნული, რაც ხშირად მათ საქმიანობაში ფუნქციათა დუბლირებას იწვევს.

რაც შეეხება რეგულირების პრინციპს, აქ ორი პოლარულად დანსხვავებული კონცეფციის გამოყოფა შეიძლება:

1 ბაზრის რეგულირება უპირატესად

კონცენტრირდება სახელმწიფო ორგანოებში, უფლებათა მხოლოდ მცირე ნაწილი ზედამხედველობის, კონტროლის, წესების დადგენის სფეროში გადაეცემა ე.წ. თვითრეგულირებად ორგანიზაციებს (ფქბ-ის პროფესიულ მონაწილეთა გაერთიანებებს). მაგალითი: საფრანგეთი (იხ. ცხრილი №3).

|| უფლებათა მაქსიმალურად შესაძლებელი მოცულობა გადაეცემა თვითრეგულირებად ორგანიზაციებს. კონტროლის სფეროში მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს არა მკაცრ წესებს, არამედ მოლაპარაკების პროცესს, მონაწილეთა ინდივიდუალურ შეთანხმებებს, ამასთან სახელმწიფო ინარჩუნებს საკონტროლო პოზიციებს, შესაძლებლობას ნებისმიერ მომენტში ჩაერიოს თვითრეგულირების პროცესში. მაგალითი: დიდი ბრიტანეთი

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას ერთიანი მარეგულირებელი ორგანო, რომლის მეშვეობითაც გატარდება სახელმწიფო პოლიტიკა ფასიანი ქაღალდების სფეროში. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში (იხ. ცხრილი №4), მიზანშეწონილია ასეთ ორგანოს წარმოადგენდეს ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების სახელმწიფო კომისია, რომელიც იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური ორგანო. იგი უნდა ასრულებდეს შემდეგ ფუნქციებს:

- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კანონმდებლობის დაცვის კონტროლი;
- ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებისათვის წესების შემუშავებას;
- მოსახლეობისა და საზოგადოებრიობის ინფორმირება
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სა-

კანონმდებლო ნორმატიული და სხვა აქტების მომზადება და მიღება. ა.შ. და ა.შ.

აღნიშნული კომისიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ასევე ყველა დაინტერესებული არასახელმწიფო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, როგორცაა ბირჟები, ბანკები, ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე დამოუკიდებელი ექსპერტებიც.

უცხოური განვითარებული ბაზრების რეალურ პრაქტიკაში ცენტრალიზაციის ხარისხი და რეგულირების სიმკაცრე ვარიირებს ამ ორ უკიდურეს კონცეფციას შორის.

აღწეროთ უცხოური ფქბ-ის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა. 30-ზე მეტ განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის მქონე ქვეყნებს შორის 50%-ზე მეტს გააჩნია დამოუკიდებელი ფასიანი ქაღალდების უწყებანი/კომისიები (აშშ მოდელი), დაახლოებით 15%-ში ბაზარზე

პასუხისმგებელია ფინანსთა სამინისტრო, 15%-ში კი შერეული მმართველობაა. ბაზრის საბანკო მოდელის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, ავსტრია, ბელგია) საფონდო ბაზარზე ძირითადად პასუხისმგებელია ცენტრალური ბანკი და საბანკო ზედამხედველობის ორგანო (თუ განცალკევებულია ცბ-გან).

ცხრილი №3-ში მოცემულია განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის მქონე 5 ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოები. ამ ცხრილიდან შესაძლებელია ძირითადად შემდეგი ტენდენციების გამოყოფა:

• ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა დამოკიდებულია ბაზრის მოდელზე (საბანკო თუ არასაბანკო), აგრეთვე მმართველობის ცენტრალიზაციის და რეგიონების ავტონომიის ხარისხზე.

• საერთო ტენდენციას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი დამოუკიდებელი უწყებების ან კომისიების ჩამოყალიბება, რადგან ეს ბაზრები იზიდავენ ფინანსური აქტივების სულ უფრო დიდ წილს.

კონცეფციის შემუშავებასთან ერთად სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ბაზრის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფისათვის. ეს ამოცანა მით უფრო რთულია, რომ ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში არსებული დირექტიული ეკონომიკის თავისებურებებმა განაპირობეს ცოდნის არქონა ამ სფეროში, ხოლო მსოფლიოს მონიწივე ქვეყნების გამოცდილება — ეს სტაბილური ეკონომიკების განვითარების შედეგია, ამიტომ მისი სარკისებური გადმოტანა ჩვენს არასტაბილურ, განვითარებად ეკონომიკაში მიზანშეუწონელია. აუცილებელია ამ გამოცდილების და ცოდნის გააზრება და ჩვენს თანამედროვე პირობებთან მისადაგება.

**საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია, ჯერ არასრულყოფილია და ამიტომ ვერ უზრუნველყოფს მის სწრაფად და სრულყოფილად განვითარებას.**

ბაზრის რეგულირება ძირითადად ხორციელდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: „დროებითი დებულება საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და საფონდო ბირჟების შესახებ“, კანონი „მენარმეთა შესახებ“, კანონი „თამასუქის შესახებ“, კანონი „ჩეკის შესახებ“, კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, „დებულება სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „დებულება საინვესტიციო ფონდების შესახებ“.

მართალია, აღნიშნულმა კანონებმა შეასრულეს თავიანთი ფუნქცია განვითარების საწყის ეტაპზე, მაგრამ აუცილებელია მათი სრულყოფა, რადგან ისინი უკვე ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. ფასიანი ქაღალდების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ეკონომიკის ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს

მოდრავი, ე.ი. რეაგირებას უნდა ახდენდეს ფასიანი ქაღალდების ახალი სახეობების წარმოშობაზე. გარდა ამისა, საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის პირველ რიგში აუცილებელია მიღებულ იქნეს: კანონი „სააქციო საზოგადოებების შესახებ“, კანონი „ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების შესახებ“, ცვლილებები „მენარმეთა კანონში“, დებულება „აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრარორების შესახებ“, დებულება „დეპოზიტარული ორგანიზაციების შესახებ“, დებულება „საანგარიშსწორებო-საკლირინგო ორგანიზაციების შესახებ“ და სხვ.

ბაზრის ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. თუკი განვითარებულ ქვეყნებში ჯერ აქციები წარმოიშვენენ, შემდეგ ოპერაციები მათზე, და შემდეგ საბაზრო ინფრასტრუქტურა, თანამედროვე პირობებში განვითარების ასეთი სცენარი ჩვენთვის მიუღებელია. აუცილებელია, რომ ინფრასტრუქტურის პარალელური ჩამოყალიბება, რათა ბირჟებმა, რეგისტრარორებმა, დეპოზიტარებმა, საკლირინგო ორგანიზაციებმა და სხვა ინსტიტუციურმა ერთეულებმა შეისწავლონ მუშაობის სპეციფიკა და მომზადებულნი შეხვდნენ იმ ეტაპს, როცა ბაზარზე ოპერაციების განხორციელება რეალური გახდება.

ბაზარზე ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მოძრაობის აღრიცხვის, ე.ი. რეესტრის წარმოების სრულყოფისა და ემიტენტების, ინვესტორების, პროფესიონალ მონაწილეთა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის გარანტიების გაზრდის მიზნით აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელ რეგისტრატორთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

ინფრასტრუქტურის განვითარების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს დეპოზიტარო-საფონდო ბირჟების, სავაჭრო სისტემების და საანგარიშსწორებო-საკლირინგო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ამის პარალელურად უნდა მოხდეს საკონსულტაციო და საანდერრაიტივო ორგანიზაციების შექმნა. ამავე დროს აუცილებელია შეიქმნას ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების სისტემა, ჩამოყალიბდეს სარეგისტრაციო ანალიტიკური სააგენტოები, რომლებიც საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავებენ შეფასების საკუთარ მეთოდებს.

სარეგისტრატორო და სადეპოზიტარო მომსახურების სრულყოფილი სისტემის გარეშე ბაზარი ნორმალურ ფუნქციონირებას ვერ შესძლებს, რადგან სწორედ ეს სისტემა აღრიცხავს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებას, არეგისტრირებს მათ გადასვლას ახალ მესაკუთრებთან, უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების უფლებათა რეალიზაციას. იმაზე, თუ როგორ ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციებს დეპოზიტარები და რეგისტრატორები, დამოკიდებულია სახელობითი ფასიანი ქაღალდების

ლიკვიდურობა.

გარდა ამისა, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის პროცესში წარმოიშვენენ არადოკუმენტური ფასიანი ქაღალდები. მათ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრი აღრიცხავს არა მარტო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებას, არამედ იმ უფლებებსაც, რომლებსაც ადასტურებენ მოცემული ფასიანი ქაღალდები. ამ შემთხვევაში რეესტრის მანარმოებლების საქმიანობა საჭიროებს დეტალურ რეგლამენტაციას, არადოკუმენტურ ფასიან ქაღალდებზე უფლებათა აღრიცხვის ტექნოლოგიის შემუშავების ჩათვლით. ამის გაკეთება უფრო მოსახერხებელია ერთი ორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც შეიცავს რეგისტრატორების და დეპოზიტარიების დიდ რაოდენობას. რეგისტრატორების და დეპოზიტარიების რაც უფრო მეტი რაოდენობა სარგებლობს ერთიანი სტანდარტებით, მით უფრო უადვილდებათ ურთიერთქმედება.

ინფრასტრუქტურის, აგრეთვე საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ე.წ. თვითრეგულირებად ორგანიზაციებს, როგორცაა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა პროფესიული ორგანიზაციები. მაგალითად რუსეთში შეიქმნა საფონდო ბაზრის მონაწილეთა პროფესიული ასოციაცია, რომელმაც ჩამოაყალიბა ე.წ. ელექტრონული ბირჟა, სადაც ხორციელდება 80-მდე კომპანიის აქციათა კოტირება. აგრეთვე შეიქმნა რეგისტრატორების, ტრანსფერ-აგენტების და დეპოზიტარების პროფესიული ასოციაცია, რომელმაც შეიმუშავა მოქმედების წესები და აღრიცხვის სტანდარტები, რითაც მნიშვნელოვნად შეავსეს სამართლებრივი ვაკუუმი.

ნებისმიერი სპეციალისტს, რომელსაც ქართულ ბაზარზე ოპერირება სურს უნდა ითვალისწინებდეს ამ პროცესების რისკოვნობას და ბაზრის შესაძლო აგრესიულობას. ამასთან აუცილებელი იქნება საფინანსო რისკების შემადგენლობის ცოდნა და იმის გათვალისწინება, რომ რისკის დონე ქართულ საფონდო ბაზარზე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთ ევროპის საფონდო ბაზრებზე.

რისკების დახასიათება სისტემური და არასისტემური რისკებით უნდა მოხდეს. სისტემური რისკები ანუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მთლიანად დაქვეითების რისკი არ არის დაკავშირებული რომელიმე კონკრეტული ფასიანი ქაღალდების სახეობასთან, არ წარმოადგენს დივერსიფიცირებად და შეუმცირებადს. იგი თავისთავად წარმოადგენს საერთო რისკს ყველა ინვესტიციებზე, რომლებიც განხორციელებულია ფასიან ქაღალდებში. იმის რისკს, რომ ინვესტორი ვერ შესძლებს მთლიანად გამოანთავისუფლოს, დაიბრუნოს სახსრები ზარალის გარეშე. რუსეთის საფონდო ბაზრის სისტემური რისკის შეფასებისას ექსპერტები ჯერ კიდევ 1992 წელს მიუთითებდნენ მის საკმაოდ მაღალ დონეზე. ამჟამინდელმა კრიზისმა კი ყველაზე საშინელი

მოსაზრებებიც გაამართლა.

არასისტემური რისკი თავის თავში ყველა რისკის სახეს შეიცავს, რომელიც კი შეიძლება დაემუქროს რომელიმე კონკრეტულ ფასიან ქალაქს. არასისტემური რისკის ხარისხი აგრეირებულია ფასიანი ქალაქის "საინვესტიციო ხარისხთან". არასისტემური რისკით ფასდება მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის ხარისხი.

არასისტემურ რისკთაგან ინვესტორი პირველ რიგში განიხილავს ქვეყნის რისკს ანუ იმის ხარისხს, თუ რამდენად უღირს მას რომელიმე ქვეყნის ბაზარზე თანხების დაბანდება. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რისკები ქვეყნის რისკის შემადგენელი ნაწილებია.

**საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეუზღუდოს ხელი ყველა იმ პროცესს, რომელიც შეამცირებს რისკის ფაქტორს ფასიანი ქალაქების ბაზარზე**

კანონმდებლობის შეცვლის რისკი, ინფლაციის რისკი, დარგობრივი რისკი, რეგიონალური რისკი და ა.შ. რისკები აზროვნებისა და მოქმედების ის მცირედი არეალია, რომლებზეც არა მარტო ინვესტორი ფიქრობს. ეს საკითხები უპირველეს ყოვლისა იმ მხარის შესასწავლი და გამოსასწორებელია, რომელსაც თავისი საფონდო ბაზრის განვითარებაზე ზრუნავს. ამ უკანასკნელის სახით უახლოეს მომავალში იმედია საქართველოს ხელისუფლება მოგვევლინება:

1. დღეს ფასიანი ქალაქების ბაზრის ფუნქციონირების სფეროში რეგულირების, რეგლამენტირების, ლიცენზირების და რეგისტრაციის ფუნქციების განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოს ფინანსთა მინისტრო წარმოადგენს. ამ ფუნქციებს იგი ფასიანი ქალაქების და საფონდო ბირჟების ინსპექციის მეშვეობით აწარმოებს.

2. როცა საუბარია საფონდო ბაზრის საიმედოებაზე, მის სამართლებრივ რეგულირების საკითხს გულისხმობენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობას 1992 წლიდან მოყოლებული მიღებული აქვს მთელი რიგი დადგენილებები და კანონები, როგორებიცაა: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 31 აგვისტოს №876 დადგენილებით დამტკიცებული - "ფასიანი ქალაქების შესახებ დროებითი დებულება"; საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №627 დადგენილებით დამტკიცებული - "საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ფასიანი ქალაქებისა და საფონდო ბირჟების კომისიის დებულება და ამ კომისიის პერსონალური შემადგენლობა"; საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 15 აპრილის №211 დადგენილებით დამტკიცებული - "ფასიანი ქალაქების გამოშვების, მიმოქცევის და საფონდო ბირჟების შესახებ დროებითი დებულება".

ფასიანი ქალაქების სხვადასხვა ასპექტებს არეგულირებენ: საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ", კანონი "თამასუქებისა და ჩეკების შესახებ", კანონები ეროვნული და კომერციული ბანკების შესახებ, საქართველოს საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 იანვრის №21 განკარგულების შესაბამისად ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი "სასაქონლო ბირჟისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ" და ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი "ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ". ეს უკანასკნელი USAID -ის დაფინანსებით კომპანია "Barents Group" - თანთანამშრომლობით შემუშავდა.

მსოფლიოს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს გააჩნიათ მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნებში

ინვესტიციათა მოდინებას. ესენია: საშინაო ბაზრის სიმცირე, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური არასტაბილურობა და ა.შ.

ნაკლებად განვითარებადი ქვეყნები ყველანაირად ცდილობენ მოიზიდონ რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიცია. ზოგიერთმა მათგანმა გადაადგა ნაბიჯები ბაზრის გამსხვილებისაკენ (მეზობლებთან თანამშრომლობაში შესვლის გზით).

საფონდო ბაზარი, რაც არ უნდა კარგად მუშაობდეს მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში ვერ იარსებებს, ის უფრო რეგიონალური და მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების მონაპოვარია. როცა საუბარია საქართველოს ფასიანი ქალაქების ბაზარზე, ამაში რა თქმა უნდა მარტო საქართველოს ფიზიკურ ტერიტორიას არ ვგულისხმობთ. ნებისმიერი საფონდო ბირჟის ფუნქციონირების საბოლოო მიზანია დანარჩენი მსოფლიო საფონდო ბაზრებთან ინტეგრაციის საკითხი, რათა შიდა ბაზარი უცხოელთათვის სასურველი და უცხოური თავისუფალი სახსრები ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდეს. თუმცა მსოფლიო ბაზრებთან საქართველოს ინტეგრაციას ესაჭიროება ამ ბაზარზე გასვლის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება.

თუ სამოქმედო არეალზე გვაქვს საუბარი, მაშინ რამოდენიმე ვარიანტი უნდა იქნეს განსახილველი:

**ვარიანტი პირველი**, რუსეთის საფონდო ბაზართან ინტეგრირება. ამ ვარიანტის საწინააღმდეგოდ განვითარებული მოვლენები მეტყველებენ, რომლებმაც ამ ბაზრის სრული პარალიზება გამოიწვია; თუმცა ამ ვარიანტის სრული უარყოფა არ იქნება მართებული, რამეთუ რუსეთის კრიზისი მსოფლიო ფულად-საკრედიტო სისტემის კრიზისის შემადგენელი და ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მისმა მასშტაბებმა ექსპერტთა ყველაზე არასასურველი პროგნოზებიც კი გაამართლა.

თანამედროვე მსოფლიო კი ერთიან პატარა სამყაროს წარმოადგენს, სადაც რაიმე მოვლენა ცალკე დამოუკიდებლად არ მიმდინარეობს. ამ პოსტულატიდან გამომდინარე უკვე შეინიშნება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მცდელობაც სიტუაციის გამოსწორებისა. უკანასკნელ მოვლენათაგანს მიეკუთვნება უცხოელი კრედიტორების მიერ გადადგმული უპრეცედენტო ნაბიჯი, რომლითაც მათ რუსეთის მთავრობას სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციები (URJ) გადაუცვალეს ხუთ წლიან უპროცენტო ვექსელებზე. მომავალში უნდა მოხდეს დაკვირვება, თუ როგორ მოახდენს რუსეთი კრიზისის დაძლევას, გაანალიზდეს ამ ბაზრის პოტენციალი. მხოლოდ ამის შედეგად იქნეს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება თანამშრომლობის თუ მისი იგნორირების საკითხზე.

ვარიანტი მეორე, დასავლეთ ევროპის ბაზართან ინტეგრირება. ამ ვარიანტის განხილვისას ზოგიერთ მიმდინარე მოვლენაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ევრო ვალუტის შემოღება, რომელიც ევროკავშირის 11 სახელმწიფოს გააერთიანებს, მსოფლიოში მოცუ-

ლობით მეორე ფასიანი ქალაქების ბაზრის წარმოქმნის მომსწრეს გაგვხდის. 1997 წელს ევროკავშირის ქვეყნების ფასიანი ქალაქების მთლიანი ღირებულება 5,25 წრლიონ ეკიუდ ფასდებოდა. აღნიშნული თანხა აღემატება იაპონიის საფონდო ბაზარს, თუმცა მაინც ჩამორჩება ამერიკულს. მოცემული ბაზრის სიღრმისეული ანალიზის გაკეთების შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ძალიან გაუჭირდება მოცემულ ბაზარზე დამკვიდრება და სიმართლე, რომ ითქვას ჩვენ არც ძალიან გველოდებიან.

ვარიანტი მესამე, ამიერკავკასიის საფონდო ბაზარი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ბაზარი ჯერ არ არის შექმნილი და არც სპეციალისტთა განხილვის საგანს წარმოადგენს, საქართველოსათვის ყველაზე ხელსაყრელ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს. ინვესტიციების მოზიდვის საკითხი აქტუალურად მარტო საქართველოს არ უდგას. დარწმუნებულნი ვართ ამ ვარიანტს სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც მრავალი მომხრე გამოუჩნდება და იგი სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების საგნად იქცევა. მის დადებით მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ

1. მოცემული ბაზარი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და გააზრებული მოქმედების შედეგად საქართველოს შეუძლია მასში დომინანტის ფუნქციები შეასრულოს
2. დანარჩენი მსოფლიოს დაინტერესება ამ რეგიონით და ის ფინანსური სახსრები, რომელთა დაბანდებაზეც ინვესტორები წამომსვლელები არიან;
3. საქართველოს მოსახერხებელი გეოგრაფიული მდგომარეობა და აქედან წამოსული მთელი სიკეთე. ასევე დიდ შემოსავლებსა და ინვესტიციებს გვპირდება

კასპიის ზღვის რეგიონიდან "პირველადი ნავთობის" ტრანსპორტირება საქართველოს გავლით. ამ პროექტისათვის გათვალისწინებულია 250 მლნ. დოლარის დაბანდება საქართველოში. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი საქართველო წარმატებით გაართმევს თავს "ადრეული ნავთობის" ტრანსპორტირების საკითხს, მაშინ მას დიდი შანსი ეძლევა, რომ "დიდი ნავთობის" მარშრუტის მესაკუთრე გახდეს.

ამიერკავკასიის საფონდო ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობების შესაქმნელად მიზანშეწონილი იქნება საკოორდინაციო საბჭოს მსგავსი ორგანოს ჩამოყალიბება, რომელშიც სამივე სახელმწიფოს სპეციალისტები იქნებიან ჩართულნი. პირველ ეტაპზე მათ ძირითადად სათათბირო ან მრჩეველთა ფუნქციები დაეკისრებათ, რითაც ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი გარემოს ჩამოყალიბებას და ამ იდეის სახელმწიფო დონეზე აყვანას.

**კავკასიის საფონდო ბაზარი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ წინასწარ განზრახული და გააზრებული მოქმედების შედეგად საქართველოს შეუძლია მასში დომინანტის ფუნქციები შეასრულოს**

სახელმწიფოს მიერ აღებული კურსი, რომელიც მიმართულია საერთო მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, ქვეყნის სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის ფუნქციონირებისათვის ნორმალური გარემოს ჩამოყალიბება (მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა) და აგრეთვე ის გრანდიოზული პროექტები, რომლებიც მუშავდება სახელმწიფოს მიერ, უდავოდ შეუწყობს ხელს მომდევნო წლებში საერთო საინვესტიციო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარების კონცეფციაზე მუშაობისას აუცილებელია ნათლად დამუშავდეს მისი საბოლოო მიზანი, ანუ შედეგი რისი მიღწევაც გვსურს და შემდეგ გაირკვეს, თუ როგორ უფრო მოსახერხებლად მოვანყოთ ჩვენი ბაზარი. თუმცა საქართველოში არსებული სიტუაცია სრულიად საპირისპიროა. ჩვენთან ფიქრობენ ფასიანი ქალაქების ელემენტებზე, მათ ჩამოყალიბებაზე თუმცა არ ჩანს ძირითადი მიზანი რომლის მისაღწევადაც იქმნება ეს ელემენტები და რაც მთავარია არ ჩანს ის ხერხები თუ მეთოდები, რომლებმაც ეს ელემენტები მძლავრ მოქმედ მექანიზმებად უნდა აქციოს.

ძირითადი საკითხების გარკვევის შემდეგ დღის წესრიგში აუცილებლად დადგება საქართველოს მსოფლიო ბაზართან ინტეგრაციის საკითხები, ფასიანი ქალაქების ბაზარზე, რისკების მართვის პროექტის განხილვა და მრავალი სხვა.

ფასიანი ქალაქების ბაზარი საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფასიანი ქაღალდების მაღალი ხარისხი ზრდის თვითონ ბაზრის ხარისხს და ამით ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, რადგან მაღალხარისხოვანი, კარგად დარეგულირებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხელს უწყობს რისკის დივერსიფიკაციას, მოსახლეობის დანაზოგების სრულ ჩართვას ეკონომიკური განვითარების პროცესებში, ფირმების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და მის საიმედოობას, აგრეთვე ზრდის სისტემის მოქნილობას და განამტკიცებს მის რეპუტაციას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსახლეობამ მხარი დაუჭიროს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკად ტრანსფორმაციის პროცესს.

**გარდასავალი ეკონომიკის ძვირფასი სახელმწიფო სასაქონლო რეგულირება, რადგან მსოფლიოს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის საიმედოობის მართაღარე ბარანტს.**

სახელმწიფო, როგორც ბაზრის ჩამოყალიბების ინიციატორი და რეგულატორი, უნდა ასრულებდეს შემდეგ ფუნქციებს:

- იდეოლოგიური და საკანონმდებლო ფუნქცია (ბაზრის განვითარების კონცეფცია, მისი რეალიზაციის პროგრამა, პროგრამის მართვა, საკანონმდებლო აქტები ბაზრის შექმნასა და განვითარებისათვის);

- რესურსების(სახელმწიფო და კერძო) კონცენტრაცია და პირველ რიგში ინფრასტრუქტურის წინგასწრებული შექმნა;

- „თამაშის წესების“ (მონაწილეებისადმი მოთხოვნების, საოპერაციო და სააღრიცხვო სტანდარტების) დადგენა;

- ბაზრის ფინანსური მდგრადობისა და უსაფრთხოების კონტროლი (ბაზარზე შესვლის რეგისტრაცია და კონტროლი, ფქ-ების რეგისტრაცია, საინვესტიციო ინსტიტუტების ფინანსური მდგომარეობის კონტროლი, მათ გამოჯანმრთელებაზე მიმართულ ღონისძიებათა გატარება, სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვის კონტროლი, სანქციების გამოყენება);

- საფონდო ბაზრის მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო სისტემის შექმნა და

ინვესტორებისათვის მისი გახსნილობის უზრუნველყოფა;

- დანაკარგებისაგან ინვესტორების დაცვის სისტემის ფორმირება(მათ შორის ინვესტიციების დაზღვევის სახელმწიფო ან შერეული სქემები);

- სახელმწიფო რეგულირების სხვა სახეობების (მონეტარული, სავალუტო, ფისკალური, საგადასახადო) საფონდო ბაზარზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება;


- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის გადამეტებული განვითარების თავიდან აცილება(რადგან იგი მიმართავს საინვესტიციო რესურსების ფულადი მიწოდების ნაწილს სახელმწიფოს არამწარმოებლურ ხარჯების დასაფარავად).

ამრიგად, გარდასავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი ენიჭება

დასწორედ მასზეა დამოკიდებული ეკონომიკაში საინვესტიციო პროცესების მიმდინარეობის ეფექტიანობა, რაც საბოლოო ჯამში გავლენას მოახდენს ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაზე.


ბირჟების საქმიანობის შემდგომი ხელშეწყობისათვის საჭიროა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. უპირველეს ყოვლისა მისაღებია მთელი რიგი მარეგულირებელი კანონმდებლობა. გარდა ამისა, ერთის მხრივ საჭიროა გაგრძელდეს და დაჩქარდეს პრივატიზაციის პროცესი, ხოლო მეორეს მხრივ, ჩამოყალიბდეს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი. დღეისათვის მის ჩამოყალიბებას ხელს უშლის ემიტენტების მიერ აქციათა რეესტრების წარმოების წესთა მრავალგვარობა. საჭიროა ჩამოყალიბდეს აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორების, დეპოზიტარიუმების, საბროკერო ფირმების და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სხვა ინსტიტუციონალური მონაწილეების საქმიანობის ხელშეწყობის პირობები. აღნიშნულთან ერთად ეკონომიკური რეფორმების სხვა ღონისძიებათა განხორციელება სერიოზულ ბიძგს მისცემს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარებას.

91-დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგების დინამიკა



გრაფიკი №2\*

28 დღიანი სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგების დინამიკა



ცხრილი №1

ობლიგაციების ინდექსაციის მექანიზმი

	თანხა კუპონებში	გასაცემი თანხა ლარებში
1	1 000 000	20
2	500 000	10
3	250 000	5
4	100 000	2
5	75 000	1.5
6	50 000	1
7	10 000	0.2
8	5 000	0.1
9	1 000	0.02

\*ნეარო საქართველოს ერვნული ბანკი

სახაზინო ვალდებულებების გამოშვების და ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის დინამიკა \*

	№	თარიღი	ემისიის მოცულობა	სესხი (სანგ. ფასი)	დღე	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვა			ყოველკვირეული დაფინანსება	ბიუჯეტის დეფიციტის შვესება
							ძირითადი თანხა	ლისკონტი	სულ		
1997 წელი	სექტემბერი	21/08/97	1000000	977198,7	28	30,00%				977199	977199
		28/08/97								0,00	977199
	ოქტომბერი	9.04.97								0,00	977199
		9.11.97								0,00	977199
		18/09/97	1250500	1227755,81	28	23,82%	977199	22801	1000000	227756	1204955
	ნოემბერი	25/09/97								0,00	1204955
		10.02.97								0,00	1204955
		10.09.97								0,00	1204955
		16/10/97	2500000	2441664,74	28	30,19%	1227756	22744	1250500	1191165	2396119
23/10/97									0,00	2396119	
30/10/97									0,00	2396119	
დეკემბერი	11.06.97	1000000	916020,49	91	36,27%				916020	3312140	
	13/11/97	2750500	2682749,16	28	32,47%	2441665	58335	2500000	182749	3494889	
	20/11/97	1099800	1005492,57	91	37,10%				1005493	4500381	
	27/11/97								0,00	4500381	
	12.04.97	1000000	894309,15	91	46,75%				894309	5394691	
	12.11.97	2899800	2802773,9	28	44,51%	2682749	67751	2750500	52274	5446965	
	18/12/97	416000	374344,63	91	44,03%				374345	5821309	
	25/12/97								0,00	5821309	
	I კვარტალი	იანვარი	1.01.98							0	0
1.07.98							2802774	97026	2899800	-2899800	-2899800
14/01/98			1800000	1751815,08	28	35,41%				1751815	-1147985
21/01/98										0	-1147985
თებერვალი		28/01/98								0	-1147985
		2.04.98	1200000	1088688,62	91	40,47%	916020	83980	1000000	88689	-1059296
		2.11.98	2000000	1945765,59	28	35,81%	1751815	48185	1800000	145766	-913531
		18/02/98	1350000	1216522,6	91	43,42%	1005493	94307	1099800	116723	-796808
		25/02/98								0	-796808
		3.04.98	1350000	1219860,01	91	42,20%	894309	105691	1000000	219860	-576948
		3.11.98	2200000	2142353,81	28	34,59%	1945766	54234	2000000	142354	-434594
მარტი		18/03/98	1300000	1177124,56	91	41,29%	374345	41655	416000	761125	326530
		25/03/98								0	326530
		4.01.98	1000000	910023,4	91	39,13%				910023	1236554
II კვარტალი	აპრილი	4.08.98	2300000	2248839,37	28	29,19%	2142354	57646	2200000	48839	1285393
		15/04/98	1000000	925505,61	91	31,84%				925506	2210899
		22/04/98								0	2210899
	მაისი	29/04/98	1300000	1210353,87	91	29,32%				1210354	3421253
		5.06.98	2700000	2558479,23	91	21,88%	3337528	162472	3500000	-941521	2479732
		13/05/98	1200100	1138263,36	91	21,48%				1138263	3617995
		20/05/98	2200000	2065817,75	91	25,70%	1216523	133477	1350000	715818	4333813
		27/05/98		0						0	4333813
		6.03.98	3000000	2834522,02	91	23,11%	1219860	130140	1350000	1484522	5818335
		6.10.98	2499900	2352469,29	91	24,80%				2352469	8170804
		17/06/98	3000000	2789117,8	91	29,91%	1177125	122875	1300000	1489118	9659922
ივნისი	24/06/98	1000000	930684,25	91	29,46%				930684	10590606	
	7.01.98	697000	626305,94	91	44,64%	910023	89977	1000000	-373694	10216912	
III კვარტალი	ივლისი	7.08.98		0					0	10216912	
		15/07/98	1250000	1154369,72	91	32,77%	925506	74494	1000000	154370	10371282
		22/07/98		0					0	0	10371282
	აგვისტო	29/07/98	5800000	5396436,04	91	29,59%	1210354	89646	1300000	4096436	14467718
		8.05.98	1827700	1660180,59	91	39,94%	2558479	141521	2700000	-1039819	13427899
		8.12.98	1350000	1207262,87	91	46,76%	1138263	61837	1200100	7163	13435061
		19/08/98	999900	914648,46	91	36,89%	2065818	134182	2200000	-1285352	12149710
		26/08/98		0						0	12149710
		9.02.98	1199900	1095038,73	91	37,89%	2834522	165478	3000000	-1904961	10244749
		9.09.98	1000000	912040,88	91	38,17%	2352469	147431	2499900	-1587859	8656889
სექტემბერი	16/09/98	913700	832485,25	91	39,13%	2789118	210882	3000000	-2167515	6489375	
	23/09/98		0			930684	69316	1000000	-1000000	5489375	
	30/09/98		0			626306	70694	697000	-697000	4792375	
	10.07.98		0			0	0	0	0	4792375	
IV კვარტალი	ოქტომბერი	14/10/98		0		1154370	95630	1250000	-1250000	3542375	
		21/10/98		0		0	0	0	0	3542375	
		28/10/98		0		5396436	403564	5800000	-5800000	-2257625	
		11.04.98		0		1660181	167519	1827700	-1827700	-4085325	
	ნოემბერი	11.11.98		0		1207263	142737	1350000	-1350000	-5435325	
		18/11/98		0		914648	85252	999900	-999900	-6435225	
		25/11/98		0		0	0	0	0	-6435225	
		12.02.98		0		1095039	104861	1199900	-1199900	-7635125	
		12.09.98		0		912041	87959	1000000	-1000000	-8635125	
	დეკემბერი	16/12/98		0		832485	81215	913700	-913700	-9348825	
		23/12/98		0		0	0	0	0	-9548825	
		30/12/98		0		0	0	0	0	-9548825	
		47438200					50297917	3555885	53853800		

\* წყარო: ფინანსთა სამინისტრო



ფასიანი ქალაქდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა განვითარებულ ქვეყნებში

შედეგების მაჩვენებელი	აშშ	იაპონია	გერმანია	დიდი ბრიტანეთი	საფრანგეთი
დასახელება	ფასიანი ქალაქდებისა და საფონდო ბირჟების კომისია	ფასიანი ქალაქდების ბიურო	ზედამხედველობის ფედერალური სამმართველო; სახელმწიფო კომისიები (ბირჟებზე ზედამხედველური)	ფასიანი ქალაქდების და ინვესტიციების სამსახური	საბირჟო ოპერაციების კომისია
სტატუსი	დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტო	ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი	საზღვს-ავტონომიური მარეგულირებელი სააგენტო, კომისიები კომისიების მთავრობების ორგანო	არასახელმწიფო ორგანიზაცია რომელიც ფინანსთა სამინისტროს კონტროლის ქვეშ არის.	დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო
დაქვემდებარება	პრეზიდენტისადმი	ფინანსთა მინისტრს	სზღვს-ფინ. სამინისტრ. კომისიები-- მინისტრის მთავრობებს	ფინანსთა მინისტრს	მთავრობისადმი
ხელმძღვანელობის დანიშვნის წესი	კომისიის წევრს ხელმძღვანელის ჩათვლით ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობით	დირექტორს ნიშნავს ფინანსთა მინისტრი	სახელმწიფო კომისარებს ნიშნავს მინისტრის მთავრობები	საბჭო წევრებს ნიშნავს ფინ. მინისტრი ინგლისის ბანკის თავმჯდომარესთან ერთად	თავმჯდომარეს ნიშნავს მთავრობა, დანარჩენი წევრები წარმოადგენენ სხვა-დასხვა დაინტერესებულ მხარეებს
რეგიონალური ქსელის არსებობა	+	+	სზღვს — ცენტრ. ბანკის ქსელის მეშვეობით	თვითრეგულირება დი ორგანიზაციების მეშვეობით	თვითრეგულირება დი ორგანიზაციების მეშვეობით

ცხრილი №4

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა მეზობელ ქვეყნებში

მუდარების მაჩვენებელი	თურქეთი	რუსეთი	საქართველო	მოლდოვა	ბელორუსია	სომხეთი
დასახელება	კაპიტალის ბაზრის საბჭო	ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფედერალური კომისია	ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების ინსპექცია	ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო კომისია	ფასიანი ქაღალდების ინსპექცია	ფასიანი ქაღალდების ინსპექცია
სტატუსი	დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო	რფ-ის მთავრობის სტრუქტურული ქვედანაყოფი	ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი	მთავრობის სტრუქტურაში მყოფი ქვედანაყოფი	ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი	ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი
დაქვემდებარება	მთავრობისადმი	რფ-ის პრეზიდენტი	ფინანსთა სამინისტრო	მთავრობისადმი	ფინანსთა სამინისტრო	ფინანსთა სამინისტრო
რეგონალური ქსელის არსებობა	+	+	-	-	-	-

# სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობები

■ დავით ამაღლობელი

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით ამიერკავკასიის სამი დამოუკიდებელი ქვეყნის ინტეგრაცია ერთიანი ეკონომიკური სივრცის ქვეშ შეუძლებელ ამოცანად წარმოგვიდგება. თუმცა პერსპექტივის თვალსაზრისით ამგვარი ინტეგრაცია სამივე ქვეყნის ინტერესის სფეროში უნდა შედიოდეს, რადგან ეს მათი კეთილდღეობის ამაღლების სერიოზულ გარანტს წარმოადგენს. ეკონომიკური ინტეგრაციის იდეა, პოტენციური სარგებლის გათვალისწინებით, მიმზიდველია სამივე ქვეყნისათვის და როდესაც მოიხსნება ამ გზაზე არსებული პოლიტიკური ბარიერები, მაშინ ეს საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში. (თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებული პოლიტიკური პრობლემების მოგვარების ყველაზე სერიოზულ საშუალებად ეკონომიკური ბერკეტები უნდა მივიჩნიოთ). იმისათვის, რათა იმ მომენტისათვის, როდესაც ინტეგრაციის საკითხი დაისმება, ქვეყნები მოუმიზადებელი არ აღმოჩნდნენ, საჭიროა უკვე დღეიდან დაიწყოს გარკვეული მუშაობა ამ მიმართებით, ხოლო იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს საჭიროა გამოაშკარავდეს, თუ როგორი მდგომარეობაა დღესდღეისობით სამივე ქვეყანაში და დაისვას საკითხი კონკრეტული ქვეყნის წინაშე, რომლის გადაჭრაც იქნება აუცილებელი სამივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული თემის მიზანიც, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოავლინოს და შეფასება გაუკეთოს კავკასიის ამ სამივე ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და დასახოს კონკრეტული წინადადებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ინტეგრაციული პროცესების დაწყებას.

სწრაფვისაკენ და კონკრეტული საკითხების მიმართ ერთიანი პოლიტიკების ჩამოყალიბებისაკენ. ორიენტაციის თვალსაზრისით შეიძლება ამორჩეულ იქნეს ევროპის ქვეყნების გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს კავკასიაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბებას და სტიმულს მისცემს რეგიონის ქვეყნებს ევროპის ერთიან სივრცეში ინტეგრაციაში.

ინტეგრაციის ხელშეწყობის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ბერკეტი ეკონომიკის სფეროში გატარებული პოლიტიკების ჰარმონიზირება წარმოადგენს. ამ მიმართებაში საჭიროა ნათელი მოვფინოთ, თუ როგორია კავკასიის სამივე ქვეყნის მიერ აღებული კურსი და როგორია თითოეული მათგანის პოლიტიკა, რა მიღწევები და სისუსტეებია დამახასიათებელი მათთვის.

საქართველოსათვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის დამახასიათებელია ერთიანი ისტორიული მემკვიდრეობა და მათ აერთიანებთ ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცე. საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად სამივე ქვეყანა მსგავსს სიტუაციაში აღმოჩნდა, რაც გამოიხატებოდა ტრადიციული სავაჭრო კავშირების მოშლაში, ვაჭრობის პირობების მკვეთრ გაუარესებაში ვინაიდან ძირითადი მიმწოდებლები მსოფლიო ფასებზე გადავიდნენ, შეიარაღებულ კონფლიქტებში (აფხაზეთი, სამაჩაბლო, ყარაბაღი) და სხვა. შედეგად კავკასიის სამივე ქვეყანაში წარმოიშვა სერიოზული მაკროეკონომიკური დისბალანსები. მაგალითისათვის, 1990-1995 წლებში სომხეთში მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება შემცირდა 48%-ით, აზერბაიჯანში - 60%-ით, ხოლო საქართველოში თითქმის 72%-ით.

## სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციისათვის წინადადებული მოზარადა უკვე დღეიდან უნდა დაიწმოს

ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს საბოლოო მიზანს, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გამოხატულ იქნეს პოლიტიკური ნება და მზადყოფნა სამივე ქვეყნის მხრიდან. საბოლოო ინტეგრაციის მისაღწევად საჭირო იქნება კონკრეტული ეტაპების გავლა. საჭიროა ქვეყნებში ინტეგრაციისათვის ნიადაგის მომზადება, რაც გამოიხატება სამივე ქვეყანაში სტრუქტურულ უნიფიკაციის

**კრიზისის პირველივე წლებში ყველაზე დიდი დაცემა საქართველოს ეკონომიკამ განიცადა, თუმცა შედარებით უფრო მაღალი ზრდის ტემპის წყალობით საქართველოს მშპ-ს დონე გაიწვ უფრო მაღალი რჩება მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.**

სირთულეების წინაშე 1994 წლის შემოდგომიდან რეგიონის სამივე ქვეყანა შეუდგა სტაბილიზაციის პროგრამას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად. საერთაშორისო

სავალუტო ფონდიდან, მსოფლიო ბანკიდან, ევროკავშირიდან და სხვა უცხოელი დონორებისა და კრედიტორების საშუალებით მოზიდული სახსრების გამოყენების შედეგად რეფორმები კავკასიის სამივე ქვეყანაში მეტად წარმატებული აღმოჩნდა. ამასთან, მთავრობების მხრიდან რეფორმების პროგრამის მტკიცე მხარდაჭერის და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ტექნიკური დახმარების შედეგად კავკასიის სამივე ქვეყანაში შეიქმნა და გაძლიერდა ის ძირითადი სამთავრობო რგოლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. ეკონომიკების გამოცოხლების პირველი ნიშნები სტაბილიზაციის პროგრამის წამოწყების პირველივე ხანებიდან შეინიშნებოდა. ამ მხრივ პირველმა ეკონომიკურ ზრდას სომხეთმა მიაღწია, როდესაც 1994 წელს მშპ-ს ზრდის ტემპი 5.4% იყო, შემდეგ 1995 წელს საქართველო - 2.4% და 1996 წელს აზერბაიჯანი 1.3%. შემდგომ პერიოდში თითოეულ ქვეყანაში წარმოების ზრდა მიმდინარეობდა. ყველაზე მაღალი ზრდა წარმოებისა დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის (იხ. ცხრ. №1). თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ წარმოების ყველაზე მკვეთრი დაცემა 1991-1995 წლებში საქართველომ განიცადა, ამიტომაც

რეალური ზრდა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნომინალური. აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ სანაყისი დონეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1992 წელს საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ როგორც სომხეთს, ასევე აზერბაიჯანს. მაგალითისათვის, 1992 წელს თუკი სომხეთი აწარმოებდა ნახევარი მილიარდი დოლარის პროდუქციას, ხოლო აზერბაიჯანი 1.31 მილიარდისას, იმავე პერიოდის განმავლობაში საქართველოში წარმოებული იქნა 5 მილიარდი დოლარის საქონელი და მომსახურება. კრიზისის პირველივე წლებში ყველაზე დიდი დაცემა საქართველოს ეკონომიკამ განიცადა, თუმცა შედარებით უფრო მაღალი ზრდის ტემპების წყალობით საქართველოს მშპ-ს დონე მაინც უფრო მაღალი რჩება მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

**განსხვავებით სომხეთისაგან საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის ერთციფრიანი ინფლაცია იყო დამახასიათებელი**

90-იანი წლების დასაწყისში კავკასიის ქვეყნებისათვის ასევე დამახასიათებელი იყო სამომხმარებლო ფასების ინფლაციის მაღალი დონე. ყველაზე მაღალი ინფლაციის ტემპი ამჯერადაც საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი, როდესაც 1994 წელს ინფლაციამ 8000%-იან ნიშნულს მიაღწია, თუმცა ამ შემთხვევაში საქართველომ ყველაზე ადრე შესძლო კრიზისისათვის დაეღწია თავი და უკვე 1995 წელს ინფლაციის ტემპი საქართველოში ორციფრიან დონემდე დავიდა, ხოლო 1997 წლის

მონაცემებით კი საქართველოში და აზერბაიჯანში ერთციფრიანი ინფლაცია მიმდინარეობდა.

კავკასიის სამი ქვეყნიდან საქართველომ ყველაზე გვიან შემოიღო საკუთარი ეროვნული ვალუტა და ალბათ სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ქართულ ლარს სერიოზული დეველვაცია არ განუცდია, განსხვავებით აზერბაიჯანული მანათისა და სომხური დრამისაგან.

კავკასიის სამივე ქვეყანამ სტრუქტურული რეფორმების განხორციელების მიზნით პრივატიზაციის პროგრამების განხორციელებას შეუდგა. კერძო საკუთრებაზე გადასვლა სამივე ქვეყანაში პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება. პრივატიზაციის განხორციელების მიზნით სომხეთსა და აზერბაიჯანში შექმნილია სპეციალური საპრივატიზაციო კომიტეტები, ხოლო საქართველოში ფუნქციონირებს სამინისტრო. მცირე საშუალო ობიექტთა პრივატიზება კავკასიის სამივე ქვეყანაში დასრულებულია, ხოლო მსხვილ ობიექტთა პრივატიზება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. გამოყენებულ იქნა ერთნაირი საპრივატიზაციო მეთოდები, კერძოდ ვაუჩერები და ტენდერები.

**სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში მკაცრი ფისკალური პოლიტიკა ტარდება**

კავკასიის სამივე ქვეყანაში ფისკალური პოლიტიკა მკაცრი ფორმებით ხასიათდება, რის შედეგადაც სახლმწიფო ბიუჯეტების დეფიციტი თანდათანობით შემცირდა. ასე მაგალითად, თუკი სომხეთში 1994 წელს ფისკალური დეფიციტი 16.5% იყო, 1995 წელს ეს მაჩვენებელი 9.9%-მდე, ხოლო 1996 წელს 8,5%-მდე შემცირდა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო აზერბაიჯანში, სადაც 1997 წელს ფისკალურმა დეფიციტმა მხოლოდ 2% შეადგინა. საქართველოშიც მსგავსად შეინიშნებოდა საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების ტენდენცია, კერძოდ თუკი 1994 წელს ეს მაჩვენებელი 16.5% იყო, 1997 წლის მონაცემებით იგი - 2%-მდე დავიდა. სამივე ქვეყანაში საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება მოხდა შემოსავლების მხარის გადიდების და ერთდროულად ხარჯვითი ნაწილის შემცირების

შედეგობით. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიდან ამოღებულ იქნა მთავრობის სუბსიდიები ცალკეული დარგების და საწარმოების მიმართ, მაგალითისთვის პურის და გაზის სუბსიდიების აღმოფხვრით, აგრეთვე საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გზით. თითოეული ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მნიშვნელოვანი წილი უკავია სოციალურ ხარჯებს, კერძოდ სომხეთში ბიუჯეტის ხარჯების საახლოებით 23% ამ სფეროზე მოდის, აზერბაიჯანში - 30%, ხოლო საქართველოში კი დაახლოებით 34%-ია. ყველაზე დიდი მუხლი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში უკავია საქონლისა

და მომსახურების შეძენას, კერძოდ სომხეთის მთავრობა ამ კუთხით მოიხმარს მთელი ხარჯების 47%-ს, აზერბაიჯანი - 30%-ს, ხოლო საქართველო - 30%-ს. სომხეთში ხელფასებზე ხარჯები მთელი დანახარჯების დაახლოებით 19%-ს შეადგენს,

აზერბაიჯანში დაახლოებით 20%-ს, ხოლო საქართველოში - 16%-ს. თითოეული ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ხარჯებს ვალეების მომსახურებაზე.

თითოეული ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში ყველაზე დიდი ადგილი საგადასახადო შემოსავლებს უჭირავთ. 1994-96 წლებში საქართველოსა და სომხეთის შემოსავლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი გრანტებს ჰქონდათ დათმობილი, თუმცა მათი წილი 1997 წლიდან საგრძნობლად შემცირდა. ასე მაგალითად, თუკი 1995 წელს გრანტის სახით საქართველოს ბიუჯეტმა 71 მილიონილარი მიიღო, 1997 წელს ეს მაჩვენებელი 25.6 მილიონ დოლარამდე შემცირდა. საგადასახადო შემოსავლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავალი საქართველოში დღგ-ს საშუალებით მიიღება. შემდეგ მოდის საშემოსავლო გადასახადი, საბაჟო გადასახადი, აქციზი. მოგების გადასახადი კი მე-5 ადგილზეა. მაშინ როდესაც როგორც სომხეთში, ისე აზერბაიჯანში ამ გადასახადიდან მიღებული შემოსავლები ბიუჯეტში საკმაოდ მაღალ დონეზე რჩება.

სომხეთში 1994-95 წლებში ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავლები მოგების გადასახადიდან მიიღებოდა, თუმცა 1997 წელს დღგ-მ გადაინაცვლა პირველ ადგილზე, ხოლო მეორეზე სოციალური ანარიცხები აღმოჩნდა, რაც შეეხება მოგების გადასახადს იგი შემოსავლების სტრუქტურაში მე-3 ადგილზე იმყოფება. პირად საშემოსავლო გადასახადს კი მეოთხე ადგილი უჭირავს. აზერბაიჯანის ფისკალური შემოსავლების სტრუქტურაში მსგავს ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, რაც სომხეთს. კერძოდ, თუკი 1994-96 წლებში ყველაზე მეტი შემოსავალი ბიუჯეტისათვის მოგების გადასახადს მოჰქონდა, 1997 წელს პირველ ადგილზე დღგ აღმოჩნდა, მეორეზე გადაინაცვლა მოგების გადასახადმა, ხოლო მესამეზე სოციალური ანარიცხები. მეოთხე ადგილზეა პირადი საშემოსავლო გადასახადი.

აზერბაიჯანის და სომხეთის ბიუჯეტისათვის სერიოზული შემოსავალი მოაქვს სოციალური დაზღვევის ანარიცხებს (დაახლოებით 16% მთლიანი შემოსავლების), მაშინ როდესაც საქართველოში ამ გადასახადიდან მიღებული შემოსავალი უმნიშვნელოა. საბაჟო გადასახადიდან

მიღებული შემოსავლები საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სტრატეგიულ საექსპორტო გადასახადს.

**მონეტარული პოლიტიკის ძირითადი განმარტებითი-ელეგალი ორგანო კავკასიის სამივე ქვეყანაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ეროვნული ბანკია**

უკანასკნელ წლებში სერიოზული პროგრესი განიცადა საბანკო სფეროში კავკასიის სამივე ქვეყანაში. მონეტარული პოლიტიკის ძირითად განმარტებით ელემენტებს ორგანოდ ეროვნული ბანკები ითვლებიან. ისინი სარგებლობენ დამოუკიდებლობით და ახორციელებენ საკუთარ პოლიტიკას ორი მიმართულებით, კერძოდ ფასთა სტაბილურობის მიღწევა და ჯანსაღი საბანკო სისტემის დამკვიდრება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლამდე აზერბაიჯანის ეროვნულ ბანკს არ ჰქონდა უფლება ეწარმოებინა დამოუკიდებელი პოლიტიკა, რადგან მისი თითოეული ნაბიჯი საჭიროებდა პარლამენტის თანხმობას. დღევანდელი მდგომარეობით ეს პრაქტიკა გაუქმებულია. ეროვნულ ბანკთან ერთად თითოეულ ქვეყანაში მოქლიერდნენ კომერციული ბანკები, თუმცა ამ მხრივ აზერბაიჯანი ჩამორჩება საქართველოს და სომხეთს. აზერბაიჯანში დომინირებული მდგომარეობა უკავია ოთხ მსხვილ სახელმწიფო ბანკს, თუმცა პარალელურად ფუნქციონირებს დაახლოებით 160 მცირე ბანკი. სომხეთში საბანკო სექტორში განთავსებული აქტივების დაახლოებით 70% ასევე მსხვილ, მაგრამ აზერბაიჯანისაგან განსხვავებით კომერციულ ბანკებს ეკუთვნის. ამათ გარდა ფუნქციონირებს 28 შედარებით მცირე კომერციული ბანკი, საქართველოშიც რამოდენიმე მსხვილ კომერციულ ბანკს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა, თუმცა დაახლოებით 50-მდე კომერციული ბანკი მოქმედებს.

თითოეულ ქვეყანაში ეროვნული ბანკები

**კავკასიის თითოეულ ქვეყანაში ეროვნული ბანკები მონეტარული პოლიტიკის ერთიანი პოლიტიკის ინსტრუმენტად იყენებენ**

სულ რამოდენიმე ძირითად მონეტარულ ინსტრუმენტს იყენებენ. კერძოდ, ესენია საკრედიტო აუქციონები, აუცილებელი სარეზერვო შენატანები და ბანკთაშორის სავალუტო ბირჟებზე ოპერაციები, ამას გარდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნული ბანკები მიმართავენ სახაზინო ვალდებულებების აუქციონებს (საქართველოში ამ ოპერაციებს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს). სომხეთში გავრცელებული 28-დღიანი, 91-დღიანი და 182 დღიანი აუქციონები, ხოლო აზერბაიჯანში მხოლოდ 91-დღიანი აუქციონები. ყველაზე

მნიშვნელოვანი იარაღი ეროვნული ბანკების ხელში სარეზერვო ნორმაა. საქართველოში სარეზერვო ნორმის დონე 12%-ით განისაზღვრება, აზერბაიჯანში 15%-ია, თუმცა თავდაპირველი ნორმა 12%-ს უდრიდა.

თავდაპირველად სომხეთის ეროვნული ბანკის სარეზერვო მოთხოვნა 15% იყო. ამჟამად განსხვავებული სისტემა მოქმედებს, კერძოდ, სარეზერვო მოთხოვნა ფიზიკური პირების საერთო დეპოზიტებიდან - 3%; მიმდინარე დეპოზიტებზე, ერთ თვემდე ვადიან დეპოზიტებზე და არარეზიდენტი ბანკების საკორესპონდენტო დეპოზიტებზე - 15%; და ბოლოს, ვადიან დეპოზიტებზე, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან საინვესტიციო მიზნებისათვის აღებულ სესხებზე და ბანკების გრძელვადიან ვალდებულებებზე - 3%. ამ ცვლილებების შემდეგ მთლიანი სარეზერვო მოთხოვნა 3%-ით შემცირდა და 12%-მდე დაეცა.

კავკასიის სამი ქვეყნიდან აზერბაიჯანს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ყველზე დიდი დეფიციტი გააჩნდა (კერძოდ, -916 მლნ. დოლარი), თუმცა თუკი ნავთობის სექტორის განვითარებაზე დახარჯულ უცხოურ კაპიტალს გამოვაკლებთ, მაშინ 1997 წელს დეფიციტი არა 916 მლნ. დოლარი, არამედ 331 მილიონი დოლარი იქნება. მსხვილი დეფიციტებია დამახასიათებელი საქართველოსათვის და სომხეთისათვის. თუმცა რეალურად საქართველო უფრო უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან მიმდინარე ოპერაციათა სალდოს დეფიციტი მშპ-ში მხოლოდ -10.2%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში - 23.7% -ს, ხოლო სომხეთში - 27%-ს.

**კავკასიის სამივე ქვეყანას შორის სომხეთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა შედარებით კონკურენტუნარიან ბაზრებზე ბასვლის საქმეში**

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ კავკასიის თითოეულმა რესპუბლიკამ საგარეო ვაჭრობის მიმართულება შეცვალა. ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად სომხეთს საერთოდ არ გააჩნია ვაჭრობა აზერბაიჯანთან და თურქეთთან. სომხეთმა ყველაზე წარმატებულად შეძლო ვაჭრობის მიმართულების შეცვლა და უფრო კონკურენტუნარიან ბაზრებზე გასვლა. ასე მაგალითად, 1996 წელს სომხეთის ექსპორტის დახლოებით 21% ევროკავშირის ქვეყნებს მიენოდა, ხოლო 35% დანარჩენ მსოფლიოს (დსთ-ს გამოკლებით). საქართველოდან და აზერბაიჯანიდან თითოეულიდან ევროკავშირში ექსპორტმა მხოლოდ 9% შეადგინა. საქართველო ჯერ-ჯერობით ისევ დამოკიდებულია ტრადიციულ ბაზრებზე და ექსპორტის 64% დსთ-ში გაიტანება. რაც შეეხება იმპორტს ამ მხრივაც დსთ-ს ქვეყნებიდან ყველაზე მეტი საქართველოს მიერ მოიხმარება (საქართველოს მთელი ვაჭრობის დაახლოებით 38%), მაშინ

როდესაც სომხეთი მოიხმარს 30%-ს, ხოლო აზერბაიჯანი 35%-ს.

სომხეთის ყველაზე მსხვილ სავაჭრო

**სომხეთის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს რუსეთი, ბელგია და ირანი წარმოადგენენ**

პარტნიორს წარმოადგენს რუსეთი, სადაც მთელი ექსპორტის (1996 წელს) 33.1% მიედინება. შემდეგი მსხვილი პარტნიორებია ბელგია (მთელი ექსპორტის 15.4%), ირანი (15.1%), თურქმენეთი (6%). რაც შეეხება იმპორტს, ამ მხრივ ყველაზე მსხვილ პარტნიორს წარმოადგენს ირანი, საიდანაც მთელი იმპორტის მოცულობის 17.5% შემოედინება, შემდეგ მოდიან რუსეთი (მთელი იმპორტის 13.9%) და აშშ (12.1%).

სომხეთის ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენენ დაბალ-ტექნოლოგიური, მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საქონელები, მეტწილად სამკაულებს. რუსეთიდან ხდება ოქროსა და ბრილიანტის იმპორტირება გადამუშავების მიზნით და შემდეგ ხდება მათი რე-ექსპორტი დასავლეთში. სამკაულების ექსპორტი სომხეთის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 35%-ს შეადგენს. სხვა საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენენ მანქანა-მონწყობილობები (14%), ლითონები (11.5%), მინერალური პროდუქცია (16.6%). რაც შეეხება იმპორტს, ყველაზე დიდი წილი კვების პროდუქტებს უკავია (დაახლოებით 40% მთელი იმპორტის), შემდეგ მინერალურ პროდუქციას, გაზისა და ნავთობის ჩათვლით (25.2%), მანქანა-მონწყობილობების იმპორტს კი მხოლოდ 5% უკავია.

აზერბაიჯანის ყველზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია ირანი, რომელზეც მთელი ექსპორტის 35.8% მოდის. მეორე ადგილზეა რუსეთი (მთელი ექსპორტის 17.6%), ხოლო მესამეზე კი საქართველო (14.5%). ასევე სერიოზულ პარტნიორებს წარმოადგენენ თურქეთი და თურქმენეთი, რომლებიც

**აზერბაიჯანის ყველაზე მსხვილი პარტნიორი ირანია**

შესაბამისად აზერბაიჯანული ექსპორტის 6.2%-ს და 5.4%-ს მოიხმარენ. აზერბაიჯანს ძირითადი საიმპორტო პროდუქცია თურქეთიდან შეაქვს (მთელი იმპორტის 22.5%). შემდეგ ძირითადი პარტნიორია რუსეთი (16.5% მთელი იმპორტის), უკრაინა (9.8%) და გერმანია (8%). აზერბაიჯანის ექსპორტის ძირითად პროდუქციას ნავთობი წარმოადგენს, რომელზეც მთელი ექსპორტის 69% მოვიდა 1996 წელს. ნავთობზე სპეციალიზაცია რამოდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად აზერბაიჯანმა სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციის ტრადიციული

მნიშვნელოვანი იარაღი ეროვნული ბანკების ხელში სარეზერვო ნორმაა. საქართველოში სარეზერვო ნორმის დონე 12%-ით განისაზღვრება, აზერბაიჯანში 15%-ია, თუმცა თავდაპირველი ნორმა 12%-ს უდრიდა.

თავდაპირველად სომხეთის ეროვნული ბანკის სარეზერვო მოთხოვნა 15% იყო. ამჟამად განსხვავებული სისტემა მოქმედებს, კერძოდ, სარეზერვო მოთხოვნა ფიზიკური პირების საერთო დეპოზიტებიდან - 3%; მიმდინარე დეპოზიტებზე, ერთ თვემდე ვადიან დეპოზიტებზე და არარეზიდენტი ბანკების საკორესპონდენტო დეპოზიტებზე - 15%; და ბოლოს, ვადიან დეპოზიტებზე, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან საინვესტიციო მიზნებისათვის აღებულ სესხებზე და ბანკების გრძელვადიან ვალდებულებებზე - 3%. ამ ცვლილებების შემდეგ მთლიანი სარეზერვო მოთხოვნა 3%-ით შემცირდა და 12%-მდე დაეცა.

კავკასიის სამი ქვეყნიდან აზერბაიჯანს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ყველზე დიდი დეფიციტი გააჩნდა (კერძოდ, -916 მლნ. დოლარი), თუმცა თუკი ნავთობის სექტორის განვითარებაზე დახარჯულ უცხოურ კაპიტალს გამოვაკლებთ, მაშინ 1997 წელს დეფიციტი არა 916 მლნ. დოლარი, არამედ 331 მილიონი დოლარი იქნება. მსხვილი დეფიციტებია დამახასიათებელი საქართველოსათვის და სომხეთისათვის. თუმცა რეალურად საქართველო უფრო უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან მიმდინარე ოპერაციათა სალდოს დეფიციტი მშპ-ში მხოლოდ -10.2%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში - 23.7% -ს, ხოლო სომხეთში - 27%-ს.

**კავკასიის სამივე ქვეყანას შორის სომხეთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა შედარებით კონკურენტუნარიან ბაზრებზე გასვლის საქმეში**

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ კავკასიის თითოეულმა რესპუბლიკამ საგარეო ვაჭრობის მიმართულება შეცვალა. ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად სომხეთს საერთოდ არ გააჩნია ვაჭრობა აზერბაიჯანთან და თურქეთთან. სომხეთმა ყველაზე წარმატებულად შეძლო ვაჭრობის მიმართულების შეცვლა და უფრო კონკურენტუნარიან ბაზრებზე გასვლა. ასე მაგალითად, 1996 წელს სომხეთის ექსპორტის დახლოებით 21% ევროკავშირის ქვეყნებს მიენოდა, ხოლო 35% დანარჩენ მსოფლიოს (დსთ-ს გამოკლებით). საქართველოდან და აზერბაიჯანიდან თითოეულიდან ევროკავშირში ექსპორტმა მხოლოდ 9% შეადგინა. საქართველო ჯერ-ჯერობით ისევ დამოკიდებულია ტრადიციულ ბაზრებზე და ექსპორტის 64% დსთ-ში გაიტანება. რაც შეეხება იმპორტს ამ მხრივაც დსთ-ს ქვეყნებიდან ყველაზე მეტი საქართველოს მიერ მოიხმარება (საქართველოს მთელი ვაჭრობის დაახლოებით 38%), მაშინ

როდესაც სომხეთი მოიხმარს 30%-ს, ხოლო აზერბაიჯანი 35%-ს.

**სომხეთის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს რუსეთი, ბელგია და ირანი წარმოადგენენ**

პარტნიორს წარმოადგენს რუსეთი, სადაც მთელი ექსპორტის (1996 წელს) 33.1% მიედინება. შემდეგი მსხვილი პარტნიორებია ბელგია (მთელი ექსპორტის 15.4%), ირანი (15.1%), თურქმენეთი (6%). რაც შეეხება იმპორტს, ამ მხრივ ყველაზე მსხვილ პარტნიორს წარმოადგენს ირანი, საიდანაც მთელი იმპორტის მოცულობის 17.5% შემოედინება, შემდეგ მოდიან რუსეთი (მთელი იმპორტის 13.9%) და აშშ (12.1%).

სომხეთის ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენენ დაბალ-ტექნოლოგიური, მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საქონელს, მეტწილად სამკაულებს. რუსეთიდან ხდება ოქროსა და ბრილიანტის იმპორტირება გადამუშავების მიზნით და შემდეგ ხდება მათი რე-ექსპორტი დასავლეთში. სამკაულების ექსპორტი სომხეთის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 35%-ს შეადგენს. სხვა საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენენ მანქანა-მონწყობილობები (14%), ლითონები (11.5%), მინერალური პროდუქცია (16.6%). რაც შეეხება იმპორტს, ყველაზე დიდი წილი კვების პროდუქტებს უკავია (დაახლოებით 40% მთელი იმპორტის), შემდეგ მინერალურ პროდუქციას, გაზისა და ნავთობის ჩათვლით (25.2%), მანქანა-მონწყობილობების იმპორტს კი მხოლოდ 5% უკავია.

აზერბაიჯანის ყველზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია ირანი, რომელზეც მთელი ექსპორტის 35.8% მოდის. მეორე ადგილზეა რუსეთი (მთელი ექსპორტის 17.6%), ხოლო მესამეზე კი საქართველო (14.5%). ასევე სერიოზულ პარტნიორებს წარმოადგენენ თურქეთი და თურქმენეთი, რომლებიც

**აზერბაიჯანის ყველაზე მსხვილი პარტნიორი ირანია**

შესაბამისად აზერბაიჯანული ექსპორტის 6.2%-ს და 5.4%-ს მოიხმარენ. აზერბაიჯანს ძირითადი საიმპორტო პროდუქცია თურქეთიდან შეაქვს (მთელი იმპორტის 22.5%). შემდეგ ძირითადი პარტნიორია რუსეთი (16.5% მთელი იმპორტის), უკრაინა (9.8%) და გერმანია (8%). აზერბაიჯანის ექსპორტის ძირითად პროდუქციას ნავთობი წარმოადგენს, რომელზეც მთელი ექსპორტის 69% მოვიდა 1996 წელს. ნავთობზე სპეციალიზაცია რამოდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად აზერბაიჯანმა სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციის ტრადიციული

მომხმარებლები დაკარგა. მეორე, 90-იან წლებში მსოფლიო ბაზრებზე აღინიშნებოდა ნავთობზე ფასების ზრდა, მაშინ როდესაც ბამბაზე ფასები კლებას განიცდიდა. ამ ფაქტმა დამატებითი სტიმული მისცა ნავთობის მოპოვების განვითარებას. და ბოლოს, არა-ნავთობის სექტორის პროდუქციის ექსპორტის სისუსტე გარკვეული დონით აიხსნება მანათის რეალური გაცვლითი კურსის ამალღებით.

აზერბაიჯანის იმპორტის მოცულობის ზრდა ძირითადად აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსო-

რციუმის მიერ მანქანა-**აბსოლიტური მონაცემებით საბარათლოს ყველაზე დიდი საბარათო დავალიანება გააჩნია**

დვების ხარჯზე ხდება, თუმცა ბოლო წლებში განდაკუთრებულად გაიზარდა სამომხმარებლო პროდუქციის იმპორტი. ამას გარდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორბლისა და სხვა კვების პროდუქტების იმპორტი ევროკავშირიდან.

1997 წლის მდგომარეობით, წინა წელთან განსხვავებით, საგადასახდელი ბალანსი დადებითი იყო, რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ კაპიტალის შემოდინებამ ფაქტიურად მთლიანად დაფარა მიმდინარე ოპერაციათა დეფიციტი. ამ მოვლენამ კი თავის მხრივ განაპირობა საერთაშორისო ოფიციალური რეზერვების მკვეთრი ზრდა, რომელიც თითქმის გაორმაგდა და 467 მლნ. დოლარს მიაღწია.

### საბარათლოს ყველაზე მსხვილ პარტნიორს სომხეთის მსგავსად რუსეთი წარმოადგენს

საქართველოს ყველაზე მსხვილ პარტნიორს სომხეთის მსგავსად რუსეთი წარმოადგენს. 1997 წლის მონაცემებით საქართველოს ექსპორტის 30%-მდე რუსეთზე მოდიოდა, შემდეგი მსხვილი პარტნიორების თურქეთი (13.1%), აზერბაიჯანი (10.9%) და სომხეთი (8.2%). იმპორტის გეოგრაფიული განაწილება დიდად არ განსხვავდება ექსპორტის გეოგრაფიული განაწილებისაგან, კერძოდ მთელი იმპორტის მოცულობის 13.4% რუსეთზე მოდის, აზერბაიჯანზე 12.4%, თურქეთზე - 12.3% და აშშ-ზე - 7.5%. საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქციის სიაში წინა რიგები ელექტროენერგიას, მინერალურ წყლებს, ფოლადს და ალკოჰოლიან სასმელებს უკავიათ, ხოლო იმპორტის სტრუქტურაში ყველაზე დიდი ადგილი ნავთობპროდუქტების, თამბაქოს ნაწარმს და მანქანა-მოწყობილობებს უკავიათ.

უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის ხელშეწყობა სამივე ქვეყნის საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაში ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უკავია. სამივე ქვეყანას მიღებული აქვს კანონები უცხოური ინვესტიციების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელ ინვესტორებს თავისუფალი მოქმედების უფლება ენიჭებათ. სომხეთს უცხოელი ინვესტორებისათვის საგადასახადო შეღავათებიც აქვს გათვალისწინებული. რეგიონში

უცხოური ინვესტიციების ყველაზე მსხვილი მიმღები ქვეყანა აზერბაიჯანია, რაც ძირითადად ნავთობის წარმოების გაფართოებას ხმარდება. საქართველოშიც უცხოური ინვესტიციების შემოდინება ძირითადად ნავთობსადენის და ტერმინალის მშენებლობაზე იხარჯება. კერძოდ, 1997 წელს 65 მილიონი დოლარის ინვესტიცია იქნა განხორციელებული ნავთობსადენის მშენებლობაში. რაც შეეხება ნავთობსადენთან კავშირში არ მყოფ ინვესტიციებს, მათმა მოცულობამ 150 მილიონი დოლარი შეადგინა.

როგორც მე-8 ცხრილიდან ჩანს კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი საბარათო ვალი აქვს საქართველოს, ხოლო აზერბაიჯანს ყველზე ნაკლები დავალიანება აქვს. მაგრამ თუკი საბარათო დავალიანებას მშპ-თან მიმართებაში განვიხილავთ, საქართველოს მაჩვენებელი ამ მხრივ 29.4%-ია, მაშინ როდესაც სომხეთისა - 50.3%. ციფრი 29.4% მიუთითებს იმაზე, რომ რეალურად საქართველოს საბარათო დავალიანება ნორმის ფარგლებშია და არ უნდა იძლეოდეს რაიმე განსაკუთრებული შეშფოთების საფუძველს. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საბარათო ვალის მომსახურებას ექსპორტის მოცულობაში

მხოლოდ 8.5% უკავია (მაშინ როდესაც სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელი 22%-ია), რაც ასევე არცთუ მაღალი მაჩვენებელია.

რეგიონის ქვეყნების კრედიტორებად როგორც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ასევე ცალკეული ქვეყნები გამოდიან. სომხეთის ძირითადი კრედიტორი ქვეყანაა რუსეთი, აგრეთვე ევროკავშირის სახელმწიფოები. საქართველოს საბარათო დავალიანების დაახლოებით 1/4-ზე მეტი თურქმენეთზე მოდის. აზერბაიჯანის ყველზე მსხვილი კრედიტორი კი თურქეთია, რომელზეც მთელი საბარათო დავალიანების 39% მოდის. სამივე ქვეყანა აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ვალების რესტრუქტურისაზაციის თაობაზე.

როგორც ვხედავთ, კავკასიის სამივე ქვეყანაში ერთი მიმართულების ეკონომიკური პოლიტიკა ტარდება თუმცა თითოეული ქვეყანა ამ მხრივ მეტნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. ცალკეულმა ქვეყნებმა ცალკეულ სექტორებში მიაღწიეს წარმატებას, ხოლო სხვა სფეროები შედარებით განუვითარებელი დარჩა. ასე მაგალითად, აზერბაიჯანმა ბოლო პერიდის განმავლობაში შეძლო მხოლოდ განეითარებინა ნავთობის სექტორი, ხოლო სხვა სფეროები ფაქტიურად უმნიშვნელო დონით გაიზარდა. რეალური ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევის მიზნით, საჭიროა, რომ კავკასიის სამივე ქვეყანაში მეტნაკლები დონით ერთნაირი პოლიტიკა გატარდეს და თითოეულ ქვეყანაში მსგავსი მაკროეკონომიკური პარამეტრების იქნეს მიღებული. იმ ფაქტორებს შორის,



რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება ყველაზე მნიშვნელოვანი ტრასეკას პროექტია. ერთიანი სატრანსპორტო კორიდორის ჩამოყალიბება გულისხმობს, რომ მისი მონაწილე ქვეყნები მიმართავენ ერთნაირი სატარიფო პოლიტიკის გატარებას, რაც სტიმულს მისცემს სხვა სფეროებში უნიფიკაციის დანერგვას. კიდევ

ერთი ფაქტორი, რომელიც ინტეგრაციისათვის ხელშემწყობია არის ნავთობსადენებისა და გაზსადენების მშენებლობა კავკასიის ქვეყნებში რაც გაზრდის უცხოელ ინვესტორთა დაინტერესებას რეგიონში და კავკასიის ქვეყნებს გაერთიანებისაკენ უბიძგებს. ასე რომ, სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ინტეგრაცია პერსპექტივის საკითხია, თუმცა ალბათ არცთუ ისე შორეული.

მშპ საბაზო ფასებში (მლრდ. აშშ დოლარებში)

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1992	0,5	1,31	5,0
1993	0,5	1,33	2,2
1994	0,65	1,63	1,7
1995	1,29	2,41	2,4
1996	1,59	3,18	4,4
1997	1,58	3,36	5,3

მშპ- ზრდის ტემპები (%)

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1992	-41,8%	-22,6%	-47,9%
1993	8,6%	-23,1%	-29,3%
1994	5,4%	-19,7%	-11,4%
1995	6,9%	-11,8%	2,4%
1996	5,8%	1,3%	10,5%
1997	3,3%	5,8%	11,0%

მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1992	124	179	911
1993	130	179	413
1994	174	218	310
1995	374	322	451
1996	423	421	664
1997	437	445	976

სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ტემპები

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1994	5273%	1664%	8000%
1995	176,7%	411,7%	57,4%
1996	18,7%	19,7%	13,7%
1997	14,0%	3,7%	7,3%

დრამის, მანათის და ლარის გაცვლითი კურსები  
დოლართან მიმართებაში

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1994	287	256	--
1995	406	4330	1.280
1996	414	4440	1.252
1997	491	4098	1.297

ცხრილი №6

მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი მლნ. დოლარებში

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1994	-231	-121	-448
1995	-483	-401	-406
1996	-424	-931	-418
1997	-428	-916	-535

ცხრილი №7

მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი მშპ-თან მიმართებაში

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1994	-35,4%	-9,3%	-35,9%
1995	-37,5%	-16,6%	-14,1%
1996	-26,5%	-29,2%	-9,1%
1997	-27%	-23,7%	-10,2%

ცხრილი №8

კუმულატიური საგარეო ვალების მოცულობა  
მლნ. დოლარებში

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1994	200	--	998,5
1995	371	416	1225,4
1996	614	527	1371
1997	798	487	1539

ცხრილი №9

კუმულატიური საგარეო დავალიანების წილი მშპ-ში (%)

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1994	30,7%	--	80,1%
1995	28,8%	17,3%	42,5%
1996	38,5%	16,6%	30%
1997	50,3%	14,5%	29,4%

ცხრილი №10

ვალის მომსახურების წილი ექსპორტში (%)

წლები	ქვეყნები		
	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
1994	3,0%	--	--
1995	20,6%	7,9%	7,3%
1996	18,7%	9,7%	9,6%
1997	22%	7,4%	8,5%

ცხრილი №12

იმპორტისა და ექსპორტის გეოგრაფიული მიმართულება

	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
ექსპორტი	100%	100%	100%
დსთ	44%	46%	64%
ევროკავშირი	21%	9%	9%
დანარჩენი	35%	45%	27%
იმპორტი	100%	100%	100%
დსთ	32%	35%	38%
ევროკავშირი	16%	14%	24%
დანარჩენი	52%	51%	38%

ძირითადი გადასახდების განაკვეთები

	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი
დღგ	20% საქონლის ექსპორტი, ასევე ხორბლის იმპორტი იმეგრება ნულოვანი განაკვეთით. 3000 ლარზე ნაკლები წლიური ბრუნვის შემთხვევაში პირი არ იმეგრება.	20% საქონლის ექსპორტი - 0%.	20% საქონლის ექსპორტზე - 0%.
მოგების გადასახადი	20% საქართველოს სანარმოების მიერ გადახდილ დივიდენდებზე გადახდის წყაროსთან - 10%. გადახდილ პროცენტებზე გადახდის წყაროსთან - 10%;	წლიური მოგება ათას დრამებში: 360-მდე (\$900) - 12%; 360-დან 720-მდე - 18%; 720-დან 1080 - 25%; 1080-ზე მეტი - 30%. ბანკები და სადაზღვევო კომპანიები - 30%; კაზინოები - 70%.	ერთობლივი სანარმოები 30%-ზე ნაკლები უცხოური კაპიტალით: \$200-ათას-მდე - 25%; \$200-დან 400-ათას-მდე - 30%; 400-დან 500-ათას-მდე - 35%. სააქციო კომერციული ბანკები - 45%. ერთობლივი სანარმოები 30%-ზე ნაკლები უცხოური კაპიტალით - 25%; 10%-მთიან რაიონებში.
საშემოსავლო გადასახადი	9ლარამდე - 0%; 200ლარამდე - 12%; 201-დან 350 ლარამდე - 15%; 351-დან 600 ლარამდე - 17%; 601 და მეტი - 20%.	10 მინ. ხელფასამდე - 12%; 10 მ.ბ.-დან 20 მ.ბ.-მდე - 18%; 20 მ.ბ.-დან 40 მ.ბ.-მდე - 25%; 40 მ.ბ. და ზევით - 30%.	0,5 მ.ბ.-მდე - 2%; 0,5 მ.ბ.-დან 1 მ.ბ.-მდე - 6%; 1 მ.ბ.-დან 3 მ.ბ.-მდე - 10%; 3 მ.ბ.-დან 6 მ.ბ.-მდე - 12%; 6 მ.ბ.-დან 12 მ.ბ.-მდე - 15%; 12-დან 20-მდე - 20%; 20-დან 35-მდე - 30%; 35-დან 50-მდე - 40%; 50 მ.ბ.-ს ზევით - 55%.
აქციო	1) ყურძნის ღვინოები და ღვინომასალები, შამპანურის და ცქრიალა ღვინოების გარდა - 15% 2) შემაგრებული ღვინოები - 50%; 3) ყურძნის ცქრიალა და შუმხუნა ღვინოები - 20%; 4) შამპანური ღვინოები - 100%; 5) ვერმუტი, ხილის ღვინოები - 50%; 6) სპირტიანი სასმელები (ბრენდი, არაყი, კობიაკი და სხვა) - 50% და 100%; 7) ლუდი - 15%; 8) ეთილის სპირტი - 100%; 9) თამბაქო 1-ლი და მე-2 ხარისხის - 100%; მე-3, მე-4 და მე-5 ხარისხის - 5%; 10) საიუველირო ნაწარმი - 35%; 11) მსუბუქი ა/მანქანები - 15%; 12) საბურავები - 15%; 13) საავტომობილო ბენზინი - 15%; 14) ეთილირებული ბენზინი - 50%; 15) ხილი - 20%.	სპირტიანი სასმელები - 50% (შიდა) და 75% (იმპორტზე); ლუდი - 50% (შიდა) და 75% (იმპ.); ღვინოები - 25% (შიდა) და 50% (იმპ.); ხიზილა - 50%; თამბაქო - 50%; სამკაული - 25%; ბენჯეული - 25%; ა/მანქანები - 0% (შიდა) და 15% (იმპ.); ხალიჩები - 50%; ბენზინი - 25%. აქციზისაგან განთავისუფლებულია - ნედლეული, რომელიც გამოიყენება სააქციო საქონლის წარმოებაში. საქონლის ექსპორტი დსთ-ს ფარგლებს გარეთ.	ღვინოები - 40-90%; ლუდი - 75%; სპირტი - 90%; თევზეული - 50%; ბენჯეული - 50%; საბურავები - 20%; ხალიჩები - 40%; თამბაქო - 50% (შიდა) და 30% (დსთ-ში ექსპ.); ბენზინი - 52,6%; მასუთი - 26,2%; შოკოლადი - 40%.
სოციალური გადასახადი	1) სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში - 27%. 2) დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში - 1%. 3) ფიზიკური პირების ხელფასიდან სოც. უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში - 1%.	1) დაქირავებული - 34%; 2) დაქირავებული - 1.6%.	1) დასაქმების ერთიან სახ. ფონდში - 2%; 2) საპენსიო ფონდში: ხელფასის ფონდის - 35%; დაქირავებულის ხელფასის - 1%; 3) ინვალიდების ფონდში - 1%.
საბაჟო გადასახადი	საბაჟო მოსაკრებელი - 0,2%;	იმპორტზე 0-დან 10%-მდე. ექსპორტი - 0%.	იმპორტზე 0-დან 70%-მდე. ექსპორტზე - 70%.

წყარო: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

იმპორტი ქვეყნების მიხედვით 1996 წელს

	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
მთლიანი იმპორტი	100	100	100
დსთ	32.4	35.4	38.6
რუსეთი	13.9	16.5	18.7
უკრაინა	1.4	9.8	5.3
ყაზახეთი	0.0	2.0	0.1
თურქმენეთი	10.8	1.5	0.6
სომხეთი	-	-	2.5
აზერბაიჯანი	6.0	-	10.7
საქართველო	-	2.9	-
ევროკავშირი	15.5	14.2	23.7
გერმანია	2.0	8.0	3.7
გაერთ.სამეფო	0.8	1.6	4.7
საფრანგეთი	1.4	1.3	3.5
ბელგია	5.8	0.9	0.7
ჰოლანდია	0.7	0.8	1.8
იტალია	3.1	0.3	4.5
სხვა	52.1	50.4	37.7
აშშ	12.1	1.7	6.6
თურქეთი	0.7	22.5	11.0
ირანი	17.5	6.9	0.4
არაბეთის სამედიტერანეული	3.9	1.3	0.2

ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 1996 წელს ცხრილი

	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
მთლიანი ექსპორტი	100	100	100
დსთ	44.1	46.0	64.5
რუსეთი	33.1	17.6	28.5
უკრაინა	1.7	3.5	2.7
ყაზახეთი	0.4	2.4	1.2
თურქმენეთი	6.0	5.4	6.7
სომხეთი	-	-	10.3
აზერბაიჯანი	-	-	12.5
საქართველო	2.4	14.5	-
ევროკავშირი	21.3	9.3	8.5
გერმანია	1.3	0.5	2.3
გაერთ. სამეფო	1.0	2.1	4.2
საფრანგეთი	0.0	0.1	0.0
ბელგია	15.4	0.1	0.1
ჰოლანდია	3.0	0.0	0.3
იტალია	0.0	1.6	0.9
სხვა	34.6	44.7	27.0
აშშ	1.5	0.3	0.7
თურქეთი	2.1	6.2	13.0
ირანი	15.1	35.8	1.1
არაბეთის სამედიტერანეული	0.7	0.5	0.0

# ოჯახის შემოსავლი

## ■ გრიგოლ ფანცულაია

საქართველოში დღესდღეობით არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც გართულებულია გადასახადების ამოღება და ვერ სრულდება ბიუჯეტი, რის გამოც დიდი სირთულეებთან არის დაკავშირებული ხელფასების, პენსიების და სხვა სოციალური დახმარებების გაცემა, დიდ ინტერესს უნდა იწვევდეს მოსახლეობის შემოსავლები.

ასეთი სოციალური დაძაბულობის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ საშუალო შემოსავალმა II კვარტალის მონაცემებით I კვარტალთან შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც დაინია და შეადგინა 162,3 ლარი ერთ ოჯახზე (ნახ №1). მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი აღემატება გასული წლის ბოლოს მონაცემს, საარსებო მინიმუმის მხოლოდ 95 პროცენტს შეადგენს.

### 1998 წლის I კვარტალიდან მოსახლეობის შემოსავლების კლების ტენდენცია შეინახება.

ეს, აშკარად დადებითი ტენდენცია საარსებო მინიმუმისა და შემოსავლების დაახლოებისა სრულიად მოულოდნელი მიზეზებით აიხსნება. ჩვენი წინა გამოკვლევის შემდეგ ოჯახების საშუალო შემოსავალი უმნიშვნელოდ მაგრამ მაინც შემცირდა (163 ლარიდან 162,3 ლარამდე), სამაგიეროდ საგრძნობლად შემცირდა ოთხკაციანი ოჯახის საარსებო მინიმუმი და მან თვეში 169,3 ლარი შეადგინა (ნაცვლად 179 ლარისა) (ცხრ №2), რაც წლის დასაწყისიდან საშუალოდ თვეში 1,4% კლებას გულისხმობს. როგორც ცნობილია, საქართველოში ინფლაცია სამომხმარებლო ფასების ინდექსს წარმოადგენს, ე.ი. ინაგარიშება საქონლის ფასებზე დაყრდნობით, ისევე, როგორც საარსებო მინიმუმი. ინფლაციის საშუალოდ -0.4%(ე.ი. ქვეყანაში მიმდინარეობს დეფლაციური მოვლენები) საკმაოდ მნიშვნელოვან სხვაობას იძლევა საარსებო მინიმუმის ცვლილებასთან შედარებით.

### შემოსავლებისა და საარსებო მინიმუმის დაახლო- ვება სრულიად მოულოდნელი მიზეზებით ხდება.

თეორიულად ასეთი სხვაობის მიზეზად შეიძლება იმის დასახელება, რომ ფასები იკლებს საარსებო მინიმუმში შემავალ სასურსათო პროდუქციაზე, ხოლო დანარჩენი პროდუქცია ან ძვირდება, ან გაცილებით უფრო უმნიშვნელოდ იკლებს ფასში, რადგან საარსებო

მინიმუმის გაანგარიშებისას, რომელიც შედგება 70% სასურსათო კალათისაგან და 30% დანარჩენი პროდუქტებისაგან, ჩვენს ქვეყანაში ანგარიშობენ მხოლოდ სასურსათო კალათას არსებული ნორმების საფუძველზე (საარსებო მინიმუმში შემავალი სასურსათო კალათა მოცემული იყო სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის №1(2) ბიულეტენში), საარსებო მინიმუმის არასასურსათო პროდუქციის ღირებულების გაანგარიშება კი არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შედგენილი ნუსხა (ცხრ. №3), ამიტომ სასურსათო პროდუქციის ღირებულებას უბრალოდ უმატებენ 30%-ს.

საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს თეორიული მოდელი სრულიად გამოუსადე- გარია, რადგან უკანასკნელ პერიოდში ფასების უმრავლესობა ან მტკიცედ ინარჩუნებს თავის

პოზიციას ან მალა იწევს. მაშასადამე დარჩა მხოლოდ ერთი ახსნა ქვეყანაში შექმნილი ამ გაურკვეველი სიტუაციისა, ადგილი აქვს მცდელობას საარსებო მინიმუმისა და ოჯახების შემოსავლების მექანიკური გატოლებისა.

გაცილებით უფრო რეალურ წარმოდგენას ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ იძლევა მოსახლეობის ხარჯები, რადგან ერთის მხრივ იქმნება მოსახლეობის საარსებო მინიმუმთან დამოკიდებულების უფრო რეალისტური სურათი, ხოლო მეორეს მხრივ საშუალება გვეძლევა დაფარული შემოსავლების გარკვეული ნაწილის აღრიცხვისა.

### პირველ კვარტალთან შედარებით კლების მიუხედავად საშუალო ხარჯები ძველანაში ვერ კიდეც საარსებო მინიმუმზე მიემატება.

დღესდღეობით არსებული მონაცემებით ოთხკაციანი ოჯახების საშუალო ხარჯი შეადგენს 253,6 ლარს (ცხრ. №4) თვეში და მიუხედავად I კვარტალის მონაცემებთან შედარებით გარკვეულ დაცემისა (ნახ. №1), არა მარტო საშუალო შემოსავალს აღემატება 56%-ით, არამედ საარსებო მინიმუმზეც მეტია.

სტატისტიკის სახე- ლმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით მოსახლეობის 50,8% თავისი შემოსავლების მიხედვით სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საარსებო მინიმუმის მიღმა მცხოვრებთა შემცირების ტენდენცია, რომელიც უკვე სამი

**ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავისი შემოსავლებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საარსებო მინიმუმის მიღება მცხოვრებთა შემცირების ტენდენცია, რომელიც უკვე სამი წელია იჩენს თავს ჩვენს ქვეყანაში, 1998 წლის II კვარტალიდან საპირისპირო მიმართულებით ნაპირობა.**

წელია იჩენს თავს ჩვენს ქვეყანაში, 1998 წლის II კვარტალიდან საპირისპირო მიმართულებით ნაპირობა.

საარსებო მინიმუმის მიღება მცხოვრებთა რიცხვის ზრდა მეორე კვარტალში ძირითადად ქალაქის მოსახლეობის ხარჯზე მოხდა (ცხრ №5). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში საარსებო მინიმუმის მიღება მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მაინც უარყოფითმა ტენდენციამ იჩინა თავი.

თუ საარსებო მინიმუმის მიღება მცხოვრებთა სურათს ოჯახების სულადობის მხრიდან შევხედავთ (ცხრ. №6), დავინახავთ, რომ განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა ერთსულიან და ექვსსულიან ოჯახებშია, რომელთა 55,4% საარსებო მინიმუმის მიღება ცხოვრობს.

თუ მოსახლეობის ხარჯებს დაუკავშირებთ საარსებო მინიმუმს, დავინახავთ, რომ მიუხედავად I კვარტალთან შედარებით მდგომარეობის გაუარესებისა მოსახლეობის 37% თავისი ხარჯების მიხედვით საარსებო მინიმუმს ქვემოთ იმყოფება. ეს ციფრი უფრო რეალურად ასახავს ქვეყანაში არსებულ ვითარებას, ვიდრე შემოსავლებისა და საარსებო მინიმუმის დამოკიდებულება.

**ხარჯების მიხედვით საარსებო მინიმუმს ქვემოთ მოსახლეობის 37% ცხოვრობს.**

ამ მაჩვენებელს თუ დავეყრდნობით, საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეიძლება სავალალოდ ჩაითვალოს რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 30% იმყოფება. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამერიკელთათვის საარსებო მინიმუმი თვეში 1137,5 დოლარს (წელიწადში 13 650 დოლარი) შეადგენს და თავისი სიდიდით საქართველოში შეძლებულ ოჯახების საშუალო შემოსავალს მნიშვნელოვნად აღემატება.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით მოსახლეობა შემოსავლების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ნახ. №7).

ქვეყანაში გაჭირვებით მცხოვრებთა რიცხვი (300 ლარამდე შემოსავალი) გასული წლის ბოლოსთან

**მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით გაჭირვებით მცხოვრებთა რიცხვი 82%-დან 73%-მდე შემცირდა, მოსახლეობის თითქმის მეოთხედის არსებობის საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა.**

შედარებით 82%-დან (იხილეთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის №5 ბიულეტენი) 73%-მდე შემცირდა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იმ კატეგორიის ოჯახების რიცხვი, რომელთა არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშაა (100 ლარამდე შემოსავალი) 40%-დან 24%-მდე დაეცა. თუმცა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის თითქმის 1/4-ის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშაა, ნამდვილად არ იძლევა თვითდაწინარების საშუალებას.

გასულ წელთან შედარებით 11%-დან 19%-მდე გაიზარდა ე.წ. „საშუალო ფენის“ (300 ლარიდან 800 ლარამდე შემოსავლით) რიცხვი ქვეყანაში. უმნიშვნელოდ, 5.1%-დან 6.9%-მდე გაიზარდა შეძლებულთა რიცხვი (შემოსავლით 800-დან 1500 ლარამდე). რაც შეეხება მდიდართა რაოდენობას (1500 ლარს ზევით შემოსავალი), იგი ძალზედ უმნიშვნელოდ 1.1%-დან 1.15%-მდე გაიზარდა, რაც ქვეყანაში მიმდინარე არასახარბიელო ტენდენციაზე მეტყველებს, კერძოდ ე.წ. „მდიდართა კლასი“ საქართველოში რაოდენობრივად და სტრუქტურულად საბოლოოდ ჩამოყალიბდა და მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით არ ხასიათდება. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში რეალურად საშუალო ფენა, რომელიც იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის დასაყრდენი, პრაქტიკულად არ იარსებებს.

ქვეყანაში არსებულ რეალურ ვითარებასთან უფრო მიახლოებული სურათის წარმოსადგენად აღნიშნული გაანგარიშების საფუძველს მოსახლეობის ხარჯები წარმოადგენდა. თუ ხარჯების ნაცვლად მოსახლეობის შემოსავლებს გამოვიყენებთ, საგრძნობლად განსხვავებულ სურათს მივიღებთ (ნახ. №8), რომელიც გაცილებით სავალალო სიტუაციას დაგვიხატავს. კერძოდ ქვეყანაში გაჭირვებით მცხოვრებთა რიცხვი მოსახლეობის 91% იქნება, რომელთაგან 49%-ის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშაა. ე.წ. საშუალო ფენა მხოლოდ 6,8% იქნება, შეძლებულთა და მდიდართა რიცხვი კი ერთად 2,2%-ს გაუტოლდება (შესაბამისად 2% შეძლებულები

**თუ მხოლოდ შემოსავლებს დავეყრდნობით, მოსახლეობის 91% გაჭირვებით ცხოვრობს, იმის ნახევარის არსებობა კი კითხვის ნიშნის ქვეშაა.**



და 0.2% მდიდრები). ეს კი ბევრად უფრო შორსაა ქვეყანაში არსებული რეალობისაგან, ვიდრე ხარჯების საფუძველზე გაანგარიშებული ოჯახების განაწილება.

გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გამოსწორდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შემოსავლებს შორის სხვაობა (ნახ. №9). უმდიდრესი 20% მოსახლეობის წილი საერთო შემოსავლებს 10,2 ჯერ აღემატება უღარიბესი 20% მოსახლეობის წილს, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი გასულ წელს 20,6-ს შეადგენდა. ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება ძირითადად გამოწვეულია ქვეყანასი საშუალოდ შემოსავლების დონის ზრდით.

**უმდიდრესი 20% მოსახლეობის წილი საერთო შემოსავლებს 10,2 ჯერ აღემატება უღარიბესი 20% მოსახლეობის წილს, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი გასულ წელს 20,6-ს შეადგენდა.**

მიუხედავად შემოსავლებსა და ხარჯებს შორის აბსოლიტური მნიშვნელობით საგრძნობი სხვაობისა, პროცენტულად განაწილება სხვადასხვა ფენებს შორის იდენტურია და სხვაობა მხოლოდ მეთაფებშია (ნახ. №10).

მაშასადამე, როგორც აღნიშნული გამოკვლევა ცხადყოფს, გასულ წელთან შედარებით მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი დადებითი ძვრების მიუხედავად, ქვეყანაში უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა მდგომარეობა, როდესაც მოსახლეობის შემოსავლების მხრივ მდგომარეობა გაუარესდა, კერძოდ 1998 წლის I კვარტალთან შედარებით შემცირდა შემოსავლები და ხარჯები, რასაც მოჰყვა საარსებო მინიმუმის მიღმა მცხოვრებთა რიცხვის ზრდა.

ეს ყოველივე მხოლოდ ერთით შეიძლება აიხსნას — ბიუჯეტის შეუსრულებლობა, შედეგად გაუცემელი ხელფასები, პენსიები და ა.შ.

მოსახლეობის შემოსავლებთან პირდაპირ კავშირშია საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადს წარმოადგენს საქართველოში. ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის, აგრეთვე მოსახლეობის შემოსავლების ლეგალიზაციის და აღრიცხვიანობის მონესრიგების უზრუნველსაყოფად, საშემოსავლო გადასახადს სერიოზული რეორგანიზაცია ესაჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საშემოსავლო გადასახადით ამოღებული თანხების მოცულობა იზრდება (იხ. ცხრ. №11), ეს ციფრები არ ასახავს რეალურ შემოსავლებს ქვეყანაში, ნათლად იჩენს თავს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა — დაფარული შემოსავლები.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წინა გამოკვლევის

მიხედვით (ბიულეტენი №5) დაფარულმა შემოსავლებმა ქვეყანაში, გაანგარიშებულმა შემოსავლების საფუძველზე, შეადგინა 78%, ხოლო გაანგარიშებულმა ხარჯების საფუძველზე — 83%. ქვეყანაში ამ მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ძვრები არ მომხდარა. ექვსი თვის მონაცემებით ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადით ამოღებულმა თანხებმა 16 217 ათასი ლარი შეადგინა. მართალია გეგმა 108%-ით შესრულდა, მაგრამ აღნიშნული გადასახადით დაბეგრულმა თანხამ, გაანგარიშებულმა „შემოსავლების“ საფუძველზე, საერთო შემოსავლების 8.9% შეადგინა, ხოლო „ხარჯების“ საფუძველზე გაანგარიშებით 5.7%.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში საშემოსავლო გადასახადი ნაზარდი ჯამით ინაგარიშება და ვივარაუდებთ, რომ 1998 წლის ბიუჯეტში საშე-

მოსავლო გადასახადით თანხის ამოღება იგივე პროცენტით მოხდება, რაც ექვს თვეში ხდებოდა, წლის ბოლოს დაფარული შემოსავლები ქვეყანაში, გაანგარიშებული „შემოსავლების“ საფუძველზე, შეადგენს 71.2%-ს, ხოლო გაანგარიშებული „ხარჯების“ საფუძველზე — 81,5%-ს. დაფარული შემოსავლების მხრივ არც მომავალ წელი იძლევა დამაკმაყოფილებელი პროგნოზების გაკეთების საშუალებას. კერძოდ თუ ქვეყანაში სიტუაციის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უარეს ვარიანტს წარმოვიდგენთ, რომ შემოსავლები არ გაიზრდება, დაფარული შემოსავლების წილი ქვეყანაში (მომავალ წელს საშემოსავლო გადასახადით ამოსაღები თანხის გათვალისწინებით) 79% იქნება.

**დაფარული შემოსავლები ძველანაში 79 %-ს შეადგენს.**

ექვს არ ინვეცს, რომ დაფარული შემოსავლების არსებობა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ასეთი მოცულობით დამლუპველად მოქმედებს ეკონომიკაზე, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ასეთი საშემოსავლო გადასახადით გარკვეულწილად თვითონ უწყობს ხელს ქვეყანაში დაფარული შემოსავლების არსებობას.

ბევრი შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ საშემოსავლო გადასახადი საქართველოში დაბალია, სხვა ქვეყნების საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთის ფონზე (იხ. ცხრ. №12). მართლაც საშემოსავლო გადასახადის 12-20%-იანი განაკვეთი ერთის შეხედვით მართლაც დიდ შეღავათად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ აქცენტს გადავიტანთ ქვეყანაში საშუალო შემოსავლის დაბეგრვაზე, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, აღმოჩნდება, რომ საშემოსავლო გადასახადი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდად უნდა ჩაითვალოს. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში საარსებო მინიმუმიც 20%-

იანი განაკვეთით იბეგრება, იმაზეც შეიზღება ლაპარაკი, რომ საქართველოში არსებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი უდიდესია მსოფლიოში, რადგან არა მგონია მოიძებნოს სხვა ქვეყანა, სადაც საარსებო

- 9600-დან 18000 ლარამდე — 20%-ით
- 18000-დან 30000 ლარამდე — 25%-ით
- 30000-დან 60000 ლარამდე — 30%-ით
- 60000 ათას ზევით — 35%-ით

**საქართველოში არსებული საშემოსავლო გადასახადი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში.**

თუ საქართველოში დღეისათვის არსებულ რეალურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ცხადია, რომ წელიწადში

მინიმუმი საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთით იბეგრებოდეს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადი სერიოზულ გადახედვას მოითხოვს. თუ საქართველოს სურს, რომ გაამართლოს სოციალურად ორიენტირებული ქვეყნის სახელი, მაშინ ამ მხრივ რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების ცვლილების მხრივაც. სახელმწიფომ უარი უნდა თქვას ე.წ. „დაბალი ლობის“ პრინციპზე, რომელსაც აქამდე აქტიურად იყენებდა, ბეგრავდა რა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით ერთნაირი საარსებო მინიმუმის ქვემოთ მცხოვრებ მოსახლეობასაც და ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე პირებსაც, რითაც ავლენდა ან უუნარობას ან სურვილის არქონას დაებეგრა რეალურად მაღალი შემოსავლის მქონე პირები ქვეყანაში და ჯოხი საარსებო მინიმუმის დაბლა მცხოვრებებზე ტყდებოდა. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე უნდა ჩამოყალიბდეს საშემოსავლო გადასახადის რეალური შკალა, რომელსაც ნორმალურ ვითარებაში შემდეგი სახე უნდა ჰქონდეს.

1000 ლარის დაუბეგრავ მინიმუმად გამოცხადება წარმოუდგენელია, მაგრამ ის მაინც უნდა მოხერხდეს, რომ საშუალო ხელფასი წელიწადში 600 ლარი განთავისუფლდეს გადასახადისაგან. შედეგად, საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით საშემოსავლო გადასახადის შკალამ უნდა მიიღოს შემდეგი სახე.

- 600 ლარამდე შემოსავალი წელიწადში უნდა განთავისუფლდეს გადასახადისაგან;
- 600-დან 1500 ლარამდე — დაიბეგროს 12%-ით
- 1500-დან 3000 ლარამდე — 17%-ით
- 3000-დან 30000 ლარამდე — 20%-ით
- 30000 ლარს ზევით — 25%-ით

რა თქმა უნდა განაკვეთების შკალის გაზრდა შეიძლებდა, მაქსიმალური განაკვეთის კიდევ უფრო გდიდებით, და მომავალში ალბათ ესეც უნდა მოხდეს, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში ჩამოუყალიბებელია კერძო სექტორი, ჯერ არ არსებობს მენარმეთა ფენა, ეს ნაბიჯი გაუმართლებელი იქნებოდა.


სოციალურად ბევრად უფრო სამართლიანი იქნებოდა, თუ საშემოსავლო გადასახადით ცალკეული პირების ნაცვლად დაიბეგრება ოჯახები, რაც საშემოსავლო დეკლარაციის მექანიზმის საბოლოოდ ამოქმედების შემთხვევაში, ყველა სხვა დადებით მხარესთან ერთად გააადვილებს დაბეგვრის მექანიზმს.

1000 ლარამდე შემოსავალი წელიწადში (თვეში 84 ლარი - საარსებო მინიმუმი ერთ კაცზე) უნდა განთავისუფლდეს გადასახადისაგან;

1000-დან 3500 ლარამდე — დაიბეგროს 12%-ით

3500-დან 9600 ლარამდე — 17%-ით

ოჯახების შემოსავლების, ხარჯებისა და საარსებო მინიმუმის დინამიკა



საარსებო მინიმუმის მნიშვნელობა სხვადასხვა სიდიდის ოჯახისათვის 1998 წლის თვეების მიხედვით

თვეები	ოჯახის ტიპი					ექვს და მეტსულიანი
	ერთსულიანი	ორსულიანი	სამსულიანი	ოთხსულიანი	ხუთსულიანი	
იანვარი	90.2	144.4	162.4	180.5	203.0	281.5
თებერვალი	91.7	146.7	165.0	183.3	206.3	286.0
მარტი	91.5	146.4	164.6	182.9	205.8	285.4
აპრილი	94.1	150.5	169.3	188.1	211.7	293.5
მაისი	92.5	148.0	166.6	185.1	208.2	288.7
ივნისი	90.2	144.4	162.4	180.5	203.0	281.5
ივლისი	84.5	135.1	152.0	168.9	190.1	263.5
აგვისტო	84.6	135.4	152.4	169.3	190.4	264.1

ადამიანის წლიური მოხმარება

დასახელება	მოს.	დასახელება	მოს.	დასახელება	მოს.
პალტო	1/7	ფენსაცმლის კრემი	6	საცერი	1/6
კოსტუმი	1/3	ფენსაც. ჯაგრისი	1/6	მაჯის საათი	1/6
ლაბადა	1/6	ტანსაც. ჯაგრისი	1/10	ტელევიზორი	1/12
შარვალი	1/2	ბამბა	1კგ	მაკივარი	1/15
საზ. შარვალი	1/2	ბინტი	1	რადიომიმღები	1/12
ჯემპერი	2/5	ლეიკოპლასტიკი	1	ელ. უთო	1/7
პერანგი	2	ოყნა	1	ელ. ნათურა	12
სამუშ. ტანსაცმელი	1/2	სათბურა	1/3	მალვიძარა	1/10
პიჟამო	1/2	თერმომეტრი	1/5	გაზეთი	120
მაისური	2	მდოგვის საფენი	50	კარადა (ტანსაც.)	1/20
ტრუსი	2	ბრილიანტის მწკანე	1	სასადილო მაგიდა	1/15
მარფი	1/7	იოდი	1	საწოლი	1/20
ქუდი	1/5	ანალგინი	2კგ	სკამი	1/5
წინდა (ბამბის)	4	ვალერიანის წვეთ.	1	ტელევიზ. ტუმბო	1/15
წინდა (შალის)	1	კონტრაცეპტივები	36	სამზარ. კარადა	1/15
„ელთათმანი“	1/5	სავარცხელი	1	სამზარ. მაგიდა	1/15
ფენსაცმელი (ზამთ)	1/4	მაკრატელი	1/10	სარკე	1/10
ფენსაცმელი (ზაფხ.)	1/2	ნემსი	2	თარო - აბაზანის	1/20
ფენსაცმელი (ტყავი)	1/4	ძაფი	1	საბინაო გადასახ.	—
ფენსაცმელი (რეზინი)	1/3	ცოცხი	1	წყალმომარაგება	—
ჩუსტი	1	თეფში (სადილის)	1/7	კანალიზაცია	—
საბანი	1/15	თეფში (საუზმის)	1/7	ელ. ენერგია	—
ბალიში	1/12	სუფრის კოვზი	1/7	გაზი	—
ლეიბი	1/15	სუფრის დახა	3/10	ცენტრ. გათბობა	—
სან. გადასაფარებელი	1/7	ჩახვალი	1/6	ცხელი წყალი	—
საბნის შალითა	1/2	ფერის დას. ჩაიდანი	1/10	რადიო	—
ზენარი	1/2	ფინჯანი ლამბაქით	1/2	თეთრეუ. რეცხვა	30კგ
ბალიშის პირი	3/4	ღვინის ყიქა	1/2	საპარიკმახერო	12
პირსახოცი	1/2	ჩაის კოვზი	3/10	ქიმშენდა	4
პირსახოცი (აბაზ.)	2/5	ქვაბი ალუმინის	1/10	ფენსაც. შეკეთება	2
ჭურჭლის ტილო	2/3	ქვაბი მომინანქრ.	1/10	ტანსაც. შეკეთება	1/2
ცხვირსახოცი	5/2	ქვაბი	1/5	ფოტოგრაფირება	1/5
საპონი (ხელის)	3კგ	ტაფა	1/9	საოჯ. ტექ. შეკეთ.	3/5
საპონი (სარეცხის)	4კგ	ჩაიდანი	1/6	რკინიგზით მგზავ.	1
სარეცხის ფხვნილი	3კგ	საწური	1/8	თვითმფ. მგზავრ.	1
უბილის პასტა	12	ჩამჩა	1/15	ქალაქ. ტრან. მგზ.	300
კბილის ჯაგრისი	1	სამზარეულოს დანა	1/20	საქალაქ. ტრ. მგზ	4
ოდეკოლონი	2ფ	ხორცის საკეპი	1/15	წერილის გაგზავნ.	20
წვერის საპარსი კრემი	3	ვარცლი	1/8	დეჟემის გაგზ.	2
სამართებლის პირი	60	ფათქი მომინანქ.	1/6	ამანათის გაგზ.	2
ლუფა	1/2	თეთრეულ. სახ. ქვაბ	1/7	ტელეფონი	—
საპარსი ფუნჯი	1/4	სათლი	1/6	სანახაობა	12
ტუალეტისქაღალდი	5	სამზარ. დაფა	2/5		

ცხრილი. №5

საარსებო მინიმუმის მიღმა მცხოვრებთა რიცხვი  
(პროცენტებში)


რეგიონი	საარსებო მინიმუმის მიმართ	
	1998 წლის I კვარტალი	1998 წლის II კვარტალი
კახეთი	49.6	46.7
თბილისი	49.8	54.1
შიდა ქართლი	48.6	48.7
ქვემო ქართლი	48.2	40.5
სამცხე-ჯავახეთი	38.6	50.6
აჭარა	40.5	46.0
გურია	64.0	54.4
სამეგრელო	30.4	45.3
იმერეთი	60.7	59.8
ქალაქებში სულ	53.7	55.8
სოფლებში სულ	43.8	44.9
მთლიანად ქვეყნის მასშტაბით	49.2	50.8

ცხრილი. №6


საარსებო მინიმუმის მიღმა მცხოვრებთა რიცხვი ოჯახების სულადობის მიხედვით

ოჯახის ტიპი	
ერთსულიანი	55.4
ორსულიანი	50.9
სამსულიანი	47.9
ოთხსულიანი	47.0
ხუთსულიანი	49.3
ექვსსულიანი	55.4


ნახაზი №7




ოჯახების განაწილება




შემოსავლების განაწილება მოსახლეობის ოცპროცენტიანი ჯგუფების მიხედვით



შემოსავლებისა და ხარჯების განაწილება 20%-იანი ჯგუფების მიხედვით



საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავალი საშემოსავლო გადასახადის სახით



ცხრილი №12

საშემოსავლო გადასახადი

ქვეყნები	მაქს. განაკვეთი	საშუალო შემოსავლის დაბეგვრა	ქვეყნები	მაქს. განაკვეთი	საშუალო შემოსავლის დაბეგვრა	ქვეყნები	მაქს. განაკვეთი	საშუალო შემოსავლის დაბეგვრა
ალჟირი	50	20	გაბონი	60,5	15	ახ. ზელანდია	33	21,5
ანგოლა	40	4	გერმანია	53	35	ნიკარაგუა	30	0
ავსტრალია	47	20	განა	35	5	ნიგერია	60	2
ავსტრალია	50	32	საბერძნეთი	45	5	ნიგერია	35	0
ბაჰამები	25	0	გვატემალა	30	15	ნორვეგია	41,7	28
ბარბადოსი	40	25	გვინეა	40	2,5	პაკისტანი	35	10
ბელგია	55	40	ჰონკონგი	20	2	პანამა	30	0
ბელიზი	45	15	უნგრეთი	48	40	პერუ	30	0
ბოტსვანა	30	0	ინდოეთი	40	0	ფილიპინები	35	7
ბულგარეთი	50	30	ინდონეზია	30	10	პოლონეთი	30	0
კამბოჯი	60	0	ირანი	54	35	პორტუგალია	40	25
კანადა	53,19	17	ირლანდია	48	27	რუმინეთი	60	40
ჩილე	45	10	ისრაელი	50	30	რუსეთი	30	12
ჩინეთი	45	15	იტალია	51	27	სენეგალი	78	18
ტაივანი	40	6	იაპონია	50	20	სინგაპური	30	8
კოლუმბია	30	5	იორდანია	45	5	სამხ. აფრიკა	45	17
კონგო	50	15	კენია	35	10	ესპანეთი	56	24,5
კოსტარიკა	25	10	კორეა	45	18	მრილანკა	35	10
ნორვეგია	35	25	ლიბანი	10	2	შვედეთი	55	28
კვიპროსი	40	30	ლესოთო	40	15	შვეიცარია	11,5	2,64
ჩუხეთი	40	0	ლიტვა	33	10	ტაილანდი	37	5
დანია	61	47	მალაი	35	0	ტუნიზი	35	15
ეკვადორი	25	0	მალაიზია	32	0	თურქეთი	55	25
ეგვიპტე	48	20	მალტა	35	20	უკრაინა	40	30
სალვადორი	30	0	მექსიკა	35	17	უდი ბრიტანეთი	40	24
ფიჯი	35	0	მაროკო	46	0	ა.შ.შ.	39,6	15
ფინეთი	39	21	მონაკო	30	15	ვენესუელა	34	16
საფრანგეთი	57	35	ნამიბია	35	0	იემენი	28	9
ზამბია	35	15	ზიმბაბუე	40	0	—	—	—



# ლიცენზიის სისტემა

■ გიორგი ბარბაქაძე

საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არც თუ ისე გრძელი გზა განვლო, მაგრამ ეს იყო ურთულესი და მეტად მძიმე პერიოდი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საჭირო არის მეტი ყურადღების დათმობა რეფორმისტულ ნაბიჯებზე. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოში მრავალი რეფორმა გატარდა, რათა აღმოფხვრილიყო პოსტსოციალისტური ნარჩენები ეკონომიკაში თუ სხვა დარგებში. ამ ღონისძიებების გატარება შეიძლება ითქვას ერთადერთი გამოსავალია თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

რეფორმისტულ ღონისძიებებში შედიოდა ასევე სალიცენზიო სისტემის შექმნა. ცალკეულ სამინისტროებში იქმნება დეპარტამენტები, სამსახურები თუ სხვა ქვეორგანოები, რომლებიც გაცემენ ლიცენზიებს თავიანთი კომპეტენციისა და სპეციალიზაციის მიხედვით. ლიცენზიების გამცემი ორგანოები ასევე უნდა ახორციელებდნენ კონტროლს თავიანთ გაცემულ ლიცენზიებზე.

მიუხედავად ლიცენზირების სფეროში ჩატარებული ღონისძიებებისა დღესდღეობით, მაინც არ არის შექმნილი სრულყოფილი სალიცენზიო სისტემა.

ამ მოხსენებაში ვეცდებით განვიხილოთ დღესდღეობით საქართველოში არსებული ლიცენზიათა სახეობები, მათ გამცემ ორგანოებსა და თავიანთი ერთად. გამოვავლინოთ პრობლემები ამ სფეროში. წარმოვადგინოთ არსებული სიტუაციიდან გამოსვლის რამდენიმე შესაძლებლობა.

ლიცენზია არის საბუთი, რომელიც ნებართვას იძლევა დადგენილი დროის განმავლობაში, განსაზღვრული პირობების დაცვით, განხორციელდეს მასში აღნიშნული საქმიანობა.

ლიცენზიის მფლობელის უფლება ამ საქმიანობის განხორციელებაზე წარმოიშობა ნებართვის მიღების მომენტიდან. სხვა პირზე ლიცენზიის გადაცემა არ შეიძლება.

ლიცენზია არის მკაცრი აღრიცხვის საბუთი, ფორმდება სპეციალური ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ქაღალდზე, აქვს სააღრიცხვო სერია, სარეგისტრაციო ნომერი და ყალბად დამზადებისაგან დაცვის სათანადო ნიშნები.

ლიცენზიის მაძიებელს

შეუძლია ერთდროულად განახორციელოს რამდენიმე ლიცენზირებადი საქმიანობა შესაბამისი ლიცენზირების საფუძველზე, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება მომქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ლიცენზია გაიცემა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე განცხადებისა და სხვა საბუთების წარდგენის შემდგომ.

ლიცენზირების ძირითადი მიზანია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათის

## ლიცენზირების ძირითადი მიზანია ცალკეული სახის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმიანობის კონტროლი

მქონე ცალკეული სახის საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება და ამ საქმიანობის კონტროლი. ამის გამო ლიცენზირება უნდა იყოს მარეგულირებელი მექანიზმი და არა კორუფციის საფუძველი.

ლიცენზიამ უნდა დაადასტუროს ლიცენზიის მფლობელის კვალიფიკაციისა და მის მიერ სამუშაოთა შესრულების (მომსახურების განწევის) ხარისხის შესაბამისობა მოცემული საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან (ლიცენზირების პირობებთან).

ლიცენზიას თავისი შინაარსით აქვს მეორე ფუნქციაც. ეს არის მისი ფისკალური მხარე, რომელსაც ძირითადად გამოიყენებენ ლიცენზიის იმ სახეობებზე, რომლებიც მომგებიან საქმიანობას ეწევიან. როგორცაა მაგალითად ნებართვა ლატარიებზე, ლოტოებზე, მომგებიან თამაშებზე და სხვა. ასეთ ლიცენზიებს უფრო ნილობრივი ხასიათი აქვს.

## ლიცენზიამ უნდა დაადასტუროს ლიცენზირებული საქმიანობის ხარისხის შესაბამისობა

საქართველოში არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოაწესრიგებდა ლიცენზირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავდა ლიცენზიით ნებადართულ საქმიანობის სახეებსა და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოებს, დაადგენდა ლიცენზიის წესსა და პირობებს, ლიცენზიის შეჩერებასა და გაუქმების საფუძველს. მოახდენდა სხვადასხვა

## ლიცენზირების სფეროში არ არის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს კანონი „ლიცენზირების შესახებ“

საკანონმდებლო აქტების სისტემატიზირებას, რომლითაც დღესდღეობით ნაწილობრივ მაინც რეგულირდება ლიცენზირების სისტემა. თუმცა უნდა ითქვას კანონპროექტი „ლიცენზირების შესახებ“ უკვე წარდგენილია პარლამენტში განსახილველად.

როგორც ზემოთ ვთქვით ლიცენზირების გამცემი ორგანოები არის ცალკეულ სამინისტროებში შექმნილი დეპარტამენტები, სამსახურები თუ სხვა ქვეორგანოები.

- ლიცენზიის გამცემი ორგანო:
  - გასცემს ლიცენზიას თავისი სპეციალიზაციის მიხედვით;
  - ახორციელებს სალიცენზიო პოლიტიკას მოცემულ სფეროში;
  - აწარმოებს სალიცენზიო რეესტრს;
  - ახორციელებს კონტროლს

ლიცენზიაში მითითებული პირობების დაცვაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

- შეაჩერებს, განაახლებს, აუქმებს ლიცენზიას;
- მიმართავს შესაბამის ორგანოებს გამომდინარე დარღვევების ფაქტებზე, რომელთა თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სცილდება სალიცენზიო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილებას.

ლიცენზიის გამცემ ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შეუძლია გააუქმოს ლიცენზია შემდეგ შემთხვევებში:

- ლიცენზიის მოქმედების ვადის გასვლისას;
- ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნით;
- ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალებით ან ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- თუ მფლობელი არ აკმაყოფილებს ან არღვევს ლიცენზიის პირობებს;
- თუ მფლობელი თავისი საქმიანობით არღვევს პირთა უფლებებს, თავისუფლებებს, კანონიერ ინტერესებს, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ბოლო ორ შემთხვევაში ჯერ ხდება ლიცენზიის შეჩერება და შემდეგ შეიძლება ამას მოყვას ლიცენზიის გაუქმება.

ასე რომ ლიცენზიის გამცემი ორგანოს საკმარის უფლებები აქვს, რათა არეგულიროს თავისი კომპეტენციაში არსებული სფერო თუმცა მაინც შეიმჩნევა დარღვევები ზოგიერთ სფეროში. აქვე შეიძლება ითქვას ისიც, რომ კვების პროდუქტების წარმოებაზე გაიცემა ლიცენზიები, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება არასრულფასოვანი პროდუქცია. ამას ხომ არ აჯობებდა ლიცენზირების გაცემის მაგივრად კვების პროდუქტები წარმოებაზე გაცემულიყო სერთიფიკატი, რომელიც დაადასტურებდა ცალკეული საქონლის ხარისხს. იგივე შეიძლება ითქვას მშენებლობაზე თუ სხვა სახის საქმიანობაზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ

ლიცენზირების გაცემიდან შემოსული სახსრები ირიცხება (ნაწილობრივ მაინც) ლიცენზირების გამცემი ორგანოს სპეციალურ ანგარიშზე. ამ თანხების გამოყენება ხდება ამ ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში, რაც არ უნდა იყოს მისალევი. ამ სახსრებით ხდება ასევე ამ ორგანოთა მუშაკების ხელფასების ზრდა. ასეთი მდგომარეობა არათანაბარ სიტუაციაში აყენებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანებს. რადგან ის ორგანოებში მომუშავენი, რომლებიც გასცემენ ლიცენზიებს იღებენ მეტ ხელფასს, ვიდრე სხვაგან მომუშავენი. სახელმწიფოსათვის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე თანაბარია და ამის გამო თანაბარ პირობებში უნდა იყოს ყოველი მუშაკი.

### ლიცენზირების გაცემიდან შემოსული სახსრები ირიცხება (ნაწილობრივ მაინც) ლიცენზირების გამცემი ორგანოს სპეციალურ ანგარიშზე

კვების პროდუქტების სასაქონლო წარმოებაზე ლიცენზირების გაცემის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო. ლიცენზირებისა და სერთიფიკაციის სრულყოფის, სამომხმარებლო ბაზრის ფალსიფიცირებული და უხარისხო საქონლისაგან დაცვის ზოგიერთი ღონისძიებების გამო კვების პროდუქტების სასაქონლო წარმოებაზე (გარდა ალკოჰოლიანი სასმელებისა) ლიცენზიები გაიცემა კვების პროდუქტების სასაქონლო წარმოების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპორტიზის დეპარტამენტში, ხოლო ალკოჰოლიანი სასმელების სასაქონლო წარმოებაზე მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების რესპუბლიკური გაერთიანება — „სამტრესტი“.

კვების პროდუქტების წარმოება უნდა იყოს სერთიფიცირებული, რაც უზრუნველყოფს მათ ხარისხს, რადგან ლიცენზირება ზოგჯერ ვერ უზრუნველყოფს ლიცენზიის მფლობელის კვალიფიკაციისა და მის მიერ სამუშაოთა შესრულების (მომსახურების განწესის) ხარისხის შესაბამისობას. ფაქტიურად შეიძლება მივიღოთ ლიცენზიის გადაკეთება სერთიფიკატად. ამ პროცესმა არ უნდა მიიღოს მხოლოდ სახელის შეცვლის სახე.

### კვების პროდუქტების წარმოებაზე ლიცენზირების გაცემის ხარისხის სერთიფიკატი

საქართველოში ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის განვითარების, ტექნიკური პროექტების ხარისხის ამაღლების, ეროვნული მეურნეობის დარგების, თავდაცვის, მეცნიერებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა გეოდეზიური მონაცემებითა და კარტოგრაფიული პრო-

დუქციით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 ნოემბრის № 735 ბრძანებულებით შემოღებულ იქნა ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის (ტექნიკური პროექტების შედგენა, საველე და კამერალური სამუშაოების წარმოება) სახელმწიფო ლიცენზირება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელსაც ახორციელებს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტი

საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო გასცემს ლიცენზიებს იმ საქონლის ექსპორტზე და იმპორტზე, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და საქართველოს პარლამენტის კანონებით.

საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მიერ 1998 წლის 10 ივლისის №31 ბრძანებით დამტკიცებულია ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირების წესი და იმ საქონლის ჩამონათვალი, რომელთა ექსპორტი და იმპორტი ზრდიელდება ლიცენზიებით.

— ბიოლოგიის, მინერალოგიის, არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის ეთნოგრაფიისა და ნუმიზმატიკის საკოლექციო მასალების ექსპორტის ლიცენზიები გაიცემა შესაბამისად ფინანსთა, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის, კულტურის სამინისტროებისა და გეოლოგიის დეპარტამენტთან შეთანხმებებით;

— ტყისა და შეშის ექსპორტის ლიცენზიები გაიცემა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემულ ხე-ტყის ნედლეულის მოპოვების დამადასტურებელი საბუთის (ცნობის) წარდგენის შემთხვევაში;

— კავკასიური სოჭის თესლის ექსპორტის ლიცენზიები გაიცემა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დამზადების ლიცენზიების საფუძველზე;

— შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი და რეექსპორტი;

— მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების (მხოლოდ მცენარეთა დაცვის პრეპარატები) იმპორტისა და რეექსპორტის ლიცენზიები გაიცემა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებთან შეთანხმებით;

— გარეული ცხოველებისა და ფრინველების, თევზის, გადაშენებული ცხოველების ძვლების, ჩლიქების, ველური მცენარეების, ტყის მერქნიან სახეობათა თესლებისა და ანალოგიური ნედლეულის იმპორტისა და რეექსპორტის ლიცენზიების გაიცემა შესაბამისად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან, სოფლის

მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან შეთანხმებით;

— თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და რეექსპორტი;

— სამრეწველო ნარჩენების იმპორტისა და რეექსპორტის ლიცენზიები გაიცემა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ნებადართულია მხოლოდ არატოქსიკური სამრეწველო ნარჩენების იმპორტი, მათი სამრეწველო გადამუშავების მიზნით. ტოქსიკური და რადიოაქტიური სამრეწველო ნარჩენების იმპორტი მათი უტილიზაციის, გაუვნებლყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან სხვა მიზნით აკრძალულია.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გასცემს ლიცენზიებს გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის, გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოიცავს რამდენიმე სახეობას, რომლებზეც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ლიცენზიის გაცემა ვითარდებოდა ქვეყანაში არსებული სიტუაციის მიხედვით. საქართველოში ნავთობის მრეწველობის შემდგომი განვითარების, ნავთობის მრეწველობის დარგში ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის გატარებისათვის შეიქმნა სპეციალიზირებული დეპარტამენტი „საქნავთობი“, რომელსაც 1994 წლის 13 იანვრის საქართველოს სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით №2 მიენიჭა ნავთობით, ნავთობის კონდენსატითა და ბუნებრივი გაზით სარგებლობის ლიცენზირების განუყოფელი უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 23 თებერვლის № 655-11ს დადგენილებაში „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირებისა და ლიცენზირების შესახებ“ აღნიშნულია, რომ საქართველოში ბუნებრივი რესურსების რეგულირებაში შექმნილი იყო მძიმე ვითარება, რადგანაც ბუნებრივი რესურსების რეგულირება გადანაწილებული იყო მრავალ უწყებას შორის, ხშირ შემთხვევაში ბუნებრივი რესურსების მართვა (აღრიცხვა, რეგულირება, ზედამხედველობა, კონტროლი) დავალებული ჰქონდა ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლებს („საქნავთობს“, „საქგეოლოგიის“, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტებს და სხვ.). ამ პროცესებისა და აგრეთვე ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების აუცილებლობით მიენიჭა მაშინდელ საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირების (აღრიცხვა, რეგულირება, ზედამხედველობა, კონტროლი) ფუნქცია და ყველა სახის ბუნებრივი

რესურსებით (მათ შორის წიაღით და წიაღისეულით) სარგებლობის ლიცენზიების უფლებამოსილება.

წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაიცემა ისეთ სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც ითვალისწინებენ:

- წიაღის გეოლოგიურ შესწავლას;
- სასარგებლო წილისეულის, მათ შორიას მინისქვესა წყლების მოპოვებას;
- ისეთ მინისქვესა ნაგებობათა მშენებლობასა და ექსპლუატაციას, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წილისეულის მოპოვებასთან;
- სამთომომპოვებელი და მასთან დაკავშირებული გადაამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენების გამოყენებას;
- წიაღის ისეთი ობიექტების შექმნას, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ.

ლიცენზიების მიღება არ არის საჭირო რეგიონული გეოლოგიური და გეოფიზიკური სამუშაოების, გეოლოგიური აგეგმვის, საინჟინრო-გეოლოგიური ძიების, სამცნიერო-კვლევითი, პალეონტოლოგიური, სხვა სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც გამიზნულია წიაღის საერთო შესწავლის, მინისძვრის პროგნოზირების ვულკანური პროცესების კვლევის, გარემო პირობების მონიტორინგის შექმნისა და გაძღოლის, მინისქვესა წყლების რეჟიმის კონტროლის, აგრეთვე სხვა საქმიანობისათვის და არ იწვევს წიაღის მთლიანობის არსებით დარღვევებს.

1997 წლის 16 ოქტომბრის „წყლის შესახებ“ კანონის თანახმად ლიცენზირებას ექვემდებარება, როგორც სპეციალური წყალ-სარგებლობა, ასევე წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება.

მცენარეული რესურსებით სარგებლობის ლიცენზია არის ტყის, სხვა ველური მცენარეების და მათი შემადგენელი ნაწილების შესწავლის, ინტროდუქციისა და გამოყენების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა საქართველოს მომქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების მოთხოვნების მიხედვით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული სალიცენზიო საუნწყებათაშორისო საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მცენარეული რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების მიზანია გარემოს პირობების შენარჩუნება, ბუნებათსარგებლობის წესების დაცვა, მცენარეული რესურსების რაციონარული გამოყენება და მომხმარებელთა მოთხოვნების ოპტიმალური განთავსება.

მცენარეული რესურსებით სარგებლობის ლიცენზირებას ექვემდებარება ტყის რესურსები, სხვა ველური მცენარეები და მათი შემადგენელი

ნაწილები.

ლიცენზია გაიცემა ყველა იმ საქმიანობისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მცენარეული რესურსების ბუნებიდან ამოღებასთან და წარმოადგენს სარგებლობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტს. დასაშვებია მცენარეული რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ხუთ წლამდე ვადით.

მცენარეული რესურსების გამოყენების სახეების მიხედვით ლიცენზია გაიცემა:

- მცენარეული რესურსის მოპოვებისათვის;
- მცენარეული რესურსის შესწავლისათვის;
- გარემოში მცენარეული რესურსის შეტანისათვის (ინტროდუქციისათვის).
- ნებადართულია კომპლექსური ლიცენზიის გაცემა ერთდროულად, სხვადასხვა მცენარეული რესურსებით სხვადასხვაგვარი სარგებლობისათვის (შესწავლა, მოპოვება, ინტროდუქცია და ა.შ.).

- ტყის მოვლა-დაცვისა და აღდგენისათვის გამიზნული საქმიანობის ერთიანი სახის ლიცენზია უკონკურსოდ ეძლევათ იმ უწყებებს, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას.

საერთოდ საქმიანობის თითოეულ სახეობაზე გაიცემა ცალკე ლიცენზია, მაგარამ ბუნებრივი რესურსებით სხვადასხვა სახის სარგებლობისათვის შესაძლებელია კომპლექსური ლიცენზიის გაცემა.

**ბუნებრივი რესურსებით სხვადასხვა სახის სარგებლობისათვის შესაქმნელია კომპლექსური ლიცენზიის გაცემა**

საქართველოში ამჟამად მომქმედი კანონმდებლობით გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი ჯერ ჯერობით არავითარ ლიცენზიებს არ გასცემს. „ლიცენზიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გეოლოგიის დეპარტამენტს შეტანილი აქვს დასაბუთებული წინადადებები შემდეგი ლიცენზიების გაცემის თაობაზე: წიაღით სარგებლობის ლიცენზირება; გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზირება.

საქართველოს ეროვნული ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკის“, ორგანული კანონის, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე გასცემს კომერციული ბანკების მიერ საბანკო ოპერაციების წარმოებაზე შიდა და გენერალურ ლიცენზიებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიებს გასცემს მხოლოდ დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებზე, რომელთა განცხადებული და განაღდებული კაპიტალის ოდენობა, დაკავებული სასამსახურო ფართი, ბანკის ადმინისტრაციისა და მმართველობის მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა და შინაგანანესი შეესაბამება აღნიშნული

ნესებით გათვალისწინებულ და მომქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასებათა კრიტერიუმებს და საქმიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის თანახმად კომერციულ ბანკებს უფლება ეძლევათ აწარმოონ საბანკო ოპერაციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ბანკის ბიზნეს-გეგმიდან და შემდგომ ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაურთოს ლიცენზიას გარკვეული პირობები და შეზღუდვები.

„საქართველოს რესპუბლიკაში ავტოსატრანსპორტო მომსახურების და ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1994 წლის 25 მარტის № 180 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად შემოღებულია ლიცენზირება სახალხო მეურნეობაში საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო ხარჯების, მომხმარებლის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელის მონოპოლიზმისაგან დაცვის, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების, ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოების ამაღლებისათვის, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების პასუხისმგებლობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, რომლის მაკოორდინირებელი ფუნქცია ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტს.

ლიცენზირების ობიექტებია:

- უფლება ტვირთის გადაზიდვაზე, რომელიც არ ეკუთვნის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს;

- უფლება მგზავრთა ფასიან გადაყვანაზე;

- უფლება კომერციულ საფუძველზე დამყარებულ სატრანსპორტო საექსპედიციო და სერვისულ მომსახურებაზე;

- უფლება საქალაქთაშორისო და საერთაშორისო გადაზიდვებისათვის განკუთვნილი ავტოსადგურების ფუნქციონირებაზე;

ლიცენზირება სავალდებულოა ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის, რომლებიც ახორციელებენ ზემოთ აღნიშნულ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე.

ფასიან ლიცენზირებას არ ექვემდებარება ავტოტრანსპორტის მფლობელების კუთვნილი ტვირთების გადაზიდვა; სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვა მოსავლის აღების დროს; საფოსტო გადაზიდვები; გადაზიდვები, რომლებიც ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გარდა ამ სამინისტროთა მიერ წარმოებული კომერციული გადაზიდვებისა; აგრეთვე სტიქიურ უბედურებათა შედეგების

ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ტვირთის გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა.

ლიცენზიები შეიძლება იყოს ერთჯერადი, სამთვიანი, ერთწლიანი და ხუთწლიანი.

ლიცენზიები ავტოსატრანსპორტო საქმიანობაზე (ტვირთის გადაზიდვაზე, მგზავრების გადაყვანაზე), სატვირთო და სამგზავრო ავტოსადგურებსა და საექსპედიციო მომსახურებაზე გაიცემა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ.

ლიცენზიები სატვირთო გადაზიდვებზე, მგზავრთა გადაყვანაზე, სატრანსპორტო საექსპედიციო საქმიანობასა და სერვისულ მომსახურებაზე არის ფასიანი (გარდა გადაზიდვის იმ სახეებისა, რომლებიც არ ექვემდებარება ფასიან ლიცენზირებას);

სალიცენზიო გადასახადი დიფერენცირებულია ლიცენზიის ტიპის, ავტომობილის ტვირთამწეობის, ტევადობის, განეული სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების მოცულობისა და მოქმედების ვადის მიხედვით.

საჰარეო ხომალდების ექსპლუატაციის ფრენის უსაფრთხოებისა და დადგენილი ეკოლოგიური ნორმების დაცვის, სავიაციო მომსახურების ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის, ამ მომსახურების მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნების რეალიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ არის დადგენილი, რომ საჰარეო ტრანსპორტით გადაზიდვა და სავიაციო-სატრანსპორტო პროცესებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა საქართველოში შეიძლება განახორციელოს, როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა მხოლოდ სპეციალური ნებრთვის (ლიცენზიის) საფუძველზე, რომელსაც გასცემს საჰარეო ტრანსპორტის დეპარტამენტი.

ლიცენზირებას ექვემდებარება კომერციულ საფუძველზე შესრულებული:

- მგზავრების გადაყვანა, ტვირთისა და ფოსტის გადატანა (გაიცემა მხოლოდ სავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატანტზე);

- საჰარეო ხომალდების, მგზავრების, ტვირთისა და ფოსტის მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა;

- სანარმოებისა და მოსახლეობისათვის საჭირო სავიაციო სამუშაოები.

საქართველოში საერთაშორისო ტურისტების დარგში დასქმებული იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობის ლიცენზირების წესსა და პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა აღნიშნული პირებისათვის და მათ მიერ განეული მომსახურების მოცულობის მიუხედავად დარეგულირებულია დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“. ამ დებულებით

განსაზღვრული ლიცენზია არის ოფიციალური ნებართვა უცხოელ მოქალაქეთა ტურისტული მომსახურების საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს მოქალაქეთა ტურისტული მომსახურება ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ლიცენზირების ობიექტებია: მოგზაურობათა და ექსკურსიათა ბიუროები ტურისტული სააგენტოები, ტურისტთა მიღების ბიუროები, სასტუმროები, კემპინგები, მოტელები, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები, სხვა იურიდიული და აგრეთვე ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან მათი წესდებით გათვალისწინებულ საერთაშორისო ტურისტულ საქმიანობას.

ტურისტულ საწარმოებს საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის უფლება ეძლევათ საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

საქართველოში არც ერთ ტურისტულ საწარმოს არა აქვს ლიცენზიის გარეშე საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის წარმოების უფლება.

ტურისტულ საწარმოებზე, რომელთა დამფუძნებლები არიან საზღვარგარეთის იურიდიული და ფიზიკური პირები ან შექმნილი არიან უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით, ლიცენზია საერთაშორისო ტურისტულ საქმიანობაზე გაიცემა მხოლოდ საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ფუნქციონირებს ლატარიების, აზარტული თამაშობების ლიცენზირება-ორგანიზების და ღირებულების მქონე დოკუმენტების ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახური, სახინჯი ზედამხედველობის ინსპექცია და ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექცია, რომლებიც გასცემენ ლიცენზიებს თავიანთი სპეციალიზაციის მიხედვით (ცხრილი №1).

სასინჯი ზედამხედველობის ინსპექციის მიერ გასაცემ ლიცენზიათა სახეობები (იხ. ცხრილი №1) განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ (მუხლი 4, მუხლი 22-ის 1 და 2-ე პუნქტები).

ლატარიების, აზარტული თამაშობების ლიცენზირება-ორგანიზების და ღირებულების მქონე დოკუმენტების ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახური გასცემს ლიცენზიებს შემდეგი სახის საქმიანობათა ორგანიზებაზე: ტირაჟიან, უტირაჟო (მომენტალურ), მიზნობრივ და წამახალისებელ ლატარიებზე, თამაშობებზე, რომლებიც ტარდება სხვადასხვა სათამაშო მოწყობილობების გამოყენებით, ლოტო-ლატარიაზე, ტოტალიზატორზე, სისტემურ (ელექტრონულ) თამაშობებზე, ბილიარდზე, მომგებიან სათამაშო ავტომატებზე, კაზინოზე.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექცია გასცემდა ლიცენზიებს ექვს სახეობაზე:

- ფასიანი ქაღალდების გამოშვების (ემიტენტის);

- ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის სრულუფლებიანი მონაწილის პიროვნული;

- ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის სრულუფლებიანი მონაწილის ინსტიტუციონალური;

- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბირჟო საქმიანობის;

- საინვესტიციო ფონდების (არასაპრივატიზაციო, არასპეციალიზირებული) საქმიანობის;

- საინვესტიციო ფონდების მმართველის საქმიანობაზე.

საინვესტიციო ფონდების (არასაპრივატიზაციო, არასპეციალიზირებული) საქმიანობაზე და საინვესტიციო ფონდების მმართველის საქმიანობაზე ლიცენზირება აღარ ხორციელდება, რადგან საინვესტიციო ფონდების საკანონმდებლო ბაზა გაუქმდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ კანონითა და 1998 წლის 29 იანვრის საქართველოს პრეზიდენტის №51 ბრძანებულებით. მანამდე არსებული 9 საინვესტიციო ფონდი გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 25 აგვისტოს №818 დადგენილების თანახმად „საქართველოს რესპუბლიკაში ლატარიებისა და სხვა მომგებიანი საპრიზო თამაშობების მოწყობის სრულყოფის შესახებ“ საქართველოში ლატარიების, სპორტლოტოს, ლატარია-სპრინტის და სხვა მსგავსი მომგებიანი საპრიზო თამაშების ჩატარება და მათ ჩატარებაზე ნებართვის გაცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა; აღნიშნული დადგენილების III მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებიდან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტრომ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავოს და დაამტკიცოს ინსტრუქციული მასალები თამაშების ჩატარების წესის შესახებ და დაანესოს მკაცრი კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებებისა და ინსტრუქციების მოთხოვნების შესრულებაზე.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 1996 წლის 4 სექტემბერს მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის გამოქვეყნების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ აუდიტორულ საქმიანობაზე გაცემული სერთი-

ფიკატები და დროებითი მოწოდებები.

ხომ არ აჯობებდა აუდიტორულ საქმიანობაზე ლიცენზიების გაცემა დაევალოს, რომელიმე სამინისტროს (მაგ. ფინანსთა სამინისტრო) და არა საკანონმდებლო ორგანოსთან არსებულ საბჭოს.

### ლიცენზიის უნდა გასცემდეს აღმასრულებელი ორგანოები და არა საკანონმდებლო ორგანოსთან არსებული საბჭო

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო გაცემს ერთ ლიცენზიას საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე. ლიცენზიას თან ახლავს ჩამონათვალი საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის იმ სახეებისა, რომელთა შესრულების ნებართვაც მიიღო სანარმომ. ეს სახეები განეკუთვნებიან საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის შემდეგ დარგებს:

- საინჟინრო-საძიებო სამუშაოები;
  - საპროექტო სამუშაოები;
  - საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა წარმოება;
  - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
- საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე ლიცენზირებულია 805 სუბიექტი (იხ. ცხრილი №2).

კანონით „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ საარქივო დეპარტამენტს უფლება აქვს პრტივიდენტთან შეთანხმებით გასცეს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების საზღვარგარეთ დროებით გატანის ნებართვა. ამასთან საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოს საარქივო დეპარტამენტს ჯერ არცერთი ლიცენზია არ გაუცია. დეპარტამენტს სურვილი აქვს განახორციელოს საარქივო სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობის ლიცენზირება.

საქართველოს კავშირგამბულობისა და ფოსტის სამინისტრო გაცემს ლიცენზიებს შემდეგ სახეებზე:

- საეთერო ტელეკომპანიები;
- თანამგზავრული სისტემები;
- საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირგამბულობითა და ტელეფონ-ავტომატებით მომსახურება;
- რადიო მაუნყებლობის კომპანიები;
- ფიჭური და პეიჯინგური სისტემა;
- მობილური აპარატების შემოტანა-რეალიზაცია;
- საკაბელო ტელეფონია;
- საინფორმაციო სამსახური, რეკლამა, ფოსტა;
- რადიო-სარელეო და ტრანკული სისტემები;
- სადიპეჩერო მომსახურება;

ამ სახეობებიდან ყველაზე მეტი ლიცენზია არის გაცემული საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირგამბულობითა და

ტელეფონ-ავტომატებით მომსახურებაზე (55), საეთერო ტელეკომპანიებზე (52), მობილური აპარატების შემოტანა-რეალიზაციაზე (51).

საქართველოს პრტივიდენტის 1997 წლის 15 ოქტომბრის №582 ბრძანებულების თანახმად

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გაცემს ლიცენზიებს სამხედრო დანიშნულების პროდუქციის, ტექნიკური დოკუმენტაციის, სამუშაოებისა და მომსახურების

ექსპორტი და იმპორტი ხორციელდება საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუნყებათაშორისო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

სამხედრო დანიშნულების პროდუქციის, ტექნიკური დოკუმენტაციის, სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის ლიცენზიები გაციემა ყოველ ცალკეულ საგარეო-ეკონომიკურ გარიგებაზე.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუნყებათაშორისო კომისიის რეკომენდაციის გარეშე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის, ტექნიკური დოკუმენტაციის, სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის ლიცენზიები გაციემა შემდეგ შემთხვევებში:

- სამხედრო დანიშნულების პროდუქციის მაკომპლექტებელი ნაკეთობების ექსპორტი და იმპორტი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს სანრმთა მიერ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებისა და რემონტის უზრუნველსაყოფად;
- იმ ნაკეთობების ექსპორტი, რომლებიც საჭიროა საქართველოს ლიცენზიებით საზღვარგარეთის ქვეყნებში სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებისათვის;
- საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ადრე გადაცემული სამხედრო ტექნიკის, აგრეთვე მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- საქართველოს სამხედრო ძალების აღჭურვილობაში არსებული შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო დანიშნულების სასწავლო და დამხმარე მოწყობილობების, ექსპლუატაციისა და რემონტის უზრუნველსაყოფად სამარაგო ნაწილების იმპორტი.

ლიცენზიები გაციემა მხოლოდ იმ იურიდიულ პირებზე, რომლებსაც ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული აქვთ სათანადო ნებართვა სამხედრო დანიშნულების პროდუქციის სამუშაოების და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების სანარმოებლად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი ქვეორგანო გაცემს ნებართვებს. ესენია: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველო და საგზაო პოლიციის სამსახურები. ეს უკანასკნელი გაცემს

მძლოლის მართვის ნებართვებს.

კულტურის სამინისტრო გასცემს მხოლოდ ლიცენზიის ერთ სახეობას კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანის უფლება, რომელსაც ახორციელებს კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვის ექსპერტიზისა და გატანა-შემოტანის რეგულირების სამმართველო. მისი ძირითადი ფუნქცია არის ხელი შეუშალოს ეროვნულ ფასეულობათა უცხოეთში გატანას. ამის მიზნით ეს სამსახური აძლევს ნებართვას იმის თაობაზე, რომ საზღვარზე გასატანი ფასეულობა არ წარმოადგენს ეროვნულ ღირებულებას.

განათლების სამინისტრო ახდენს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიცენზირებას, რადგან არ მოხდეს არა შესაბამისი დონის საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა. ეს სამინისტრო გასცემს შემდეგ ლიცენზიებს: არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლებზე; საშუალო პროფესიული სასწავლებლებზე; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე.

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტში „საქსტანდარტი“, ხდება ლიცენზირება იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საქმიანობაზე, რომლებიც ეწევიან გაზომვის საშუალებების დამზადებას, შეკეთებას, გაყიდვას და გაქირავებას (საქართველოს კანონი „გაზომვითა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ თავი IV მუხლი 16).

„საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად 1996 წლის 20 თებერვლიდან გაუქმებულ იქნა ლიცენზიების გაცემასა და მიღებაზე დღგ-ით დაბეგვრის შეღავათები.

აღნიშნულიდან გამომდინარე დღგ-ით იბეგრება ლიცენზიის გამცემის განკარგულებაში დარჩენილი თანხები.

ინფორმაციის უკმარისობა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ლიცენზიების გაცემის სფეროში. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება უნდა ჰქონდეს გაეცნოს სალიცენზიო რეესტრის მონაცემებს. მაგრამ ზოგჯერ თვით სამინისტროების მოხელეებმაც კი არ იციან თუ რა მდგომარეობა თავიანთ სფეროში.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობას და გასცემს სუბსიდიებს. ამ მხრივ საჭირო ხდება შემუშავდეს ზოგიერთი ლიცენზიების გაცემაზე მოსაკრებლების ისეთი ოდენობა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესს.

**ლიცენზიები ხელს უშლის თავის მხრივ მცირე ბიზნესის განვითარებას**

საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს თავისი სტრატეგია ლიცენზირების სფეროში. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებისათვის გახსნილი უნდა იყოს ამ სფეროში მიმდინარე პროცესები. არ უნდა არსებობდეს ინფორმაციული ვაკუუმი. ლიცენზიების სახეობები უნდა შემცირდეს. ლიცენზირება უნდა იყოს მარეგულირებელი მექანიზმი და არა კორუფციის საფუძველი. მან უნდა შეასრულოს თავისი ფუნქციები. უნდა შეიქმნას ისეთი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფუნქციების შესრულებას და მოახდენს ლიცენზიების გამცემ ორგანოების კონტროლს.

როგორც ზემოთ ვთქვით არსებული ლიცენზიების სახეობები რაოდენობრივად უნდა შეიზღუდოს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ლიცენზიები, როგორც კვების პროდუქტების წარმოებაზე და საპროექტო-სამსენებლო საქმიანობაზე, რომლებიც უნდა იყოს სერტიფიცირებული, რაც უზრუნველყოფს მათ ხარისხს. ფაქტიურად შეიძლება მივიღოთ ლიცენზიის გადაკეთება სერტიფიკატად. ამ პროცესმა არ უნდა მიიღოს მხოლოდ სახელის შეცვლის სახე.

ლიცენზიების გამცემი ორგანოები უნდა იყოს დანაწევრებული, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე. ლიცენზიების იმ სახეობებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის საქმიანობებს შეიძლება ლიცენზიები გაიცეს ლოკალურ ქვეორგანოებში.

ლიცენზიების გაცემა, როგორც ვთქვით დანაწევრებულია ცალკეულ სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში. რაც პრობლემას უქმნის ერთიანი საინფორმაციო ბლოკის შექმნას ლიცენზიების შესახებ.

საჭირო ხდება ლიცენზირების ორგანოების სისტემატიზირებისათვის ახალი ნაბიჯების გადადგმა. ამ მხრივ ქართველ ეკონომისტებს შორის წარმოიშვა რამდენიმე შეხედულება.

**ლიცენზიების გაცემა დანაწევრებულია ცალკეულ სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში**

პირველი ეს არის, რომ შეიქმნას ერთი დიდი

**ინფორმაციის უკმარისობა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ლიცენზიების გაცემის სფეროში**

ლიცენზიები ხელს უშლის თავის მხრივ მცირე ბიზნესის განვითარებას. მწარმეს იმდენი უჯდება ლიცენზიების მიღება, რომ ზოგჯერ ურჩევნიათ თავიანთი იდეის უარყოფა. და ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ცდილობს



სალიცენზიო ორგანო, რომელიც მოახდენს ლიცენზიების გაცემას ყველა სახეობაზე. მასში გაერთიანებული იქნებიან სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები. რომელთა არჩევა შეიძლება მოხდეს კონკურსის მეთოდით. ამ ორგანოს შეიძლება ჰქონდეს ლოკალური ქვეორგანოები.

**მეორე მოსაზრებით ლიცენზიების გაცემაში ორგანოების კონტროლისა და ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად საჭიროა ერთი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა**

**სალიცენზიო სისტემის სრულყოფის ერთი ვარიანტია შეიქმნას ერთი სალიცენზიო ორგანო, რომელიც მოახდენს ლიცენზიების გაცემას ყველა სახეობაზე**

მეორე მოსაზრების მომხრეები კი მოითხოვენ შეიქმნას ერთი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ლიცენზიების გამცემი ორგანოების კონტროლს

და შეავსებს იმ ინფორმაციულ ვაკუუმს, რაც არსებობს ამ სფეროში. ამისათვის საჭირო ხდება მხოლოდ ერთი მცირე ზომის სამსახურის შექმნა დამატებით. რაც უზრუნველყოფს დღეს არსებული პრობლემათა მოგვარებას.

ამ მოსაზრებების განხილვა და მათი უარყოფითი და დადებითი მხარეების გამოვლენა მეტად საინტერესოა. საჭირო ხდება ამ საკითხებზე სემინარებისა და შეხვედრების მონყოფა, რათა უფრო რეალურად იქნას დანახული გადწყვეტის გზა.

ლიცენზიების სახეები და მათი გამცემი ორგანოები

ლიცენზიის გამცემი ორგანო	ლიცენზია		
ფინანსთა სამინისტრო	ლატარიების, აზარტული თამაშობების ლიცენზირება ორგანიზების და ლირებულების მქონე დოკუმენტების ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახური	ტირაჟიან, უტირაჟო (მომენტალურ), მიზნობრივ და წამახალისებელ ლატარიებზე თამაშობებზე, რომლებიც ტარდება სხვადასხვა სათამაშო მონყობილობების გამოყენებით; ლოტო-ლატარიანზე, ტოტალიზატორზე, სისტემურ (ელექტრონულ) თამაშობებზე; ბილიარდზე; მომგებიან სათამაშო ავტომატებზე; კაზინოზე.	
	სასინჯი ზედამხედველობის ინსპექცია	ყიდვა-გაყიდვა — საკრედიტო დაწესებულებების (მათ შორის ლომბარდების) მიერ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და მათგან დამზადებული ნაწარმის — ყიდვა-გაყიდვა, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან ნაწარმის, ჯართისა და ნარჩენების შესყიდვა და მათი შემდგომი რეალიზაცია; დამუშავება — ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვებისაგან საიუველირიო და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმის დამზადება, შეკეთება და რესტავრაცია; ძვირფასი ქვების საექსპერტო-მეფასებითი სამუშაოები - ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურება ძვირფასი ქვების იდენტიფიკაციის, ექსპერტიზის, მეფასებისა და სერთიფიკაციის მიზნით; ვაჭრობა — ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ნაწარმით საკომისიო, საცალო და საბითუმო ვაჭრობა; გადამუშავება და აფინაჟი — მადნიდან, ჯართიდან, ნარჩენებიდან და სხვა მასალებიდან ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების რეგენერაცია მათი ამოღების მიზნით, აგრეთვე ძვირფასი ქვების მონახვაგება; გამოყენება — ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და მათი გამოყენებით დამზადებული ინსტრუმენტების საწარმოო და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით მოხმარება; სამედიცინო მომსახურება — სტომატოლოგიური ძვირფასი ლითონებისაგან კბილის პროტეზების დამზადება, შეკეთება და რესტავრაცია	
	ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექცია.	ფასიანი ქაღალდების გამოშვების (ემიტენტის); ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის სრულუფლებიანი მონაწილის პიროვნული; ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის სრულუფლებიანი მონაწილის ინსტიტუციონალური; ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბირჟო საქმიანობის;	
	კულტურის სამინისტრო	კულტურულ ლირებულებათა აღრიცხვის ექსპერტიზისა და გატანა-შემოტანის რეგულირების სამმართველო	კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანის უფლება
	განათლების სამინისტრო	სააღმზრდელი და საგან. დაწესებულებათა ლიცენზირება მათ შორის: არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებლებზე; საშუალო პროფესიული სასწავლებლებზე; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე.	

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო	საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე, მათ შორის: საინჟინრო-საძიებო სამუშაოები; საპროექტო სამუშაოები; საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა წარმოება; სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.	
საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	ტურისტული საქმიანობის წარმოებაზე.	
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის; გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, მათ შორის მცენარეული რესურსებით სარგებლობისათვის; ცხოველთა სამყაროს ობიექტების სარგებლობისათვის; წიაღის სარგებლობისათვის; წყალსარგებლობისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების;	
ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო	ბიოლოგიის, მინერალოგიის, არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის ეთნოგრაფიისა და ნუმიზმატიკის საკოლექციო მასალების ექსპორტი; ტყისა და ძეშის ექსპორტი; კავკასიური სოჭის თესლის ექსპორტი; შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი და რეექსპორტი; მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების იმპორტი და რეექსპორტი; გარეული ცხოველებისა და ფრინველების, თევზის, გადაშენებული ცხოველების ძვლების, ჩლიქების, ველური მცენარეების, ტყის მერქნიან სახეობათა თესლებისა და ანალოგიური ნედლეულის იმპორტი და რეექსპორტი; თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და რეექსპორტი; სამრეწველო ნარჩენების იმპორტი და რეექსპორტი;	
საქართველოს ეროვნული ბანკი	საბანკო ოპერაციების წარმოების შიდა; საბანკო ოპერაციების წარმოების გენერალური;	
საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტი	ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტ. საქმიანობა მათ შორის: ტექნიკური პროექტების შედგენა; საველე სამუშაოების წარმოება კამერალური სამუშაოების წარმოება	
ტრანსპორტის სამინისტრო	საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი	ტვირთის გადაზიდვაზე, რომელიც არ ეკუთვნის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს; მგზავრთა ფასიან გადაყვანაზე; კომერციულ საფუძველზე დამყარებულ სატრანსპორტო საექსპედიციო და სერვისულ მომსახურებაზე; საქალაქთა შორისო და საერთაშორისო გადაზიდვებისათვის განკუთვნილი ავტოსადგურების ფუნქციონირებაზე;
	საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი	მგზავრების გადაყვანა; ტვირთისა და ფოსტის გადატანა; საჰაერო ხომალდების, მგზავრების, ტვირთისა და ფოსტის მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა; საწარმოებისა და მოსახლეობისათვის საჭირო საავიაციო სამუშაოები;

<p>სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო</p>	<p>პურფუნთუშეული; ლუდი; ხორცის ნაწარმი; მარცვლეულის გადამამუშავების პროდუქტები; ხილკურკოვანი ნაწარმი; სპირტი; ბრენდი და სხვა მაგარი სასმელები; მინერალური წყლები და ა.შ. უალკოჰოლო სასმელები; საკონდიტრო ნაწარმი; თევზის ნაწარმი; თამბაქოს ნაწარმი; მცენარეული ზეთი; ღვინო და ღვინომასალები; არაყი; ძმარი;</p>
<p>ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო</p>	<p>ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სალიცენზიო საბჭო</p> <p>სამედიცინო საქმიანობის; მათ შორის: პირველადი (ექიმამდელი) სამედიცინო დახმარება; სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება; სამედიცინო დიაგნოსტიკა; მოზრდილი მოსახლეობის ამბულატორიულ-პოლიკლიკური სამედიცინო დახმარება — სპეციალობების მიხედვით; ზოგადი საექიმო პრაქტიკა, ოჯახის ექიმი; ბავშვთა ამბულატორიულ-პოლიკლიკური სამედიცინო დახმარება; მოზრდილი მოსახლეობის სტაციონალური სამედიცინო დახმარება; ბავშვთა მოსახლეობის სტაციონალური სამედიცინო დახმარება — სპეციალობების მიხედვით; საექსპერტო სამედიცინო საქმიანობა; ტრადიციული სამედიცინო საქმიანობა; სანატორიული მკურნალობა; სამედიცინო ფსიქოლოგია; ფარმაცევტული სამედიცინო საქმიანობა; დამხმარე სამედიცინო საქმიანობა; სავალდებულო სამედიცინო საქმიანობა; სამეცნიერო-კვლევითი სამედიცინო საქმიანობა; სანიტარული განათლება; სამედიცინო განათლება. უმაღლესი (განათლების სამინისტროსთან ერთად); სამედიცინო განათლება. საშუალო (განათლების სამინისტროსთან ერთად); დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება (ექიმების); დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება (საშუალო სამედიცინო პერსონალის);</p>
<p>კავშირგამბულობისა და ფოსტის სამინისტრო</p>	<p>საერთო ტელეკომპანიები; თანამგზავრული სისტემები; საქალაქთა შორისო და საერთაშორისო კავშირგამბულობითა და ტელეფონ-ავტომატებით მომსახურება; რადიო მაუნყებლობის კომპანიები; ფიჭური და პეიჯინგური სისტემა; მობილური აპარატების შემოტანა-რეალიზაცია; საკაბელო ტელევიზია; საინფორმაციო საშუალო, რეკლამა, ფოსტა; რადიო-სარელეო და ტრანკული სისტემები; სადიპერერო მომსახურება;</p>
<p>საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი „საქსტანდარტი“</p>	<p>გაზომვის საშუალებების დამზადება, შეკეთება, გაყიდვა და გაქირავება.</p>

<p>საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი „საქსტანდარტი“</p>	<p>გაზომვის საშუალებების დამზადება, შეკეთება, გაყიდვა და გაქირავება.</p>
<p>საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური</p>	<p>ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა                  უბედური შემთხვევებისაგან და ავდმყოფობისაგან დაზღვევა;                  ტვირთების დაზღვევა;                  ქონების დაზღვევა;                  სანმეღეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;                  გადაზიდვების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;                  საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;                  სანყლოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;                  სამედიცინო დაზღვევა;                  სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;                  პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;                  ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევა;                  სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის დაზღვევა;                  სამრეწველო და კომერციული სანარმოების ხანძრისა და სხვა საშიშროებისაგან დაზღვევა;                  სიცოცხლის დაზღვევა;                  დაზღვევის სფეროში საბროკერო საქმიანობა;                  ვალდებულებათა შეუსრულებლობის პასუხისმგებლობის დაზღვევა;                  იურიდიული და ფიზიკური პირების დაზღვევა;                  მოქალაქეთა კუთვნილი მენობების დაზღვევა;                  საოჯახო ქონების დაზღვევა;                  საპენსიო დაზღვევა (დამატებითი შემოსავლების დაზღვევა).</p>
<p>საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო</p>	<p>აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირება.</p>
<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო</p>	<p>საგზაო პოლიციის სამსახურები                  მძღოლის მართვის ნებართვა                  კუთვნილი, და სანადირო თოფზე (ტარების უფლებით)                  კუთვნილი ცეცხლსასროლი (კუთვნილულიანი, გლუვლულიანი, კომბინირებული, საკოლექციო იარაღი) და გაზის იარაღის, მისი საბრძოლო მასალის, შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნის გამოყენების ნებართვა, მათ შორის:                  სამინისტროების, უწყებების, სანარმოების, ორგანიზაციების, დანესებულებისა და სასწავლებლების მიერ ც/იარაღის და საბრძოლო მასალის შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნის, გამოყენების ნებართვა („საუნყებო იარაღი“);                  სპორტული სასროლო ტირების, სასროლეთების, სასროლო-სამონადირეო სტენდების ფუნქციონირების ნებართვა;                  ცივი იარაღების დამამზადებელი საამქროს ფუნქციონირების ნებართვა;                  იარაღის შესაკეთებელი საამქროს ფუნქციონირების ნებართვა;                  ცეცხლსასროლი და გაზის იარაღის, სანადირო დახებით მოვაჭრე მალაზიების ფუნქციონირების ნებართვა;                  ბეჭდებისა და მტამების დამამზადებელი საამქროს ფუნქციონირების ნებართვა;                  კერძო ან იურიდიულ პირებზე ბეჭდისა და მტამის დამამზადებაზე ნებართვა;                  ასლგადამღები აპარატების შეძენისა და ფუნქციონირებაზე ნებართვა;                  ძლიერმოძქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვა;                  ფეთქებადი, რადიაქტიული და ძლიერმოძქმედი მოძნამლავი ნივთიერებების შეძენის, შენახვის, გადაზიდვის და გადაგზავნის ნებართვა.</p>
<p>იუსტიციის სამინისტრო</p>	<p>სამხედრო დანიშნულების პროდუქციის, ტექნიკური დოკუმენტაციის, სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი.</p>
<p>საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი</p>	<p>ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების საზღვარგარეთ დროებით გატანის ნებართვა</p>
<p>საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო</p>	<p></p>
<p>ლიცენზირების დეპარტამენტი</p>	<p>სათბობ-ენერგეტიკული ობიექტების განთავსებისა და ექსპლუატაციის პირობების.</p>

საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ლიცენზირებული სამშენებლო-სამონტაჟო, საპროექტო, საშენი მასალებისა და სამშენებლო კონსტრუქციის მწარმოებელი ორგანიზაციები.

მხარეები	ლიცენზირებულია	
	რესპუბ.	რეგ.
სულ საქართველოში	805	
ქ. თბილისი	551	
აჭარის ავტ. რესპუბლიკა	33	
აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკა	1	
მხარეები	224	
კახეთი	7	9
მცხეთა-მთიანეთი	13	
შიდა ქართლი	35	4
ქვემო ქართლი	47	
სამცხე-ჯავახეთი	16	14
იმერეთი	71	
სამეგრელო, ზემო სვანეთი	24	
გურია	7	
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7	
უცხო ქვეყნების ორგანიზაციები	14	